მართლმსაჯულება და კანონი

N 4 '09

მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

N4 Justice and Law #4(23)'09 Legal Journal of Judges Association of Georgia

N4(23) '09

მართლმსაჯულება და კანონი

N 4 (23)'09

მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი
LEGAL JOURNAL OF JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

© 2009, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წერილობითი ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბეკაური

ნომერზე მუშაობდნენ:
ბეკა ჭედია
ლეილა კოშკაძე
ნანა ფრიდონაშვილი
მარინე ვასაძე

დიზანი:
ბესიკ დანელია

ფოტოუზრუნველყოფა:
დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:
კონსტანტინე კუბლაშვილი, ზაზა მეიშვილი,
ვალერი ცერცვაძე, გიორგი ხუბუა

Editorial Board:
KONSTANTINE KUBLASHVILI, ZAZA MEISHVILI,
VALERI TSERTSVADZE, GIORGI KHUBUA

Editor:
NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by:
BEKA CHEDIA
LEILA KOSHKADZE
NANA PRIDONASHVILI
MARINA VASADZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
DAVIT KHIZANISHVILI

English version of articles has been provided
by Candidates of Law faculty of Tbilisi State University

დაბეჭდილია „სი-ჯი-ეს“-ში
Printed in CGS

UDC (უაკ) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-388X

გამოცემა მომზადებულია პროექტის „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებებს.

Published by United Nations Development Programme Georgia (UNDP) and Supreme Court of Georgia within the frame of the project"Support to Justice System".

Views expressed in the edition belongs to its authors and don't necessarily reflects the official position of UNDP and Supreme Court Georgia

სარჩევი

ჯარედ კიმბოლი: „ქართული სასამართლო სისტემა უკეთესობისკენ იცვლება“ 6
Jared Cimball: Georgian Court System is Getting Better

ირმა მერებაშვილი
სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება 19
IRMA MEREBASHVILI
Impact of the Principles of Adversity of Parties and Activeness of Judges at the Court Trials

ფრიდონ გასილაია
საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება 30
Specifics of Domestic Cases and Judgment Rendered in Absence
PRIDON BASILAIA

ნინო გადელია
საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები 36
Acute issues related with Marriage Contract
NINO GADELIA

ირაკლი შენგელია
სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა 44
Freedom of Contracting as the principle, sense and meaning of the Civil Law
IRAKLI SHENGELIA

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი
საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების სამართლებრივი ასპექტები 52
The Legal Aspects of Georgian Customs Inward Processing of Goods
IA KHARAZI, NATO UERTASHVILI

არჩილ ლორია
ადამიანის უფლებების საკანონმდებლო აღიარება და განვითარება საქართველოში 64
Legislative recognition of the Human Rights and its Development in Georgia
ARCHIL LORIA

ლაშა გელანტია
საქართველოში მმართველობის სისტემისა და პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებანი 72
Some Specifications Common to the Government System and the Presidential Intitution in Georgia
LASHA GELANTIA

შოთა დეისაძე
საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობა და მისი განმხორციელებელი ორგანო 85
Origins of the Constitutional Control and its Executing Body
SHOTA DEISADZE

გოჩა გიორგაძე
რელიგია და სამართალი 94
Religion and Law
GOCHA GIORGADZE

გიორგი მჭედლიშვილი
საკუთრების უფლება და მისი შეზღუდვის ფარგლები საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით 104
Property Rights and the Scope of Limitation of Property Rights Under the Georgian Legislation and the European Convention on Human Rights
GEORGE MCHEDLISHVILI

ახალი წიგნები 114

საქართველოს ყველა მოსამართლეს ვულოცავ დამდეგ 2010 წელს!

2009 წელი მნიშვნელოვანი იყო სასამართლო ხელისუფლებისათვის, ქართულმა მართლმსაჯულებამ ძალზე ეფექტურად იმუშავა და ეს თითოეული თქვენგანის დამსახურებაა!

ძალიან ბევრი რამ ძირეულად შეიცვალა, ბევრი რამ შესრულდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტია, რადგან სამართლის აღსრულება ნიშნავს ემსახურებოდე ყველაზე მთავარ ღირებულებას ქვეყანაში – სამართლის უზენაესობას. ამ მხრივ ყოველი ახალი დღე ახალ ამოცანებს გვთავაზობს, ახალ პრობლემებს გვიყენებს და ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სასამართლო სისტემა გავხადოთ ისეთი, როგორიც საქართველოს მოსახლეობას სურს, რომ მეტი პატივისცემა და ნდობა დაიმსახუროს, რომ მოსამართლე იყოს შეუვალი და წმინდა ავტორიტეტის მქონე. მჯერა, რომ მომავალი 2010 წელი სასამართლო ხელისუფლებისათვის სწორედ ამ ნიშნით იქნება გამორჩეული.

იმედი მაქვს, ჩვენ ერთად შევძლებთ დასახული მიზნების შესრულებას!

თითოეულ თქვენგანს ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს, დღეგრძელობას, პროფესიულ წინსვლას და ოჯახურ ბედნიერებას!

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ძვირფასო კოლეგებო,

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სახელით გილოცავთ ახალ 2010 წელს!

წელი, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილებაა, საქართველოს მოსამართლეთა კორპუსისათვის, ჩვენი მართლმსაჯულებისათვის არ იყო ჩვეულებრივი და „რიგითი“. გვქონდა მრავალი წარმატება, მრავალი მიღწევა. უშუალოდ თქვენი – მოსამართლეების დამსახურების შედეგია, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩვენი მოქალაქეების ნდობა სასამართლოსადმი. მომავალ წელს კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი, რადგან ცხოვრება დღეს ისეთი დინამიკურია, როგორც არასდროს და ყოველი დღე ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ამასთან, რეფორმების ახალი ტალღის ფარგლებში საზოგადოება ჩვენგან კიდევ უფრო მეტს ელოდება.

მე მჯერა თქვენი! მჯერა თქვენი პროფესიონალიზმის, თქვენი პრინციპულობის, თქვენი კომპეტენტურობის!

იმედი მაქვს, მომავალ წელსაც არ დაიშურებთ ძალისხმევას და ყველაფერს გააკეთებთ, რომ სასამართლო უფრო ეფექტური გახდეს.

ახალი წელი მიღწევების, წარმატებების, ბედნიერების, სიხარულის მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისა და თქვენი ოჯახებისათვის!

ახალი წელი წინ გადადგმული ნაბიჯი ყოფილიყოს ჩვენი სამშობლოსათვის!

ზ. ჭიჭინაძე

ზაზა მეიშვილი

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე,
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

„ქართული სასამართლო სისტემა უკეთესობისკენ იცვლება“

„საბოლოო შედეგის მიღებას მოთმინება და ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში ჯარედ კიმგოლი თვლის, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს. ის მიიჩნევს, რომ საბჭოთა ინკვიზიციური მართლმსაჯულებიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასასვლელად საჭიროა დრო და დაუღალავი შრომა. „ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნის სურვილი და ნება კი, სასამართლო სისტემის დღევანდელ ხელმძღვანელობას ნამდვილად გააჩნია,“ – აცხადებს ჯარედ კიმგოლი. საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმისა და სხვა სამართლებრივი საკითხების თაობაზე გთავაზობთ ინტერვიუს ჯარედ კიმგოლთან.

როგორც მოგეხსენებათ, რეფორმა ზოგადად, რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სტრუქტურულ-ორგანიზაციული, ასევე მატერიალური კომპონენტებისაგან შედგება. მით უფრო, სასამართლო რეფორმა, რომლის განხორციელებაც დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანაში სასამართლო რეფორმის ახალი ტალღა მიმდინარეობს და საინტერესოა თქვენი აზრი, როგორ შეაფასებდით ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას?

– ქართული სასამართლო სისტემა ნამდვილად უკეთესობისკენ იცვლება. ჩემი აზრით, სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელობა ცდილობს, რომ მოსამართლეებში დამოუკიდებლობის ხარისხი გაიზარდოს. სასამართლო ხელისუფლების წარსულის გათვალისწინებით, ეს ძალიან ძნელი და მეტად ამბიციური მიზანია. ქართული სასამართლო ინკვიზიციურ სისტემაზე იყო აწყობილი. ისტორიულად, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის არსებობდა ახლო ურთიერთობები, რის შეცვლასაც რა თქმა უნდა, დრო და დიდი შრომა სჭირდება. ის ძირეული ცვლილებები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს სასამართლოში, სწორედ ამ სისტემის განვითარებისკენაა მიმართული რაც სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ დამკვიდრებას გულისხმობს.

მთავარი სირთულე, რომელიც ამ პროცესს უკავშირდება არის, რომ სასამართლო სისტემის ხელისუფლებამ განამტკიცოს და უზრუნველყოს თითოეული მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების გამოტანისას – აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია და სასამართლო ხელისუფლების ხელმძღვანელობას დიდი ძალისხმევა და ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება, რათა საბოლოოდ, მივიღოთ ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 14-თვიანი სასწავლო კურსი, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც მოსამართლეებისათვის შეიქმნა. მოსამართლეები ცოდნის, კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის საფუძველზე უნდა შეირჩნენ, რაც, ჩემი აზრით, ძალზედ წინგადადგმული ნაბიჯია. მაგალითად, ამე-

ჯარედ კიმბოლი - საქართველოში ამერიკის საელჩოს მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, ფედერალური პროკურორი სიეტლის შტატიდან. ის საქართველოში 2012 წლის ბოლომდე დარჩება. საქართველოში ჩამოსვლამდე, ბატონი კიმბოლი 6 წელი ამერიკის ფედერალურ პროკურორად მუშაობდა. ფედერალურ სისტემაში მოღვაწეობამდე, 7 წლის განმავლობაში იყო შტატის პროკურორი. ჯარედ კიმბოლს მისი კარიერის მანძილზე 100-ზე მეტ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მიუღია მონაწილეობა, როგორც ბრალმდებელს და გაცილებით მეტ სასამართლო პროცესში მონაწილეობდა, სადაც განაჩენი მოსამართლეს გამოაქვს. 1989 წელს გახდა პოლიტოლოგიის ბაკალავრი ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან, ხოლო 1995 წელს - იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრი კრეიგტონის უნივერსიტეტიდან, რომლის შემდეგაც 2 წელი იყო მოსამართლის თანაშემწე, ვიდრე პროკურორად დაიწყებდა მუშაობას.

რიკის შეერთებულ შტატებში მსგავსი გრძელვადიანი სასწავლო კურსი ახალი მოსამართლეებისათვის არ გვაქვს და ამერიკაში, მას მერე რაც პირი მოსამართლედ დაინიშნება, როგორც წესი, მოკლევადიან, ორკვირიან სასწავლო კურსს გადის.

საქართველომ კი, შემოიღო 14-თვიანი მოცულობითი სასწავლო კურსი მომავალი მოსამართლეებისათვის, რაც ვფიქრობ, რომ მოსამართლეთა მომზადების ორგანიზებული სტრუქტურის ჩამოყალიბებისაკენ აღებული გეზია და საკმაოდ სასარგებლოა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოსამართლეების დანიშვნის პროცესისათვის.

ასე რომ, საქართველოს სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობის დონეზე ჩამოყალიბებულია მტკიცე კურსი, რომ სასამართლო სისტემა მეტად დამოუკიდებელი გახდეს, რომ მოსამართლეებმა იხელმძღვანელონ ეთიკური სტანდარტებით, დაეყრდნონ მხოლოდ კანონს და მოიქცნენ ისე რომ, დაცული იყვნენ ყოველგვარი, თუნდაც, პოლიტიკური გავლენისგან.

ახლახანს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც ძირეულად ცვლის, როგორც არსებულ დამოკიდებულებებს პროცესის მონაწილე მხარეებს შორის, ასევე მოსამართლის როლს. საინტერესოა, რას გვეტყვით ამ სიახლის შესახებ და რა გავლენას მოახდენს იგი ახალი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით?

– როგორც მოგახსენეთ, ქართული სასამართლო სისტემა ნამდვილად იცვლება და ვითარდება და ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღება. იმ დიდ ცვლილებებს, რაც სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსს მოყვება, ამ სფეროში ამერიკაში მიმდინარე ვერც ერთ მოვლენას ვერ შევადარებ. ასეთი გლობალური ცვლილება ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის სისტემაში 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების აქტისა და მირანდას გადაწყვეტილების შემდეგ პერიოდში არ განხორციელებულა.

ახალი კოდექსით სრულიად იცვლება მართლმსაჯულება, კოდექსში ადამიანის უფლებების დაცვის და სამართლიანი სასამართლოს უფრო მეტი გარანტიებია ჩადებული. სრულიად იცვლება მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების – სამართალწარმოების ამ სამი რგოლის ფუნქციებიც. როგორც იცით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება და ვთვლი, რომ სამივე მხარისთვის – სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურისათვის ეს დიდი გამოწვევაა – ამ დროისათვის მზად უნდა იყვნენ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის სიახლეების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ახალი საპროცესო კოდექსით შემოდის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის საქმეებზე. ყველა მხარე მომზადებული უნდა იყოს, როგორც ჩვეულებრივი, ასევე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის და საქართველოში სასამართლოს, პროკურატურის და ადვოკატურის ბევრი წარმომადგენელი დაუღალავად მუშაობს, რომ ყველა მხარე მომზადებული შეხვდეს ამ ცვლილებებს.

როგორც იცით, ახალი საპროცესო კოდექსის მთავარი პრინციპია მხარეთა შეჯიბრებითობა. ამ მიმართულებით ქართველი მოსამართლეებისათვის გამოცდილების გაზიარებაში ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მოსამართლეებიც აქტიურად არიან ჩართული – ისინი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად ქართველ მოსამართლეებთან ატარებენ სამუშაო შეხვედრებს სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე. ეს, ის მოსამართლეები არიან, რომლებიც ამერიკის პრეზიდენტის მიერ ამ თანამდებობაზე უვადოდ დაინიშნენ და სრულიად დამოუკიდებელნი არიან აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. მათი დამოუკიდებლობა არის ძალზე მნიშვნელოვანი იმ „კონტროლისა და ბალანსის“ შესანარჩუნებლად, რამაც სასამართლო ხელისუფლება ამერიკის ხელისუფლების ძლიერ და დამოუკიდებელ შტოდ ჩამოაყალიბა. სასამართლო სისტემის იგივე სიძლიერე და დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამერიკაში საუკუნოვანი გამოცდილება აქვს. ეს ინსტიტუტი ქართული საზოგადოებისათვის ფაქტობრივად უცხოა და აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ახლა ყალიბდება. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, საინტერესოა თქვენი მოსაზრება ზოგადად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. როგორ ფიქრობთ, გაამართლებს თუ არა ეს სიახლე საქართველოში? თქვენი აზრით, რით არის მნიშვნელოვანი საქართველოს სამართლებრივი სივრცისათვის ამ უცხო და დასავლეთის ქვეყნებში კარგად აპრობირებული ინსტიტუტის შემოღება?

– ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამერიკაში ნამდვილად მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, რაც ჩვენი კულტურის ნაწილია. ამერიკის მოქალაქეები დადებითად არიან განწყობილნი დემოკრატიის ამ ინსტიტუტისადმი. იციან, რომ შეიძლება მოუწიოთ ნაფიც მსაჯულად ყოფნა და ამისათვის ყოველთვის მზად არიან. მე, როგორც პროკურორს, ორივე დონის სისტემაში მაქვს ნამუშევარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში – შტატის დონეზეც და ფედერალურ სასამართლოშიც. დაახლოებით, 100-ზე მეტ ნაფიც მსაჯულთა პროცესზე ვარ პროკურორად გამოსული და ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სისტემის მიმართ ძალზე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ ეს სისტემა საქართველოშიც წარმატებულად ამუშავდება.

როგორც ვიცი, 1919 წელს საქართველოში მიღებული იყო კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. ამ სასამართლომ 1921 წლის თებერვლამდე იმოქმედა და გასაბჭოების შემდეგ შეწყვიტა არსებობა. ვინაიდან, ამ სასამართლომ ქვეყანაში ცოტა ხანს იმუშავა, მის შესახებ ნაკლები ინფორმაცია მოიპოვება, მაგრამ არსებობს ისტორიული კავშირები და ამიტომაც, ეს ინსტიტუტი საქართველოში ნამდვილად გაამართლებს.

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მკვლელობის საქმეებზე იწყებს ამოქმედებას. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ მკვლელობის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა იაპონიაში – მდიდარმა და განვითარებულმა სახელმწიფომ ნაფიც

მსაჯულთა სისტემა შემოიღო. აღსანიშნავია, რომ იაპონიამ საქართველოს მსგავსი მიზეზების გამო გადაწყვიტა ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღება. საუბარია, რომ იაპონიაშიც, მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავდა საქმეს და წყვეტდა ბრალდებულის უდანაშაულობისა თუ დამნაშავეობის საკითხს, რაც ხანგრძლივი და დახურული პროცესი იყო. იაპონური საზოგადოება თვლიდა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების თაობაზე. ფიქრობდნენ, რომ მალულად ხდებოდა ამ საკითხების გადაწყვეტა და შეიძლება კორუფციულადაც. ამის გამო მათ დაკარგეს სასამართლოსადმი ნდობა. ამ პარალელების გავლება საქართველოსთანაც შეიძლება, ვინაიდან, წლების განმავლობაში საზოგადოებამ სასამართლოსადმი ნდობა დაკარგა, რადგან საბჭოთა კავშირის დროს, საქართველოში ინკვიზიციურ სასამართლო სისტემაში გავრცელებული იყო კორუფცია. ამჯერად, საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას და ცდილობს დემოკრატიული გახდეს სახელმწიფო სტრუქტურები და რა თქმა უნდა, მათ შორის სასამართლოც. ეს ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოების ჩართულობას ხელისუფლების განხორციელებაში და ისინი იამაყებენ, რომ მონაწილეობას მიიღებენ ხელისუფლების უფრო მეტად გამჭვირვალობის პროცესში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებისას, მოქალაქეები პირდაპირ ჩაერთვებიან მართლმსაჯულების განხორციელებაში. თუ საზოგადოებას ისტორიულად არ ჰქონდა სასამართლოს ნდობა და ფიქრობდა, რომ მოსამართლეები არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ახლა ხალხი თავად იქნება ამ პროცესის მონაწილე და გადაწყვეტილებას თავად მიიღებს. მათ უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტები, რის დამტკიცებასაც შეძლებს პროკურორი და მოუწევთ ამ ფაქტების მიმართ კანონის გამოყენება ისე, როგორც ამაზე მათ მოსამართლე მიუთითებს. მოქალაქეები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. მოსამართლე კანონის ექსპერტი იქნება, მაგრამ იმოქმედებს როგორც დამოუკიდებელი დამკვირვებელი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს ჩატარებას როგორც ბრალდებულის, ასევე ბრალდების მხარეთათვის,

წარმატებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის ორი წინაპირობა არსებობს: საზოგადოება უნდა იყოს მომზადებული, კარგად ინფორმირებული მათი როგორც მსაჯულების როლისა და ვალდებულებების შესახებ და მეორე – სასამართლო და მხარეები – პროკურორი და ადვოკატი მზად უნდა იყოს, რათა წარმატებით და მაღალპროფესიულად ჩაატაროს პროცესები.

კარგია, რომ საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ძალიან კარგი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ექსპერტებთან შეჯიბრებითობის სისტემის სამართლებრივ საკითხებზე, რათა უზრუნველყონ სასამართლო სისტემის მომზადება 2010 წლის ოქტომბრისათვის და წარმატებით განხორციელდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესები და ნამდვილ შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული სასამართლო განხილვები.

ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტი აპირებს დააფინანსოს სოციალური რეკლამა, რომელიც გათვლილი იქნება საზოგადოების ინფორმირებულობაზე, საზოგადოების ადეკვატურ გაცნობასა და მომზადებაზე ნაფიც მსაჯულთა

სასამართლოსთან დაკავშირებით. აღნიშნული სოციალური რეკლამა მომზადდება ისეთ თემებზე, როგორიცაა: მოქალაქეების როლი სასამართლოში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ახალი სისტემა, თუ რას უნდა ელოდონ მოქალაქეები ამ სიახლისაგან, მათი პასუხისმგებლობის შესახებ და ა.შ.

ამ ინსტიტუტს საქართველოშიც ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც აცხადებენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ნაცნობ-მეგობრობის ინსტიტუტი აქტიურად მოქმედებს, ვერ გაამართლებს. შესაძლებელი იქნება ნაფიც მსაჯულთა მოსყიდვა და მათი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევა, ისე, როგორც ეს მოხდა რუსეთში. აღსანიშნავია, რომ ამერიკამაც გაიარა საფეხურები ამ ინსტიტუტის სრულყოფილებამდე.

– მსმენია ასეთი მოსაზრებები, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ იქნება საქართველოში წარმატებული, რადგან ძალიან პატარა ქვეყანაა, სადაც ნათესაური კავშირები ძალზე გავრცელებულია და ა.შ. თუმცა არა მგონია, რომ ამ სასამართლოს წარმატებით ასამოქმედებლად ეს იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი, რადგან გასათვალისწინებელია იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც საქართველოს ჰგავს. მაგალითად, შოტლანდია, რომელიც პატარაა და საზოგადოებაც ახლო კავშირებზე არის დაფუძნებული, სადაც ყველა ყველას იცნობს – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მაინც წარმატებით მუშაობს.

11 თვეა საქართველოში ვიმყოფები და ჩემი მცირე გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ ქართველები არაფრით განსხვავდებიან ძლიერი, დემოკრატიული ქვეყნების კარგი მოქალაქეებისაგან, მშვენივრად ერკვევიან დემოკრატიულ ღირებულებებში და იციან, რა უნდა მოსთხოვონ ხელისუფლებას. ასევე, იციან, რომ უნდა დაიცვან წესები. ისინი რა თქმა უნდა, იცნობენ ძირეულ იურიდიულ ცნებებს, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომლითაც დაცულია ბრალდებულის უფლებები და ა.შ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობა შეძლებს იმსჯელოს ფაქტებზე და მათზე დაყრდნობით დაასკვნას, არის თუ არა ადამიანი დამნაშავე ან უდანაშაულო და იხელმძღვანელოს კანონით, როგორც მას მიუთითებს მოსამართლე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დიდი დასახლებული ცენტრიდან დაშორებულ, ძალიან პატარა, მცირედ დასახლებულ ტერიტორიებზეც იმართება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვახერხებთ მოვიძიოთ 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოიტანს სამართლიან გადაწყვეტილებას. ბევრი მსაჯულის შთაბეჭდილებით, მსაჯულად ყოფნა მათ მიერ ქვეყნისათვის გაწეული სამსახურიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი გამოცდილებაა. საზოგადოებას სურს ამ პროცესებში აქტიურად ჩაერთოს, უზრუნველყოს, რომ სასამართლო სამართლიანი იყოს და ყველა მოქალაქეს, მდიდარსა თუ ღარიბს თანაბრად ემსახუროს და იამაყონ მათი ქვეყნის სასამართლო სისტემით. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამ მიმართულებით სასარგებლო იქნება.

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ დიდი პასუხისმგებლობა აწევს სასამართლო

ხელისუფლებას, ასევე, მათ, ვინც ჩართულია ამ სისტემის მომზადებაში, მათ შორის მეც. ინფორმაციას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თაობაზე უნდა გაეცნოს, როგორც ქართული საზოგადოება, ასევე, სასამართლოს წარმომადგენლები.

რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ვერ ამოვწურავთ ნაფიცი მსაჯულებზე გავლენის მოხდენის შესაძლო რისკებს, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სისტემას ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მომენტი აქვს, რომ გაცილებით ადვილია ერთ მოსამართლეზე გავლენის მოხდენა, ვიდრე 12 მსაჯულზე. შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს მექანიზმი, რომელიც ამ არასწორი გავლენისაგან დაიცავს ნაფიც მსაჯულს – ესაა მსაჯულთა რაოდენობა. ამასთან ერთად, ნაფიცი მსაჯულები მიიღებენ ინსტრუქციას, რომ სასამართლოს აცნობონ გარეშე პირის მიერ მათზე გავლენის მოხდენის მცდელობების შესახებ. კანონი არ იქნება ლმობიერი მათ მიმართ, ვინც მსაჯულთა მოსყიდვას განიზრახავს.

ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ ნაფიცი მსაჯულები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, იციან, რომ ფიცის დადების შემდეგ, უნდა იხელმძღვანელონ მხოლოდ კანონით და უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, რომელიც სამართლიანი უნდა იყოს, როგორც ბრალდებულის, ასევე, სახელმწიფოს მიმართაც.

ამერიკის შეერთებული შტატები მრავალმხრივ და სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვადასხვა დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებას. კერძოდ: მოსამართლეების სწავლება, სპიკერი მოსამართლეების ინსტიტუტი, მოსამართლეთა ეთიკის პროექტი, რომელიც საკმაოდ მოცულობითია და ა.შ. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას ასევე, ეხმარება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების დახვეწაში, რაც ასევე, მნიშვნელოვანია და საბოლოოდ, მართლმსაჯულების გამჭვირვალობას ემსახურება. როგორ ფიქრობთ, დამატებით რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით?

– საზოგადოებისათვის სასამართლო ახლაც გამჭვირვალეა, თუმცა საჭიროა საზოგადოებასთან უფრო მეტი კომუნიკაცია. იმისთვის, რომ უფრო მეტად გამჭვირვალე გახდეს სასამართლო სისტემა, მისმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ აამაღლოს საზოგადოების ცოდნა, თუ როგორ მუშაობს სასამართლო სისტემა. მაგალითად, ამერიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენს სასამართლოებს აქვთ ძალიან კარგი ვებ-გვერდები, სადაც შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სასამართლო ინფორმაციისა თუ საჯარო დოკუმენტის მოძიება. მაგალითად, რომელი მოსამართლე იხილავს საქმეს, როდისაა პროცესი ჩანიშნული და ა.შ. ეს ძალიან სასარგებლო სერვისია, რომლის დახმარებითაც მოქალაქეს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის საჭირო საჯარო ინფორმაციის მიღება მიმდინარე სასამართლო განხილვის შესახებ. ამერიკული სასამართლოს

ვებ-გვერდზე ასევე, ქვეყნდება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ეს არის მეტ-ნაკლებად იაფი საშუალება, რომ სასამართლო ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისათვის და საზოგადოებამ მეტი ისწავლოს სასამართლოს მოწყობისა და საქმიანობის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ის პროცედურა, რომელიც მოსამართლეთა შერჩევას ემსახურება, ძალზე კარგია, მაგრამ მეტი მოთმინება გვმართებს, რადგან სისტემის შეცვლა რთული პროცესია და საბოლოო შედეგის მიღებას მოთმინება და ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება.

ვფიქრობ, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემაზე გადასვლით გაცილებით გაიზრდება ქართველი მოსამართლეების როლი. პროცესზე დამსწრე საზოგადოება როცა ხედავს, რომ მოსამართლე თავის საქმეს ხარისხიანად და მიუკერძოებლად აკეთებს, ეს ნდობის ხარისხსაც გაზრდის. იგულისხმება, რომ მოსამართლემ არ უნდა დაუშვას პროკურორის, ან ადვოკატის არაეთიკური, არაპროფესიონალური მოქცევა და მოახდინოს სათანადო რეაგირება ასეთ ქცევაზე. მინახავს, როცა სასამართლო პროცესზე ან გადაწყვეტილების გამოცხადებისას წარმოდგენილი მხარეების იურისტები მობილურით საუბრობენ, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. ვფიქრობ, რომ თუ მოსამართლეები მოითხოვენ მართლმსაჯულებისადმი პატივისცემით მოპყრობას და თავადაც პატივისცემით მოეპყრობიან მხარეებს, მაშინ მოქალაქეები მეტი ნდობით განეწყობიან სასამართლოსადმი, როგორც ძლიერი ორგანოსადმი, სადაც სამართლიანობა და პროფესიონალიზმი ფასობს.

Georgian Court System is Getting Better

"ACHIEVEMENT OF FINAL RESULTS TAKES PATIENCE AND HARD WORK"

RESIDENT LEGAL ADVISOR OF THE US EMBASSY IN GEORGIA, MR. JARED KIMBALL THINKS THAT GEORGIAN JUDICIAL SYSTEM IS UNDERGOING DRAMATIC CHANGES. HE CONSIDERS THAT TRANSITION FROM SOVIET STYLED INQUISITORIAL SYSTEM TO A DEMOCRATIC SYSTEM TAKES TIME AND HARD WORK. "WILLINGNESS AND A DESIRE FOR A STRONG AND INDEPENDENT JUDICIARY IS WHAT THE HEADS OF JUDICIAL SYSTEM REALLY HAVE" – SAYS JARED KIMBALL. BELOW IS THE INTERVIEW WITH MR. KIMBALL ON ONGOING JUDICIAL REFORM AND OTHER LEGAL ISSUES.

As you are well aware, reform is a complex and lengthy process, and is made up of structural-organizational, as well as material components, especially judicial reform, which takes much more efforts. Georgia is undergoing a new wave of reform and I would like to hear your opinion, how would you evaluate already accomplished work?

– The Georgian judicial system is changing for better. I think that the heads of judicial system do their best to increase level of independence among judges. Taking into account the history of judicial power, it is a very difficult and ambitious task. Georgian courts were built up on an inquisitive system. Historically, executive and judicial powers were closely linked, and changing this situation will take much time and great efforts. Those root changes that are taking place now within the court system, are aimed at development of the system, and are aimed at strengthening the judiciary as an independent branch of government.

The main challenge associated with this process, is for the judicial system to enhance and ensure the individual independence of each

judge in terms of decision-making – much work in this direction has already begun. It requires great commitment from court leadership to achieve a strong and independent judiciary.

One of the very positive steps of the judicial reform is a 14-month training course at the High School of Justice, established for future judges. Judges must be selected based on their knowledge, qualification and professionalism, which, in my opinion, is a great step forward. For instance, in the US, we don't have a similar and lengthy training program for new judges, and typically after you are appointed as a judge in the US, one usually has to attend only a short two-week training course.

Georgia has adopted a comprehensive 14-week judicial training course, which, I think, is a way towards establishing an organized educational structure for the judiciary and a very useful tool for selecting judges based on merit.

The top management of Judicial System in Georgia has made a firm decision to make judicial system more independent, so that judges act according to ethical standards, act according to the law, and act so as to be protected from any, even political influence.

Recently the parliament of Georgia adopted new Criminal Procedures Code, which absolutely changes the relationship between the parties of the proceeding, as well as the role of a judge. What can you tell us about this innovation and about the impact it may have on formation of new justice culture?

– As I said, the Georgian judicial system is actually being changed and improved upon, and adoption of new Criminal Procedures Code is very important in this regard. I cannot compare the great changes that will follow the adoption of new CPC to any other event that has taken place in this field in America. The US has not experienced such a global change in criminal justice since the Civil Rights Act of the 1960's or the Miranda decision.

The New CPC changes administration of justice; the Code implies more guarantees for protection of human rights and due process. The functions of three units of the court proceeding – judges, prosecutors and defense attorneys, are also altered. As you know, the new Criminal Procedures Code will enter into force from October 1, 2010, and I think that it is a great challenge for all three parties – court, prosecutors' office and defense bar – all three must be ready to embrace the innovations of the adversarial system. New CPC introduces jury trials for aggravated murder cases. Everybody needs to be ready for bench trials as well as for jury trials and there are many people in Georgia with the judiciary, prosecution, and defense, who are working hard to make sure that all players are prepared.

As you know, main principle of new Criminal Procedures Code is the adversary system. In this regard, US federal judges are actively involved in the process of sharing their experience with Georgian judges – they conduct working sessions on trial practice for Georgian justices in partnership with the High School of Justice. These US judges have lifetime appointment by the President of the United States and they are absolutely independent from the executive branch. Their independence is one of the valued "checks and balances" that have allowed the judiciary to remain a strong and independent branch of government in the US. That same judicial strength and independence is valued in Georgia.

Jury trial experience in the Unites States counts a century. This institute is unknown to Georgian people, and civil society is in the process of formation. Based on your experience, how do you view jury trial and do you think it will work in Georgia? In your opinion, why is it important for Georgian legal sector to adopt this foreign institute, already tested and operable in western countries?

– Jury trials in the US courts have many years of prior experience, and they are part of our culture. US citizens have positive attitude to this institution of democracy. They know that they can be called to serve as jurors and they are ready for it. Being a prosecutor, I have worked with jury trials on both levels – state and federal courts. I have served as prosecutor on more than 100 jury trials; I am very optimistic about the jury trial system and its prospects for success in Georgia.

As far as I know, Georgia adopted the law on jury trials in 1919. Jury trials remained in force till February of 1921 and after soviet entry, it was abolished. As it had a short history in Georgia, there is not much information about it, but historic links exist and the institute of jury trial in Georgia will be a success.

Georgia is not the only country that starts the history of jury trials in their country by introducing jury trial in murder cases. For instance, Japan has recently initiated jury trials for murder cases – this prosperous and developed country made the decision to adopt jury trial system. It must be noted that Japan has some of the same reasons for introduction of jury trial as does Georgia. Japanese judges using panels solely examined the case and decided whether the defendant was guilty or innocent. These were lengthy and closed proceedings. The Japanese people believed that they did not have enough information about the decision made by the judge; they thought that the issues were being solved secretly, perhaps corruptly, and people lost faith in the courts. The same can be said about Georgia. People here have lost faith in the courts as corruption was present h within the soviet-styled inquisitorial court system. Georgia has decided instead to follow the road of democratic development and has democratized state structures, including the courts. This will allow the people of Georgia to feel more included in their government, and to take pride in advancing the integrity of government institutions.

With activation of jury trials, the citizens will be directly involved in the administration of justice. If people historically had no trust in the courts and thought that judges made wrongful decisions, now the people will be part of the process themselves and will be required to apply the facts as proven by the prosecutor, and apply these facts to the law as instructed by the court. The citizens will play a vital role in deciding guilt or innocence. The court will remain the expert in law, but will act as an independent body- insuring a fair trial for both the defendant and the government.

There are two preconditions for jury trial to be a success: society must be prepared, and well-informed regarding their role and responsibilities as jurors, and the courts and the parties- prosecutors and defense advocates, must be prepared to successfully and professionally conduct the trials.

Luckily, the Georgian Judicial System has very good management; they actively cooperate with many legal experts in the adversarial system, in order to ensure that the court system will be prepared for October of 2010, and to successfully conduct the jury trials and all adversarial court proceedings.

The US Department of Justice plans to fund public service announcements, which will be aimed at raising public awareness, and to ensure adequate knowledge and preparation for jury trials. These public service

announcements will address the role of citizens in the jury process, the new structures of the criminal justice system, and will address the citizen's expectations, responsibilities, etc.

The institute of jury trial has many opponents in Georgia who claim that jury system will not work in Georgia – the country were the concepts of friendship and familiarity play big role. They say it will be easy to bribe jurors or use political influence, as it happened in Russia. US also went a long way to refine and develop this institute.

– I have heard such ideas saying that jury system will not succeed in Georgia as the country is very small and concept of kin is widespread, etc. I don't think that the above factor may hinder successful operation of jury system, for we have experiences of the countries similar to Georgia. For example, Scotland is a small and closely knit society where everyone knows everyone and where jury trials still work quite successfully.

I have been in Georgia for 11 months already and from my limited experience I can say that Georgians are not different from the good citizens of other strong democratic countries; Georgians have a good understanding of democratic values, and know what to demand from their government. Georgians also know that they need to comply with the rules; they of course know basic universal legal concepts, including the presumption of innocence that protects defendant's rights, etc. Therefore, I think that the Georgian people will be able to examine facts and make decisions on innocence / guilt of a person based on these facts- and based upon the law as instructed by the court

In the United States, jury trials are held in rural areas with a small population; despite this fact, we still manage to find 12 jurors who are capable of reaching a fair and impartial verdict. Many jurors say that serving as a juror was one of the most important and memorable parts of being a citizen of their country. People want to be involved in ensuring that the courts are fair and work equally well for all citizens – rich or poor, to take pride in their court system. Jury service will help in this regard.

I would like to once again stress the huge responsibility that is on the judicial power and those, who are involved in preparation process, including myself. The information about jury trials must be made available and known to people of Georgia as well as court employees.

Of course, we will not be able to eliminate all possible risks of a juror being manipulated, but this jury system has one more positive characteristic feature – it is much easier to influence one judge than it is to influence 12 jurors. We may say that there is a mechanism that will protect jurors from such improper influence – this is their sheer number. Also, jurors will be instructed to inform the court if they are approached or pressured by an outside party. The law will not be kind to those who seek to tamper with a juror.

From my own personal experience, I think that jurors assume their duty with great responsibility; they know that once they are sworn in, they are beholden to follow the law and to ensure a fair verdict – fair to defendant as well as to the State.

US provide a diverse and vital assistance to our country, and to judicial system. In particular: training for judges, institute of speaker judges, draft code of ethics for judges, etc. US also assist Georgian judicial system in refining public relations and information distribution mechanisms,

which is also very important and serves to transparency of justice. What other measures need to be taken in this direction?

– At present, the court is transparent for the people, though communication with public must be more active. In order for the court to become more transparent, members of court administration must do their best to increase public awareness about the operation of court. Based on US experience, our courts have very well-established WebPages, which include court information and public documents. For instance, one can check which judge is hearing a particular case, when the hearing is appointed, etc. it is a very useful service, by means of which any citizen can obtain public information on a current court case right at home. US court WebPages also post the judgments drawn by the judges. This is a relatively inexpensive way to allow broad public access to the courts, and to allow citizens to learn more about the work of the courts and the court's structure.

I think that the procedure of judge selection is very good, but we need to have more patience, for change of system is a very complicated process and achievement of final results takes patience and hard work.

I think that moving to jury system will enhance the role of Georgian judges. When people, attending the hearing, see that the judge is doing his/her job with high quality and integrity, it will increase public trust. The judge should restrict unethical or unprofessional conduct of a prosecutor or a defense attorney and must have adequate response to such acts. I have seen lawyers talking on their cell phones at the moment the judge is making a ruling, which is completely unacceptable. If the judges demand respect towards judicial system and in turn show respect towards the parties, the public will have more trust towards the courts as a strong entity- and one where integrity and professionalism are valued.

სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება

ირმა მერეგაშვილი
სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

განვითარებული ქვეყნების სასამართლო სისტემებისათვის დამახასიათებელია სამართალწარმოება მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამის დამადასტურებელ ნორმებს ქართულ კანონმდებლობაშიც ვხვდებით. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, ასევე განმტკიცებულია ეს პრინციპი. საქართველოში სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მტკიცებულებები. მხარეები თავად განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ანდა რომელი მტკიცებულებებით დაადასტურონ ეს ფაქტები.[1]

საყურადღებოა, რომ მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპისა, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, საქართველოს და კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობები შეიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხაზს უსვამს ე. წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნების არსებობასაც.

ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების შეჯიბრებითობასა და ინკვიზიციურ ტიპებს შორის განსხვავება საქმისწარმოებისას გამოხატულია მხარეთა მდგომარეობითა და სასამართლოს, მოსამართლის როლით. მხოლოდ მხარეთა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ საქმისწარმოებისას, ორივე მხარე – მოსარჩელეც და მოპასუხეც თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, პროცესი დუელის სახეს იღებს, ხოლო მოსამართლეს ნეიტრალური პოზიცია უკავია. მოსამართლის ასეთი მდგომარეობა ნიშნავს, რომ ის არის არბიტრი მხარეთა მიმართ, ის არ იკვლევს არსებულ ჭეშმარიტებას, არ გამოითხოვს და არ გამოიკვლევს მტკიცებულებებს საკუთარი ინიციატივით. მოწმეთა დაკითხვა, სხვა მტკიცებულებების გამოთხოვა, პროცესის სხვა მონაწილეთა დაკითხვა მხარეთა მოვალეობას წარმოადგენს. შეჯიბრებითობის საფუძველზე განხორციელებული საქმისწარმოებისას სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული წესების დაცვას, უსმენს ორივე მხარეს და თავის აზრს გამოხატავს მიღებული გადაწყვეტილებით. სასამართლოს ასეთი ნეიტრალური როლისაგან განსხვავდება სასამართლოს ფუნქციები ე.წ. ინკვიზიციურ პროცესში. საპროცესო კანონმდებლობით, განსაზღვრულია, რომ მხარეთა მოვალეობებს გარკვეული, თუმცა, დიდი დოზით, საკუთარ თავზე იღებს სასამართლო. ეს გამოხატულია სასამართლოს აქტიურობაში, ანუ პასიური არბიტრის როლიდან სასამართლო გადასულია პროცესში აქტიურ მონაწილეობაზე, იმ თვალთახედვით, რომ იგი გამოითხოვს და გამოიკვლევს მტკიცებულებებს, კონტროლს უწევს მტკიცებულებათა შეგროვებას, ხშირად მეტად აქტიურობს იმ მიზნით, რომ შედგეს მხარეთა შორის მორიგება.[2]

მხარეთა შეჯიბრებითობისა და საქმისწარმოების პროცესში სასამართლოს როლზე მიუთითებს ფრანგი მეცნიერი ჟ. მური, როდესაც ამბობს, რომ პროცესში მხარეთა აქტიური დამოკიდებულების განვითარების მიუხედავად, კანონმდებელმა არ უნდა დაივიწყოს თავად მოსამართლეთა დისკრეციული უფლებების შესახებ. მოსამართლეს უნდა შეეძლოს, მტკიცებულებათა სწორად შეფასების მიზნით, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოითხოვოს ნებისმიერი მტკიცებულება, რომლებსაც მხარეები ეყრდნობიან, იმისგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა ამის შესახებ მხარეთა შუამდგომლობა.[3]

ასეთ შემთხვევაში, საყურადღებოა გარემოებები, სასამართლოში საქმისწარმოების პროცესის ე.წ. ინკვიზიციური ხასიათის ხარისხთან დაკავშირებით. ამ გარემოებებზე კი, მიუთითებს ნორმები, რომლებითაც ირკვევა, სასამართლოს აქტიური როლი მართლმსაჯულების განხორციელებისას სავალდებულო ხასიათს ატარებს, თუ ეს მხოლოდ მის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება. თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლს მივმართავთ, მის მე-2 ნაწილში გაცხადებულია, რომ საქმის გარემოებათა გარკვევამდე, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. იგივე პრინციპებია მოცემული საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-185-ე მუხლებში, სადაც აღნიშნულია, რომ მოსამართლეს შეუძლია, გამოითხოვოს მტკიცებულებები. თუმცა, საყურადღებოა ამ კოდექსის მე-16 მუხლი, სადაც გაცხადებულია, რომ მოსამართლემ უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ ისინი აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის.[4] ანუ სასამართლოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მინიჭებული აქვს მხოლოდ უფლება, აქტიურად იმოქმედოს იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რითაც აღჭურვილნი არიან მხარეები საქმის გარემოებების გარკვევისას. ვალდებულების არანაირი ფორმის გამოხატულებას ქართული კოდექსი ამ თვალთახედვით არ შეიცავს, რითაც ის სხვა ქვეყნების, თუნდაც საფრანგეთის კოდექსისაგან განსხვავდება. მოქმედი ქართული კოდექსი აშკარად გამო-

ირჩევა მისი წინამორბედი კოდექსისაგან, რომლის მე-11 მუხლის მიხედვით, სასამართლო მოვალე იყო, არ დასჯერებოდა წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული კოდექსი უფრო აზუსტებდა სასამართლოს მოვალეობებს ამ მხრივ და აცხადებდა, რომ სასამართლო ვალდებული იყო, განემარტა საქმეში მონაწილე პირებისათვის მათი უფლება-მოვალეობები, გაეფრთხილებინა საპროცესო მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის შედეგების შესახებ და რაც უთუოდ მნიშვნელოვანია, დახმარებოდა საქმეში მონაწილე პირებს, მათი უფლებების განხორციელებაში.[5]

უთუოდ, გასათვალისწინებელია, გარემოება, რომელიც სწორადაა შენიშნული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარების ავტორების მიერ, რომ „კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (მაგალითად, სსს კოდექსის 350-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მტკიცებულებათა შეგროვება მხარეთა შუამდგომლობის გარეშე, შეიძლება გახდეს მოსამართლის (სასამართლოს) აცილების საფუძველი (31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი)“.[6]

მსგავსი მიდგომა არც ფრანგული კანონმდებლობისთვისაა უცხო. თუმცა, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 254-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის შესახებ საკითხი, თუ ამ მტკიცებულებას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.[7]

ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ჟულიო დე ლა მორანდიერის აზრით, მოსარჩელე და მოპასუხე ვალდებულნი არიან ამტკიცონ, ე. ი. დაარწმუნონ მოსამართლე მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ სამართალში სასამართლოს არ ეკუთვნის მტკიცების ინიციატივა, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ გარკვეულ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ და ისინი მხარეებს არ წარმოუდგენიათ, მას თავად შეუძლია, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს საჭირო მტკიცებულებები.[8]

სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და საქმის სწრაფად გადაწყვეტის მიზნით, გერმანიაში საპროცესო კანონი ყოველთვის მკაცრად არ იცავს შეჯიბრებითობის პრინციპს. ეს პრინციპი გამოირიცხება საქმის ყველა გარემოების გამოკვლევით მტკიცების ეტაპზე, ასევე, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი ობიექტურ ფაქტებს გადაწონის, მაგალითად, საოჯახო საქმეთა წარმოებისას. პროცესი რომ არ გაჭიანურდეს, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს აღჭურავს უფლებით, წაიყვანოს საქმისწარმოება. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო არსებითად გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობაზეც და პროცესის შედეგზეც. სასამართლომ დროულად და საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს. თუმცა, იმავდროულად, მხარეები თავისუფლად გადაწყვეტენ, აპირებენ თუ არა მოსამართლის განმარტებების გათვალისწინებასა და გამოყენებას. სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ მოსამზადებელი ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა განმარტებები, ვადების დანიშვნა, რათა, რაც შეიძლება, კონცენტრირებულად და მოკლე ვადებში დაამთავროს დავა.[9]

გერმანიის საპროცესო კოდექსის (ფრანგული და სხვა კოდექსების მსგავსად) 616-ე პარაგრაფის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გასცეს განკარგულება, მტკიცებულებათა გამოკვლევის შესახებ და მხარეთა მოსმენის შემდეგ, მიიღოს გასათვალისწინებლად ის ფაქტები, რომლებიც მათ მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი.[10] როგორც შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამონაკლისს, გერმანული კანონმდებლობა იცნობს ე. წ. „მტკიცების ტვირთის შეზღუდვას", რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეგროვების შესაძლებლობას, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს და გასცეს განკარგულება მხარეთა დაკითხვაზე, დათვალიერების ან ექსპერტიზის ჩატარებაზე, იმ დოკუმენტების წარმოდგენაზე, რასაც მხარეები ეყრდნობოდნენ პროცესზე.[11]

თუ მივმართავთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლს, რომელიც ადგენს მხარეთა მორიგების მიზნით, მოსამართლის მიერ შესასრულებელ მოქმედებებს, უდავოა, რომ ქართული კოდექსი ამ შემთხვევაში უშვებს მოსამართლის, ვალდებულებაში გამოხატულ და აქტიურ როლს. თუმცა, ეს აქტიურობა მიზნად ისახავს მხოლოდ მხარეთა მორიგებას და არა საქმის არსებით განხილვაში აქტიურ ჩართვას მოსამართლის მხრიდან. „ამ მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს აქტიურ როლზე მხარეთა მორიგების მიზნით. ეს ნიშნავს, რომ სასამართლომ დამაჯერებლად უნდა განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დამთავრების უპირატესობაზე, მიზანშეწონილობასა და ორივე მხარისათვის ხელსაყრელობაზე. შესთავაზოს მათ მორიგების პირობები და ამ თვალსაზრისით მოახდინოს მათზე საჭირო ზემოქმედება".[12]

მხარეთა მორიგების მიზნით, ქართული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იმდენად შორს მიდის, რომ მოსამართლეს აძლევს უფლებამოსილებას, მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე, რის ფონზეც მხარეებს შესთავაზებს მორიგების პირობებს. ჩვეულებრივ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითება მოსამართლის დაინტერესებად და მინიმუმ, მიკერძოებად მაინც ჩაითვლებოდა, თუმცა, ამ შემთხვევაში კოდექსი მოსამართლის აქტიურობას მთავარ მიზანს – მხარეთა მორიგებას უკავშირებს და შესაძლო აცილების საფუძვლის გამორიცხვასაც ახდენს.

ამ მხრივ, მოკრძალებულად გამოიყურება რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ნორმა და მოსამართლის აქტიურობა მის წინამორბედ რედაქციასთან შედარებით. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხაზგასმულია, რომ სასამართლო ინარჩუნებს რა დამოუკიდებლობას, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, ხელმძღვანელობს პროცესს, საქმეში მონაწილე პირებს უხსნის მათ უფლებებსა და მოვალეობებს, აფრთხილებს პროცესუალური მოქმედებებისა თუ მათი არშესრულების შედეგებზე. ასევე, ქმნის პირობებს, რათა ყოველმხრივ და სრულად იქნას გამოკვლეული მტკიცებულებები, დადგენილ იქნას გარემოებები და სწორად იქნას გამოყენებული კანონმდებლობა სამოქალაქო საქმეთა როგორც განხილვისას, ისე გადაწყვეტისას.[13]

მხარეთა მორიგებაში სასამართლოს აქტიურობის მნიშვნელობაზე მიუთითებს ფრანგი მეცნიერი მ. კარატინი, როდესაც აცხადებს, რომ სასამართლოში წარდგენილ საქმეთა რაოდენობის მუდმივი ზრდა, საქმეთა სირთულის გამო პროცესების განხილვის დროში გაჭიანურება, მოითხოვს სამოქალაქო საქმისწარმოების რაციონალიზაციას, რაც შესაძლოა, მიღწეულ იქნას საქმეთა განხილვის მოქნილი პროცედურებით, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება, ვიდრე საქმის დაუსრულებელი განხილვა.[14]

ცნობილია, რომ ინგლისი კონტინენტური ევროპის ქვეყნების სასამართლოების საქმისწარმოებისაგან აბსოლუტურად განსხვავდება. ინგლისში მართლმსაჯულების განხორციელება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის მკაცრად დაცვით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საქმისწარმოება განსხვავებული ფორმებით ხასიათდება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელ მოსამართლეთა და სასამართლოს საქმიანობის პროცესუალური მხარე არ ხასიათდება და არ არის განპირობებული სრულყოფილი და ერთიანი საკანონმდებლო ბაზით. ინგლისელი მოსამართლეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ, თავად, საკუთარი პასუხისმგებლობით შეექმნათ თავიანთი საქმიანობისათვის აუცილებელი წესები და ფორმები. თუმცა, ქვეყანაში მოქმედებს წესი, რომლის საფუძველზე მოსამართლე ემორჩილება განსაზღვრულ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებში ის თავისუფალია თავის პროცესუალურ გადაწყვეტილებებში. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, ნაწილდება ორივე მხარეზე, როგორც მოსარჩელეზე, ისე მოპასუხეზე. მაგრამ საყურადღებოა, რომ მხარე, რომელსაც მტკიცების ტვირთი ადევს, არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ის, რის შესახებაც იგი აბსოლუტური დარწმუნებით განაცხადებს, ანდა ის გარემოება, რაც სასამართლოს მხრიდან არ იწვევს დასაბუთებულ ეჭვებს. საკმარისია, სასამართლოს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი, რაზედაც ლაპარაკობს მოსარჩელე ან მოპასუხე, სინამდვილეს შეესაბამება. სასამართლო უნდა მივიდეს დასკვნამდე, რომ ყველაფერი, რის შესახებაც ერთი ან მეორე მხარე, მიუთითებს, სინამდვილეში ასე იქნებოდა და ამაში შეუძლებელი არაფერია.[15]

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში შეჯიბრებითობის მხოლოდ ასეთი შინაარსითა და მნიშვნელობით გამოყენება სასამართლოში, საქმისწარმოებისას შეუძლებელს თუ არ გახდის, ძალიან გააძნელებს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანას და შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელებას, მისი ნამდვილი არსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ვფიქრობთ, სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას, უნდა ადასტურებდეს, რომ სიმართლის დამალვა შეუძლებელი თუ არა, ძნელია, რომ ყველა ჯანსაღი საზოგადოებისათვის სამართლიანობა არის ღირებულება, რომლის დაკნინება არ ხდება. შესაძლოა გაჩნდეს განცდა, რომ საქმის არსში ჩაწვდომა არარეალურია, ბევრი რამ შესაძლოა დარჩეს აუხსნელი, სასამართლო ვერ მივიდეს ჭეშმარიტებამდე, მაგრამ ამ პროცესში არ შეიძლება სასამართლომ დაიკავოს მხოლოდ არბიტრის როლი და ამით შესაძლებლობა მისცეს მხარეს, მიიღოს სასამართლოსაგან მისი პოზიციის დამცველი გადაწყვეტილება, იმ ფონზე, როდესაც სიმართლე აშკარად არაა მის მხარეზე. ჩვენი ღრმა რწმენით, სასამართლო მოწოდებულია, რომ განამტკიცოს საზოგადოებაში სამართლიანობის მოთხოვნილება, ხელი შეუწყოს ადამიანების რწმენას სამართლიანობისადმი, დაეხმაროს მათ ერთმანეთთან თანადგომის სურვილის გაჩენაში, საქმიანი ურთიერთობების აღდგენაში, დააფიქროს ისინი თავიანთი მოქმედებების პასუხისმგებლობაზე, წესიერებაზე, სხვათა უფლებების პატივისცემაზე. ყოველივე ეს კი, შეუძლებელია, გააკეთოს სასამართლომ, რომელიც არ შეეცდება, გაარკვიოს საქმეში არსებული სიმართლე, იყოს მხოლოდ არბიტრი და აქტიურად არ ჩაერიოს საქმის გარემოებების გამორკვევაში, რა თქმა უნდა, კანონიერი საფუძვლებით და ნორმათა ზედმიწევნით დაცვით, ყოველგვარი მიკერძოებისა და სუბიექტური დამოკიდებულების გარეშე.

საყურადღებოა, რომ სასამართლო მოწოდებული უნდა იყოს, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს არაჯანსაღი, დაუსაბუთებელი, პროვოკაციული სარჩელებით სასამართლოში მიმართვის

პრეცედენტების აღმოფხვრას. ასეთი სარჩელებისა და განცხადებების მავნე შედეგების ნეიტრალიზებას, რაც უნდა ხორციელდებოდეს ნებისმიერი პირის უფლებების, თავისუფლებების, ინტერესების, რეპუტაციის დაცვის ფონზე.

თუ ისე ხდება, რომ მხარეები ცუდად არიან მომზადებული პროცესისათვის, მეტადაა შესაძლებელი, სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვება გადაწყვეტილების გამოტანისას, ხოლო თუ ერთი მხარე მაინც ჩამოყალიბებული, მომზადებული, პროცესუალურად შესწავლილი პოზიციით წარსდგება სასამართლოს წინაშე, ეს გარემოება მეტი სტიმულია როგორც სასამართლოს, ისე მეორე მხარისათვის – თავადაც ჩამოყალიბებული პოზიციით წარსდგეს სასამართლოს წინაშე. თუმცა, რიგითი ადამიანების მხრიდან, პროცესუალურ ნიუანსებში გაურკვევლობა, სასამართლოში დარღვეული უფლების დაცვის მიზნით მიმართვისას, საჭიროს ხდის კვალიფიციური იურიდიული დახმარების აუცილებლობას. სასამართლოში ასეთი დახმარების გარეშე მხარეები ხშირად განწირულნი არიან საკუთარი პოზიციის დამარცხებისათვის.

დიდი რუსი მეცნიერი ე. ვასკოვსკი აღნიშნავს, რომ სასამართლოში საქმისწარმოებისას, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის უპირატესად დაცვის წინააღმდეგ გამოთქმული იყო მხოლოდ ერთი საფუძვლიანი მოსაზრება, რომლის მიხედვით შეჯიბრებითობის პრინციპი სასარგებლოა და მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე დაპირისპირებული მხარე თანაბარი ძალების, თანაბრად მომზადებული და მცოდნენი არიან. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს ისღა დარჩენია, უხმოდ ადევნოს თვალყური მხარეთა ორთაბრძოლას და მიუკერძოებლად მიიღოს გადაწყვეტილება. მაგრამ თუ მხარეები არ არიან თანაბარი ძალების, თუ ერთი განათლებულია და მეორე არა, ანდა ერთი წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური ადვოკატით და მეორე არა, მაშინ შეჯიბრებითობის პრინციპი მიგვიყვანს მხოლოდ ძლიერის სუსტზე გამარჯვებამდე, კარგი ადვოკატის დასაქირავებელი შესაძლებლობის მქონე მდიდრის გამარჯვებამდე. ხოლო ღარიბი იძულებულია, თავად აწარმოოს თავისი საქმე. ეს ეწინააღმდეგება სამართლიანობას. ამ გარემოებების აღმოსაფხვრელად, მეცნიერის მოსაზრებით, ორი გზა არსებობს: შემოღებულ უნდა იქნას პროცესში იურისტების სავალდებულო მონაწილეობა, ან სასამართლოს უნდა დაეკისროს ვალდებულება, დაეხმაროს მხარეებს ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში. პირველი მეთოდი გამოიყენეს დასავლეთ ევროპელმა კანონმდებლებმა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში. თუმცა, რუსი მეცნიერის აზრით, ეს მიზანშეწონილი არ არის, რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ წარმომადგენლებისა თუ ადვოკატების სავალდებულო მონაწილეობა პროცესში არ გამორიცხავს სასამართლოს ჩარევის აუცილებლობას, ფაქტობრივი მასალების შეგროვებისა და გამოკვლევის პროცესში და მითითებულ ქვეყნებში დადგა სასამართლოს უფლებების გაფართოების საკითხი. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მიუხედავად კვალიფიციური იურისტის დახმარების სიკეთისა, კანონმა თავს არ უნდა მოახვიოს ადამიანებს ეს დახმარება, თუ ამისათვის მათ ანაზღაურების გაცემა უწევთ. სამოქალაქო პროცესში პირები იცავენ თავიანთ კერძო ინტერესებს და რასაკვირველია, სახელმწიფოს დაინტერესება არა აქვს, იყოს მათი მეურვე, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. მეცნიერის აზრით, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მართლწესრიგის დაცვის ამოცანა და უქონელი ადამიანების ადვოკატით დაცვა უზრუნველყოს უფასოდ, შესაბამისად, დადგენილი წესების მიხედვით.[16]

საკითხისადმი მსგავსი მიდგომა გათვალისწინებულია ქართულ კანონმდებლობაშიც. საქართველოს საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობით,

სახელმწიფოს ხარჯზე მოიწვიოს ადვოკატი, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო, ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია.[17]

საყურადღებოა ის გარემოება, ვინ და რა კრიტერიუმებით განსაზღვრავს განსახილველი საქმის მნიშვნელობას. თუ სასამართლო, მხარის შუამდგომლობის მიუხედავად, არ ცნობს კონკრეტულ საქმეს მნიშვნელოვნად, მაშინ როდესაც თავად ამ პირისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, ეს მხარე, რა თქმა უნდა, დაცვის გარეშე და სამართლებრივად „შიშველი" რჩება, მეორე მხარისა და მართლმსაჯულების წინაშე. ასეთ შემთხვევებში, სხვა აღარაფერია დარჩენილი თუ არა გზა, რომლითაც შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს უნდა გადაეცეს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა, აქ დგება ამ ორი პრინციპის – მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროპორციის საკითხი – რა დოზით უნდა მოხდეს მათი შერწყმა და გამოყენება საქმის განხილვისას. ე. ვასკოვსკის აზრით, ამ საკითხის გადასაჭრელად პროცესი უნდა აიგოს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. თუმცა, სასამართლოს ჩარევა დასაშვები უნდა იყოს იმ დოზით, რითაც არ დაირღვევა დისპოზიციურობის პრინციპი. ანუ სასამართლომ არ უნდა შეზღუდოს მხარეები თავიანთ უფლებებში, არ აიძულოს ისინი დაცვის ამა თუ იმ საპროცესო ფორმის გამოყენებაზე და არც დამოუკიდებლად, თავად არ გამოიყენოს ეს ფორმები მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ. მეცნიერის დაკვირვებით, შეჯიბრებითობისა და სასამართლოს ჩარევის საწყისები კომბინირებული იყო როგორც რომის, ისე მასზე დაფუძნებულ გერმანულ პროცესში. იგივე პრინციპებზეა მორგებული ფრანგული საპროცესო სამართალი. თუმცა, ავსტრიის საპროცესო კანონმდებლობა ამ მხრივ, უფრო შორს წავიდა და ავსტრიის სასამართლო ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა მხარეებმა წარმოადგინონ მტკიცებულებები, რომლებიც აუცილებელია ფაქტიური გარემოებებისა და საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. მსგავსი მიდგომა გაიზიარა რუსულმა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამაც.[18]

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიულ სამართალზე აქტიურ გავლენას ახდენს გერმანული სამართლებრივი სისტემა, მას აქვს თავისი ორიგინალური ისტორია, რომელიც სრულიადაც არ ჰგავს გერმანულს. ფრანც კლაინის მიერ შემუშავებული, ავსტრიის სამოქალაქო პროცესის კონცეფცია უარყოფს მოსამართლის პასიური პოზიციის კონცეფციას და ორიენტირებულია მის აქტიურ როლზე. ამ მიდგომამ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, რამდენადაც ის შემდეგ გაითვალისწინა პირველ რიგში – შვედეთის, პროცესუალური კანონმდებლობების ნოვაციებში, ასევე, საბერძნეთის ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემუშავებისას, გერმანული სამართლის რეფორმაში მე-20 საუკუნის 70-იან წლებში.[19]

ავტორიტეტული ფრანგი მეცნიერების ჟ. ვენსანისა და ს. გუენშარის შეხედულებებით, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე მხოლოდ სამართლის განმარტებითა და კერძო პირებს შორის დავათა გადაწყვეტით არ უნდა იყოს დაკავებული. იგი, კონკრეტული რეალიების გათვალისწინებით, საქმეს ისე მიზანმიმართულად უნდა მიუდგეს, რომ გაითვალისწინოს სოციალური სამართლიანობის პოზიციაც და აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურად შეაფასოს და გამოიყენოს ნორმატიული დებულებები, მათი გავლენა ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფებზე.[20] ჩვენი აზრით, ამ მეცნიერთა მოსაზრებები, უდავოდ იმსახურებს ყურადღებასა და გათვალისწინებას.

„სასამართლომ ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ მოქალაქეთა უფლებები და კანონით დაცული ინტერესები არ იქნეს დარღვეული. სამოქალაქო სამართალწარმოება მნიშვნელოვანი გარანტია უნდა იყოს ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი უფლებების

უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დასაცავად".[21] საყურადღებოა, რომ ა. კობახიძის აზრით, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული უკიდურესი ფორმით და სასამართლომ ისე უნდა მიაღწიოს პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომ არ გასცდეს დაინტერესებული პირის ნება-სურვილს, არ უნდა სცადოს პირთა იმ უფლების რეალიზაცია, რაც არ ყოფილა მოთხოვნილი. შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სასამართლოს პასიურობა. სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივითაც შეაგროვოს მტკიცებულებები, თუ ამას საქმის გარემოებები მოითხოვს ან მხარეები შუამდგომლობენ ამის შესახებ. მტკიცების ტვირთის მხარეებზე განაწილებისას, არ არის დაკარგული სასამართლოს უფლება, შესთავაზოს მხარეებს, წარმოუდგინონ დამატებითი მტკიცებულებები. ამასთან, თუ მხარეებმა თავად ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება, მხარეთა შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია, გამოითხოვოს ეს მტკიცებულებები. შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნა, რომ სასამართლომ მხარეთა ნების წინააღმდეგ არ უნდა იმოქმედოს საქმისწარმოებისას, ვრცელდება მხოლოდ ფაქტობრივი მასალების შეგროვებაზე და არა იურიდიულ მხარეზე – სამართლებრივ შეფასებაზე. მოპოვებული მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასება და იურიდიულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება სასამართლოს არა მარტო უფლებას, არამედ მოვალეობასაც წარმოადგენს.[22]

საკითხი – შეჯიბრებითობა თუ ინკვიზიციურობა, აქტიური მოსამართლე თუ მსაჯული საქმეზე, ჩვენი აზრით, ალბათ, უნდა გადაწყდეს ამ ორ მნიშვნელოვან პრინციპს შორის ზომიერი ბალანსის სასარგებლოდ, რომლის შესაბამისადაც, მხარეები არც შეზღუდული იქნებიან სასამართლოს აქტიურობით და არც დაიჩაგრებიან იმის გამო, რომ სასამართლოს ნეიტრალური და ნომინალური როლი ექნება საქმის გარემოებების გამოკვლევაში. აუცილებელია, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოებისას, სასამართლომ აქტიურად და კვალიფიციურად, მიკერძოების გარეშე, გამოიყენოს მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, რათა დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დასაცავად სასამართლოში მისულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოს.

მოსამართლე – არბიტრი, ეს ალბათ, მაინც, განვითარებული და მდიდარი საზოგადოების ფუფუნებაა და მაშინ, როდესაც ასეთი ქვეყნებიც არ ერიდებიან საჭირო შემთხვევებში, მოსამართლის აქტიურ როლს საქმისწარმოებაში, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების ზომიერი ბალანსის ფარგლებში, ჩვენი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობაც უნდა იხრებოდეს მოსამართლის როლის გააქტიურებისაკენ, საქმის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით. მხოლოდ არბიტრის როლით, საქმეზე ძნელია სიმართლის გარკვევა, რის გამოც, ვერ ამოიწურება მართლმსაჯულების ნამდვილი მიზანი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას, როდესაც ადამიანების უმრავლესობისათვის კვალიფიციური იურიდიული მომსახურებით სარგებლობა ფუფუნებაა, ალბათ, სასამართლომ უნდა აიღოს თავზე მეტი ტვირთი და სრულფასოვნად დაიცვას სასამართლოში მისული ადამიანების დარღვეული უფლებები. ამასთან, მოსამართლის აქტიურობა არ უნდა იყოს ტენდენციური და უკანონო, ის უნდა ემსახურებოდეს თანაბრად, ორივე მხარის ინტერესებს და საქმეზე სიმართლის გარკვევას. ქართულმა სასამართლომ პრაქტიკაში მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კანონით უკვე მინიჭებული უფლებები, როგორიცაა მაგალითად, მორიგების აქტიური ხელშეწყობა, მორიგების პირობების შეთავაზებითაც კი, რაც აშკარად ხელს შეუწყობს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლებების დაცვასა და აღდგენას.

შენიშვნები:

1 იხ.: საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85, თბ., 1995 წ.; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4, თბ., 1997 წ.

2 Kouchez G. Procedure civil. P. 1996. p. 179-180.

3 Moury J. les moyens de droit a travers les articles 12 et 16 du nouveau Code de procedure civile. Trese. P. 1986. p. 109.

4 იხ.: Nouveau Code de procedure civil. ed. 2002. art. 16. 184-185; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4. თბ. 1997წ.

5 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 11, თბ., 1983 წ.

6 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007 წ., გვ. 8.

7 Nouveau Code de procedure civil. ed. 2002. art 254.

8 Л. Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, Т. 1, Перевод с французского, М., 1958, стр. 168-169.

9 А. Г. Давтян, Гражданское процессуальное право Германии, М., 2000, стр. 41-44.

10 Гражданское процессуальное уложение Германии, М., 2006, стр. 616.

11 О.Н. Здрок, Гражданский процесс зарубежных стран, М., 2005, стр. 120.

12 თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, დასახ. ნაშრ., გვ. 401-402.

13 Комментарий к ГПК РФ, М., 2007, стр. 42-43.

14 Caratini M. La reponse de la justice a l' accroissement des contentieux. P. 1987 p.17.

15 А.К. Романов, Правовая система Англии, М., 2002, стр. 232-234.

16 Е.В. Васьковский, Учебникь Гражданского процесса, М., 1914, стр.155-156.

17 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 47, თბ., 1997წ.

18 Е.В. Васьковский, დასახ. ნაშრ., გვ. 157-158.

19 Н. Г. Елисеев, Гражданское процессуальное право зарубежных стран, 2-е изд., М., 2004, Стр .35.

20 Vincent G. Guinchard S. Procedure civil. P. 1987. p. 6.

21 ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, გვ. 20.

22 იქვე, გვ. 43-45.

Impact of the Principles of Adversity of Parties and Activeness of Judges at the Court Trials

IRMA MEREBASHVILI
Doctor of law, School of Law at the Caucasus University, Associated Professor

Legal Proceeding based on the adversarial principle is typical for the justice systems of the developed countries. Similar norms are traced in the Georgian legislation as well.

It is worth to mention that besides the adversarial principle implied in and protected by the legislation, the legislations of France, Germany, Russia, Georgia and other European continental states also incorporate norms that outline the signs of existence of inquisitive legal proceeding. In general, the difference between the adversity of justice execution and inquisitive types are expressed by the status of parties and role of court and judges during the case proceeding. These circumstances are pointed out by the norms, that define, whether the active role of the court during the justice execution is mandatory, or it only belongs to the series of its authorities.

The court should support people to have trust in the fairness of justice, it should encourage them to be willing to support each other, to restore relationships, to make them think about their responsibilities, to respect of others rights. But it can not be done by the court that does not try to detect the truth, to act only as an arbitrator and be actively involved in determining the case circumstances only legally and by following the norms without any biases and subjectiveness.

To my mind the question – adversity or inquisitiveness, active judge, or just a judge should be solved by finding balance between these two

important principles which will enable the parties not to be limited by the activeness of the court and the court's role will be neutral and nominal in reviewing the case circumstances.

A judge – an arbitrator is the luxury of developed and rich societies and those countries do not try to avoid the judge being actively involved in the case proceeding if needed, in the framework of moderate balance between the principles of the adversity of parties and the court activeness. Our procedure legislation should also support the role of the judge to become more active for proper and fair judgments. It is difficult to detect truth when one is only playing the role of arbitrator and therefore the real goal of the justice can not be exhausted. Taking into account the situation of our society, where majority can not afford to use the services of qualified legal service, the court should probably take more burden and comprehensively protect the violated rights of the people addressing the court. At the same time, the active judge should not act illegally and it should equally serve the protection of the interests of both parties and detecting of the truth of the case. In addition, the Georgian court should execute the rights granted by the law to its best, for example actively support plea bargaining, suggest the plea bargaining conditions that will clearly support the protection and restoration of violated, or disputed rights.

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება

ფრიდონ გასილაია
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

სამოქალაქო სამართლის პროცესი, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოება სახეებად იყოფა იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის საქმეები განიხილება სასამართლოში. ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს განსხვავებული უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის წესს, ამ საქმეების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება ბევრ შემთხვევაში, გავლენას ახდენს მათი განხილვის პროცედურასა და ფორმაზე.[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ოთხი სახის წარმოება:

1) სასარჩელო წარმოება,
2) გამარტივებული წარმოება,
3) უდავო წარმოება,
4) საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება.

„საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამასთან, იგი ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი.

ერთ-ერთი ფუნდამენტური თავისებურებაა, რომ საოჯახო საქმეების განხილვის დროს გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისას, გამოიყენება სამძებრო პრინციპი. საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. ამ მოსაზრებებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახოსამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება. კერძოდ: ა) სასამართლოს შეუძლია თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.“[2]

სამოქალაქო სამართლის პროცესში ძირითადი და განმსაზღვრელია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, რაც ასევე, გამოიყენება საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას. ამასთან, სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა საქმეებისაგან განსხვავებით, აქ აგრეთვე, გამოიყენება სამძებრო, ანუ ინკვიზიციური პრინციპი ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურებების გამო.

ფრანგი მეცნიერის გუი ბრებანის აზრით, სასამართლო წარმოების ინკვიზიციური პრინციპი პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს დომინირებას ნიშნავს. სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის განხილვას და უფლება აქვს მოიძიოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებანი.[3]

საოჯახო საქმეთა განხილვა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. თუ მხარეებმა ვერ შესძლეს მტკიცებულებების მიღება და წარდგენა, მათი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო გამოითხოვს ამ მტკიცებულებებს. ამასთან, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

სამოქალაქო სამართლის პროცესში დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეფუძნება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებს. დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით, მხარეები საქმისწარმოებას სასამართლოში იწყებენ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეობს ვარაუდი, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებელმა მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელზე.

დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი. ამიტომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არსებობს ვარაუდი, რომ მან აღიარა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო მოთხოვნას.

შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობას, რომ დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ

მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.

საოჯახო საქმეების განხილვის დროს დასახელებული პრინციპების გარდა, დამატებით მოქმედებს სამძებრო პრინციპი, რომელიც ამ კატეგორიის საქმეებისათვის განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს:

ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები;
ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან;
გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის;
დ) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება;
ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ;
ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი;
ზ) საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი.

აღნიშნულ საკითხებზე სასამართლომ განჩინება შეიძლება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, რაც არ გამორიცხავს ამ განჩინების გამოტანის შესაძლებლობას სასამართლო სხდომაზეც. განჩინების გამომტან სასამართლოს მხარეთა განცხადების საფუძველზე, შეუძლია შეცვალოს ან მთლიანად გააუქმოს თავისი განჩინება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასახელებულ განჩინებებზე კერძო საჩივარი დაუშვებელია და კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლით კი, ხსენებულ განჩინებებზე კერძო საჩივრის შეტანა გათვალისწინებული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს განჩინებები, როგორც წინმსწრები, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

მხარეთა განცხადების შემთხვევაში, სამძებრო პრინციპიდან გამომდინარეობს სასამართლოს უფლებამოსილება განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვროს:

ა) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხი;
ბ) ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი;
გ) ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის გადაცემის საკითხი;
დ) ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის (რჩენის) საკითხი;
ე) მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხი.

განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობისა და მათი შედეგების შესახებ სასამართლოს გამოაქვს ერთიანი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ცალკე გამოყოფს ქორწინების საქმიდან გამომდინარე სხვა საქმეებს, მაშინ ზემოაღნიშნული მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებულ საკითხებზე გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასარჩელო, გამარტივებული და უდავო წარმოებისათვის არ არის დაშვებული სასამართლოს ზემოთ დასახელებული უფლებამოსილებანი.

საოჯახო საქმეების თავისებურებებიდან გამომდინარე, აქ სრულად ვერ იქნება გამოყენებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ იძლევა მის მიერ სარჩელზე უარის თქმის ვარაუდს, რადგან სასამართლო თავად გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის გამო მოპასუხის მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებისა და სარჩელის ცნობის ვარაუდს. ამიტომ სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საოჯახო საქმე არსებული მასალების საფუძველზე. თუ საქმის მასალები არ იძლევა სწორი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მოცემულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ გადაწყვიტოს დავა არსებითად ჩვეულებრივი და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით. ამიტომ ვერ დავეთანხმებით შ. ქურდაძეს, რომელიც განქორწინების საქმეებზე არ გამორიცხავს ამ საქმეთა დაუსწრებელი წარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.[4]

საოჯახო საქმეების განხილვის დროს სასამართლო თავისი ინიციატივით განსაზღვრავს დასადგენ გარემოებათა წრეს და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ თვითონ გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამიტომ, სასამართლომ მოპასუხე არ უნდა გააფრთხილოს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ, რადგან სასამართლომ არა მარტო მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არამედ თავისი ინიციატივითაც მოპოვებული მტკიცებულებებით უნდა გადაწყვიტოს დავა. ამის შესაბამისად, მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობა, ჩვენი აზრით, არ უნდა წარმოადგენდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„3. საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებზე არ გამოიყენება ამ კოდექსით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დებულებები.“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003 წ., გვ. 23-24.
2. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 2005წ., გვ. 354.
3. გუი ბრებანი, საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი, ბრებანის მოსაზრება ვალერი ლორიას სახელმძღვანელოდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2002წ., გვ. 36.
4. შალვა ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2005წ., გვ. 766.

Specifics of Domestic Cases and Judgment Rendered in Absence

PRIDON BASILAIA
Assistant Professor of the Kutaisi Akaki Tsereteli State University

The principles of the disposition and adversity are the basic and defining in the civil proceedings, which is also used in the cases derived from the domestic legal relations. At the same time, different from the other civil cases, searching, or inquisitory principle is also used because of the specifics of the cases of this category.

The domestic cases are considered based on the adversarial principle. The parties have equal rights and opportunities to prove their demands, reject, or annul the demands, or evidences presented by the opposing party. The parties define by themselves which facts should be used as the bases for their demands, or which evidences should be used to prove these facts. If the parties failed to obtain and present the evidences, the court can request these evidences on the bases of their motion. In addition, the court is authorized to request on its own initiative those evidences that have not been pointed by the party.

Deriving from the specifics of the domestic cases, the disposition and adversarial principles can not be fully employed in these cases. Failure of the complainer to appear at the main court hearing can not serve as the grounds of the doubt, that he/she revokes the claim, for the court will request the evidances that were not pointed out by the parties by themselves. Failure of the defendant to appear at the main court hearing as a result of the court requesting the evidences on its own initiative, can not serve as the grounded assumption of admitting the factual circumstances outlined

in the case and the admitting of the case itself. Therefore the court should consider the domestic case on the bases of the available materials and render decision in absence of the party who failed to appear at the hearing. If the case materials do not provide for the chance to render fair decision, the court should request relevant evidences, postpone the trial for the other date and after obtaining all the case related evidences render the judgment through material conventional decision and not in absence.

When considering the domestic cases, the court defines the circle of circumstances to be clarified on its own initiative and after the explanations provided by the parties, it will request the evidences that were not mentioned by the parties. Accordingly, the court should not give warning to the defendant about the possible results in case of failure to submit the response, for the court should render judgment not only based on the evidences submitted by the parties, but also on the bases of the evidences obtained on its own initiative. Therefore in my opinion, the failure of the defendant, or his/her representative to present the response, should not serve as the bases for rendering a decision in absence.

საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები

ნინო გადელია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე პუბლიკაციის მომზადების აქტუალობა განპირობებულია რამდენიმე გარემოებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას მოგვცა საქორწინო ხელშეკრულების[1] დეფინიცია, განისაზღვრა ამ ხელშეკრულების დადების, ფორმის, შინაარსის, შეცვლის და შეწყვეტის სამართლებრივი რეგლამენტაცია (დაწვრილებით იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე–1181-ე მუხლები).

ამ სახის დოკუმენტებს დაახლოებით ხუთასი წლის ისტორია აქვთ. XVII საუკუნის ინგლისში საქორწინო კონტრაქტები (conjugal contract, marriag contract) იცავდნენ გათხოვილი ქალისა და მისი სისხლით ნათესავების უფლებას გვაროვნულ ქონებაზე. ამჟამად, საქორწინო კონტრაქტები გავრცელებულია ევროპის ქვეყნებში, ამერიკასა და კანადაში, ყოფილი სსრ კავშირის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობდა ასეთი ხელშეკრულების სახეს, რაც ბუნებრივია. ვინაიდან, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას საერთოდ არ ჰქონდა პირად საკუთრებაში ქონება.

დღეისათვის, როდესაც საზოგადოებაში ხშირად ადგილი აქვს „არათანასწორ“ ქორწინებას, თანდათანობით აქტუალური ხდება საქორწინო კონტრაქტების დადება ქორწინებამდე ან ქორწინების ნებისმიერ პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საქორწინო კონტრაქტს დაქორწინებულთა მცირე პროცენტი აფორმებს, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე არის უცხოელი (ან მოქალაქეობის არმქონე პირი).

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულის მიზეზია კანონმდებლობის არცოდნა და ქართული მენტალიტეტი. წინამდებარე პუბლიკაციის ერთ-ერთი დანიშნულებაა მკითხველისათვის შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი გავხადოთ შესაძლებლობა, რომ განქორწინებისას საქორწინო კონტრაქტი არა მხოლოდ ქონების განაწილების, მათი უფლებებისა და მოვალეობების ფიქსაციაგამიჯვნის, შესაძლო ურთიერთრჩენის გარანტიაა, არამედ მკვეთრი ბარიერია მოსალოდნელი განქორწინების თავიდან ასაცილებლად.

თუ მეუღლეები არ გააფორმებენ საქორწინო კონტრაქტს, განქორწინების შემთხვევაში, მათი ქონება მეუღლეთა შორის თანაბარ წილებად იყოფა, მიუხედვად იმის, თუ რომელი მეუღლის სახსრებით იყო შეძენილი ქონება. კონტრაქტით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს (დაწვრილებით იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანომდებლობით საქორწინო კონტრაქტით ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ მეუღლეთა შორის. დაუშვებელია ქონების გადაცემა მთლიანად სრულწლოვანი შვილებისათვის. კანონმდებელი არ ითვალისწინებს იმ უარყოფით შედეგს, ანუ სანქციებს, რაც შესაძლებელია დაეკისროს საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) მონაწილეს, ნაკისრი ვალდებულებების დამრღვევ პირს.

საქორწინო ხელშეკრულება დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსისათვის (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს და ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან) ნოვაციას წარმოადგენს. თუმცა, ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეებს შორის იშვიათია საქორწინო ხელშეკრულების დადების პრეცედენტები. უმრავლეს შემთხვევაში, საქორწინო ხელშეკრულების დადების ინიციატორები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებზე ქორწინდებიან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საქორწინო ხელშეკრულების დამკვიდრება, ალბათ, უფრო განპირობებულია ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით, რაც გარკვეულწილად, მეუღლეთა ქონებრივი უფლებების დაცვას უწყობს ხელს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართალში ცალკე თავი ეთმობა „მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივ ურთიერთობებს". აქედან გამომდინარე, სამართლებრივად დარეგულირდა საქორწინო ხელშეკრულების დადება, მისი (ხელშეკრულების) ფორმა, შინაარსი, შეწყვეტა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში თავის მხრივ, მოცემულია თვით საქორწინო ხელშეკრულების განმარტებაც. კერძოდ, 1172-ე მუხლის თანახმად, 'მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას".

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, კერძოდ კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი". სწორედ, ზემოაღნიშნული ნორმისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საქორწინო ხელშეკრულების შემოღებით, მეუღლეებს მიეცათ არჩევანის უფლება თავისი შეხედულებისამებრ, განსაზღვრონ მათი ქონებრივი უფლე-

ბები და მოვალეობები, ასევე, განსაზღვრონ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეუღლეებს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ საქორწინო ხელშეკრულების დადების პერიოდი. კერძოდ, 1173 ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ, ნებისმიერ დროს". რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, „საქორწინო ხელეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან".

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ საქორწინო ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვლისწინონ მხოლოდ ქონებრივი და არა პირადი ხასიათის უფლებები და მოვალეობები. ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში, სასამართლოში მიმართვის უფლება". ეს რა თქმა უნდა, განპირობებულია იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ არ მოხდეს თუნდაც, რომელიმე მეუღლის საქართველოს კონსტიტუციითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. ასევე, ზემოაღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ხელშეკრულებით ასევე, არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს".

რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების ფორმას, ამ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა: „საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით". სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების უპირატესობა კი, იმაში გამოიხატება, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, „ხელშეკრულების დამოწმებამდე ნოტარიუსმა მხარეებს უნდა გააცნოს მათი უფლებები, რომ ხელშეკრულების დამოწმების შემთხვევაში, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები მოწესრიგდება არა კანონით გათვალისწინებული წესით, არამედ – ხელშეკრულებით და რომ საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების წესი როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას".[2] ნოტარიუსი, ასევე ვალდებულია დაადგინოს პიროვნების ვინაობა, უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა, სანოტარო აქტის მონაწილე მხარეებს განუმარტოს მათი უფლებები და მოვალეობები, გააფრთხილოს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ. ვინაიდან, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულების მეორე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, „ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს. იგი არის თავისი კლიენტის მიუკერძოებელი მრჩეველი". „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე, 'ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთან, ნოტარიუსი მოვალეა იზრუნოს, რათა არ შეილახოს იმ პირთა ინტერესები, რომლებმაც კანონი არ იციან და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას".

საქორწინო ხელშეკრულების დადებისას, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მეუღლეებმა ხელშეკრულებით შეიძლება შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის სამოქა-

ლაქო კოდექსით დადგენილი ქონებრივი რეჟიმი. ასევე, ზემოაღნიშნული კოდექსის 1176-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება), ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე“. გარდა ამისა, ასევე, საქორწინო ხელშეკრულებაში მეუღლეებმა შეიძლება გაითვალისწინონ როგორც უკვე არსებული, ისე მომავალში შეძენილი ქონებაც.

ხოლო, რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულებაში რაიმე პირობის შეცვლას ან მის შეწყვეტას, ისევე როგორც მისი დადებისას აუცილებელია მეუღლეთა ურთიერთთანხმობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტას ცალკე, 1180-ე მუხლსაც უთმობს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით“. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულებაში არსებული რომელიმე პირობა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს, მისი შეცვლა სასამართლოს შეუძლია. სწორედ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1181-ე მუხლის თანახმად, „დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს“. საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის კიდევ ერთი საფუძველი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს – განქორწინებაა.

ურიგო არ იქნება განვიხილოთ თუ როგორ წესრიგდება საქორწინო ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყნებში. „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ყოველი მეორე წყვილი მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ქორწინების რეგისტრაციამდე დებს საქორწინო ხელშეკრულებას. ეს გამოწვეულია მათი ცხოვრების დონითა და სოციალური მდგომარეობით. ყველა მოქალაქის უკან დგას საკმაოდ ღირებული უძრავი თუ მოძრავი ქონება, რომლის საერთო წესით გაზიარება ვინმესთვის, თუნდაც მეუღლისთვის, მიუღებელია. ის ფენა, რომლებიც ადრეულ ასაკში ქორწინდება, არ დებს საქორწინო ხელშეკრულებას, ვინაიდან, მათ ჯერ არ გააჩნიათ სერიოზული კაპიტალი. ერთად ცხოვრების პერიოდში, მეუღლეთა უმეტესობა მათი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აკითხავს ნოტარიუსს საქორწინო კონტრაქტის გაფორმების მიზნით. საინტერესოა თვალი გადავავლოთ იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც საქორწინო ხელშეკრულებებში ფიქსირდება. კერძოდ, მეუღლეებმა განსაზღვრეს ქორწინებამდე შეძენილი ქონების რეჟიმი, ხოლო ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე დაადგინეს განცალკევებული რეჟიმი – ამ პერიოდში თითოეული მეუღლის მიერ შეძენილი ქონება ითვლება მის საკუთრებად“.[3]

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, საქორწინო ხელშეკრულება მოცემულია საოჯახო სამართალში, რომლის საფუძველზეც, საქორწინო ხელშეკრულებით ხდება იმ პირთა შეთანხმება, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ქორწინება, ანუ ეს არის მეუღლეთა შეთანხმება, რომლებიც უკვე ერთმანეთთან ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციაში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერ დროს და ამ შემთხვევაში, პერიოდს მნიშვნელობა არა აქვს, ანუ შეიძლება ის დაიდოს როგორც ქორწინებამდე, ისე ქორწინების პერიოდში. ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი უფლებები როგორც ქორ-

წინების, ისე განქორწინებისას. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ასევე, რუსეთის ფედერაციის საოჯახო სამართლითაც აუცილებელი პირობაა, რომ საქორწინო ხელშეკრულება დაიდოს წერილობითი ფორმით და დადასტურდეს სანოტარო წესით. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი საკუთრების რეჟიმი შეცვალონ, დაადგინონ ერთობლივი, წილობრივი და ცალკეული საკუთრება მეუღლეების მთელ საკუთრებაზე, ან მის ცალკეულ სახეობაზე. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ასევე, ერთობლივი თანაცხოვრების პერიოდში მომავალში შეძენილ ქონებაზეც. ასევე, მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულებაში წინასწარ განსაზღვრონ მათი უფლებები და მოვალეობები თანაცხოვრების პროცესში, დაადგინონ თანამონაწილეობა ერთმანეთის შემოსავლების ფორმირებაში, შეიმუშაონ ოჯახზე გასაწევი ხარჯების წესი, წინასწარ განსაზღვრონ იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც მათ ცალ-ცალკე გადაეცემათ განქორწინების შემთხვევაში. ასევე, შეიტანონ საქორწინო ხელშეკრულებაში სხვა ისეთი პირობები, რომელიც ეხება მეუღლეების ქონებრივ ურთიერთობებს. რუსეთის ფედერაციის საოჯახო სამართალი პირდაპირ მიუთითებს იმ პირობებზე, რომელიც არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქორწინო ხელშეკრულებით. კერძოდ, საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიზღუდოს მეუღლეების უფლებები და მოვალეობები. ასევე, უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს მათი უფლებების დასაცავად, შეზღუდონ პირადი არაქონებრივი უფლებები მეუღლეებს შორის, ასევე, შვილებთან მიმართებაში დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. წინასწარ განსაზღვრონ ის გარემოება, რომელიც ზღუდავს მეუღლეს იყოს ერთ-ერთის კმაყოფაზე, განსაზღვრონ ისეთი პირობები, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს აყენებს უკიდურესად არახელსაყრელ გარემოებაში ან რომელიც ეწინააღმდეგება საოჯახო სამართლის ძირითად პრინციპებს. რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების გაუქმებას ან მასში ცვლილებების შეტანას, უნდა აღინიშნოს, რომ საქორწინო ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები ან ის გაუქმდეს ნებისმიერ დროს და მხოლოდ მეუღლეების ურთიერთშეთანხმების შედეგად. შეთანხმება საქორწინო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასა ან მის გაუქმებასთან დაკავშირებით, დგება იმავე წესით და ფორმით, როგორც თვით საქორწინო ხელშეკრულება. საქორწინო ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი უარი დაუშვებელია. რაც შეეხება საქორწინო ხელშეკრულების მოქმედებას, ის წყდება ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტის მომენტიდან, თუ ამავე კონტრაქტით ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტის შემდეგ სხვა რამე ვალდებულება არ არის გათვალისწინებული. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება სასამართლომ მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად მიიჩნიოს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, თუ ხელშეკრულებაში არსებული პირობები მას უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. ასევე, საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის საოჯახო სამართალში არსებული მუხლი, რომელიც კრედიტორთა უფლებების გარანტიაა საქორწინო ხელშეკრულების შედგენის, შეცვლის ან გაუქმების დროს. კერძოდ, მეუღლე ვალდებულია აცნობოს მის კრედიტორს (ან კრედიტორებს) საქორწინო ხელშეკრულების შედგენის, ცვლილებების ან მისი გაუქმების თაობაზე. ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეუღლე პასუხს აგებს თავის ვალდებულებაზე საქორწინო ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად. მეუღლე-მოვალის კრედიტორს (ან კრედიტორებს) უფლება აქვს მოითხოვოს ცვლილებები ან გაუქმება მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე, იქიდან გამომდინარე, რომ ძირეულად შეიცვალა მდგომარეობა, რომელიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით.[4]

„ლათინური ნოტარიატის ქვეყნების კანონმდებლობა საქორწინო ხელშეკრულების დადებისას ნოტარიუსს ავალდებულებს, გაარკვიოს, არსებობს თუ არა მხარეთა შორის რაიმე სახის ქონებრივი ვალდებულებები. ჰქონდათ თუ არა მათ დადებული ადრე საქორწინო კონტრაქტი, რათა გამოირიცხოს არასასურველი იურიდიული შედეგის დადგომა. ასევე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ქორწინებამდელი ქონების რეჟიმი. ნოტარიუსთან მისულ მოქალაქეებს ესაჭიროებათ საფუძვლიანი და ამომწურავი კონსულტაცია, რათა მათ გაიაზრონ ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც აპირებენ. ნოტარიუსმა მხარეები უნდა გაარკვიოს საქორწინო კონტრაქტის ყველა თავისებურებაში და უპასუხოს მათთვის საინტერესო კითხვებს. განსაკუთრებით სათუთი საკითხია ქორწინებამდელი ქონება. მსგავსი კონსულტაციების შედეგად, კონტრაქტის გასაფორმებლად მისულმა მხარეებმა შეიძლება საერთოდ უარი განაცხადონ მის შედგენაზე, ან დაამატონ სხვა პირობები. აქედან გამომდინარე, მოქალაქე ვერ დაადანაშაულებს ნოტარიუსს არაკვალიფიციურობასა და უყურადღებობაში“.[5]

სასურველია ნორმებმა, რომლებიც არეგულირებენ საქორწინო ხელშეკრულებას (კონტრაქტს) განიცადონ სარედაქციო ცვლილებები და დამატებები. კანონმდებელმა გააფართოვოს მეუღლეთა უფლებამოსილება, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა წინასწარ გაითვალისწინონ საქორწინო კონტრაქტში თავიანთი შვილების (მათ შორის, სხვა ქორწინებიდან) ქონებრივი უფლებები. ასევე, დაწესდეს ქონებრივი და სხვა (არაქონებრივი) სახის სანქციები იმ პირის მიმართ, რომელიც განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ ასრულებს საოჯახო კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ჩვენი აზრით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება უფრო აუცილებელს გახდის საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) გამოყენებას.

შენიშვნები:

1 მიგვაჩნია, რომ სინონიმების მნიშვნელობით უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინები – „ხელშეკრულება“ და „კონტრაქტი“. მართალია, კანონმდებელი იყენებს ტერმინს „ხელშეკრულება“, მაგრამ პუბლიკაციაში „საქორწინო ხელშეკრულება“ და „საქორწინო კონტრაქტი“ თანაბარი შინაარსობრივი დატვირთვით უნდა იქნეს გამოყენებული.

2 დავით სუხიტაშვილი, „საქართველოს სანოტარო სამართალი“, თბილისი 2002, გვ. 155.

3 ბესიკ სეხნიაიძე, „ნოტარიატი“, თბილისი, 2006, გვ. 163.

4 www.consultant.ru/popular/family

5 ბესიკ სეხნიაიძე, „ნოტარიატი“, თბილისი, 2006, გვ. 162-163.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის რედაქციით.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის რედაქციით.
3. საქართველოს 1996 წლის 3 მაისის კანონი „ნოტარიატის შესახებ“.
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბერს №2359 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ დებულება.
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2000.
6. დავით სუხიტაშვილი, „საქართველოს სანოტარო სამართალი“, თბილისი 2002.
7. ბესიკ სეხნიაიძე, „ნოტარიატი“, თბილისი 2006.
8. შალვა ჩიკვაშვილი, „საოჯახო სამართალი“, თბილისი, 1998წ..
9. რომან შენგელია, „საოჯახო სამართალი“, თბილისი, 1999წ.
10. ეკატერინე შენგელია, რომან შენგელია, „საოჯახო სამართალი“, თბილისი, 2009წ.
10. www.consultant.ru/popular/family.

Acute issues related with Marriage Contract

NINO GADELIA
Doctor of law, Associated professor

The need for the preparation of the presented publication was prompted by number of circumstances. The Georgian Civil Code provided the definition of the Marriage Contract when arranging the contracting property relationships between the spouses. The legal regulations for signing the contract, the form and contents of the contract, as well as amendment and termination procedures were defined (see articles #1172 and #1181 of the Civil Code of Georgia).

These type of documents boast the history of around 500 years. In the XVII centaury England, the marriage contracts (conjugal contract, marriage contract) served to protect the rights of the married woman and her immediate on the family property. Currently, marriage contracts are very popular in the European countries, US and Canada. The legislation of the former SU did not involve any contract of similar type, which is natural, since the absolute majority of the population did not own any private property.

According to the current situation, when "nonequal" marriages are very frequent, signing of a marriage contract before the marriage, or after the marriage is gradually turning important.

It should be noticed, that only small percent of the married couples sign the marriage contract in Georgia and mostly it happens when one of the spouses is a foreigner (or the person not having the Georgian citizenship).

We believe that it is the result of the unawareness of the legislation and the Georgian mentality. One of the goals of the presented publication is to enable the reader to realize that the marriage contract is not only the guarantee for the property division, their rights and responsibilities in case of divorce, but it can also serve as a strong barrier for avoiding the anticipated divorce.

Unfortunately according to the acting legislation, the marriage contract only allows for the division of the property among the spouses and it is not allowed to pass the whole property to adult children. The legislation does not consider the negative results, or sanctions that can be imposed on the violator of the marriage contract.

It is preferable to make changes and additions to the norms regulating the marriage contract. The legislation should increase the authorities of the spouses, so that they can include the property rights of their children (including those from other marriages) in the marriage contract in advance. In addition, property and other (nonproperty) types of sanctions should be imposed against the person who does not fulfill the responsibilities imposed on him/her through marriage contract in good faith, or out of carelessness. Considering the suggested recommendations would make it more necessary to use the marriage contract in Georgia.

სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა

ირაკლი შენგელია
თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ზოგადი დახასიათება

ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ცენტრალურ ინსტიტუტს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს. ამ პრინციპის დამკვიდრებით, კანონმდებელმა მაქსიმალურად შეამცირა სახელმწიფოს ჩარევა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნული ფაქტი გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ და დღის წესრიგში დადგა სახელშეკრულებო ურთიერთობების გაღრმავება და წინა პლანზე წამოწევა. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებისათვის ხელსაყრელი გარემოს არსებობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების თავისუფლად დადების პრინციპის განმტკიცება.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის დამკვიდრების შედეგად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები თავიანთი ნებასურვილის შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან დადონ მათთვის მისაღები ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსიც არ არღვევს მესამე პირთა უფლებებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განი-

საზღვროს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ბუნება, აზრი, მისი საკანონმდებლო დეფინირების დანიშნულება და ასევე, მისი მოწესრიგება სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში. ყოველივე აღნიშნული კი, ამყარებს მოსაზრებას, რომ მნიშვნელოვანია ამ პრინციპის ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა, აგრეთვე, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ პრინციპში და რა საშუალებებით და ხერხებით უნდა მოხდეს მისი რეალიზება. შესაბამისად, საჭიროა შემდეგი ძირითადი საკითხების გარკვევა:

1. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ფილოსოფიური და ეკონომიკური წინაპირობების განსაზღვრა.
2. იმ მექანიზმების შესწავლა, რომელიც კონკრეტულ სამოქალაქო ურთიერთობებში აღნიშნული პრინციპის რეალიზების საშუალებას იძლევა.
3. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის იურიდიული ბუნების დადგენა.
4. განხილვა და გარკვევა ხელშეკრულების დადების თავისუფლების შინაარსისა.
5. გარკვევა საკითხისა, თუ რა საზღვრებში შეიძლება მოექცეს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი, ვინაიდან იგი აბსოლუტურად უსაზღვრო არ არის.

აღნიშნული პრინციპის საფუძველზე წარმოიშობა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების ახალი ჯგუფები და ტიპები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან მასში მონაწილე სუბიექტების თავისუფლებაზე.

ფრაზაში „სახელშეკრულებო თავისუფლება“ მოიაზრება ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, ხელშეკრულების ინსტიტუტი, როგორც მკაცრად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, რომელშიც მოქცეულია შეთანხმება და დაპირება, რომ მონაწილე მხარეები ერთმანეთის სასარგებლოდ განახორციელებენ ქმედებას ან თავს შეიკავებენ ქმედების განხორციელებისაგან, ასევე ხელშეკრულება, როგორც იურიდიული კატეგორია და ინსტიტუტი, რომელიც განსხვავდება საკუთრების ინსტიტუტისაგან.

მეორე, სახელშეკრულებო თავისუფლება საშუალებას აძლევს მხარეებს დაიცვან საკუთარი უფლებები, ხელშეკრულებაში ჩამოაყალიბონ თავიანთი სურვილის შესაბამისი დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონს და ამით მიიღონ სასურველი შედეგი.[1]

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციას:[2]

პირველი, პოზიტიური კონცეფცია, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტებს საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი ხელშეკრულებასთან, მის შინაარსთან და კონტრაჰენტთან დაკავშირებით. მეორე, ნეგატიური კონცეფცია, რომელიც გამოიხატება სახელშეკრულებო ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის მაქსიმალურად აკრძალვაში, კონკრეტული გამონაკლისების გარდა. დაბოლოს, მესამე, ადამიანის შესაძლებლობა მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან უზრუნველყოს მის მიერ დადებული ხელშეკრულების შესრულება.[3]

სახელშეკრულებო თავისუფლება ასევე ნიშნავს, რომ მხარეები დაცულნი არიან სახელმწიფოს ჩარევისაგან და ამდენად, იგი არა მარტო ცვლილების, არამედ თვითგანსაზღვრისა და დაცვის ინსტრუმენტია. ამ მხრივ, ეკონომიკური თავისუფლება მხარეებს საშუალებას აძლევს ითამაშონ თავისუფალი თამაშის წესებით, გამოიყენონ უნარი და ნიჭიერება, რომ ამ „თამაშში“ წარმატებას მიაღწიონ, ვინაიდან სახელშეკრულებო თავისუფლება წარმატების საშუალებას იძლევა გონივრული სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარების დროს.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობა

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის საქართველოს კანონმდებლობაში განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის. ვინაიდან, სამოქალაქო ბრუნვის გამსხვილება დიდად არის დამოკიდებული სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარებაზე. როგორც პროფესორი კოტცი აღნიშნავს: „ხელშეკრულებები დაიდება მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი მონაწილე მხარე მათგან სარგებელს მოელის. ვინც რაიმე საქონლისათვის ფულს გასცემს, იგი საქონელს უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე ფულს და პირიქით, გამყიდველი იმიტომ ყიდის საქონელს, რომ ფულს უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე საქონელს. ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ორივე მხარე უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, კერძოდ, ორივემ მიიღო სარგებელი. თუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი გაცვლითი ოპერაციები მილიონობით ხორციელდება, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ როგორ იზრდება მონაწილეთა სარგებელი და მათი მეშვეობით კი, მთელი საზოგადოებისა. ვიდრე საქონლისა და მომსახურების დეფიციტი არსებობს, ხოლო ადამიანების მოთხოვნილებები უსაზღვროა, ნებადართული ხელშეკრულების დადების პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი გაცვლითი ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც დეფიციტური საქონელი და მომსახურება იმის ხელში აღმოჩნდეს, ვისთვისაც მათ ყველაზე მეტი ღირებულება აქვს. ადგილს, სადაც ეს გაცვლითი ოპერაციები ხორციელდება, ბაზარი ეწოდება, ხოლო ეკონომიკურ წყობილებას რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს აღიარებს – საბაზრო ეკონომიკა.“[4]

საერთაშორისო ვაჭრობაში ფართო სახელშეკრულებო თავისუფლებით წარმოდგენილი მხარეები გარანტირებულია, რომ ხელშეკრულება განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობების ბუნებას და დავის დარეგულირების საშუალებას.

საბაზრო ურთიერთობები სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება. სამოქალაქო კანონმდებლობა კი, სხვა მნიშვნელოვან პრინციპებთან ერთად ეფუძნება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს და მხარეთა თანასწორობას ხელშეკრულების დადებისას. სამოქალაქო ურთიერთობები აგებულია მისი მონაწილეების თანაბარუფლებიანობაზე, რომელშიც სახელმწიფის ჩარევა არის მინიმუმამდე დაყვანილი. საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების დადება, მისი შინაარსის ჩამოყალიბება უნდა ატარებდეს კეთილსინდისიერ ხასიათს, არ უნდა იყოს მოჩვენებითი და კანონსაწინააღმდეგო.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი საშუალებას აძლევს მხარეებს დადონ სწორედ ის გარიგება, რომელიც მათ სურთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების მსგავსად, არ შეიცავს ხელშეკრულების ზუსტ ჩამონათვალს, რაც ამ პრინციპის გამოვლინების მაგალითია და საშუალებას იძლევა საბაზრო ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით ასევე, მთელ რიგ ხელშეკრულებებზე შესაძლებელია ფორმის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობაც. კერძოდ, მხარეების სურვილის შესაბამისად, დადონ ხელშეკრულება ზეპირი ფორმით, თუ წერილობით, რაც კიდევ უფრო მარტივს და მოსახერხებელს ხდის სამაოქალაქო ურთიერთობას, ვინაიდან აღარ არის საჭირო ზედმეტი ბარიერების გავლა ხელშეკრულების დასადებად და მასში მოცემული პირობების შესასრულებლად.

ასევე თავისუფლების კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენს უძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების არასავალდებულოობა. როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აღარ არის საჭირო ასეთი სახის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება. ეს უკვე მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული სურთ თუ არა მათ ასეთი დამოწმება. აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის განვითარებას და გამყარებას იმ თვალსაზრისით, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ თვითონ აირჩიონ თუ როგორი ფორმით დადონ უძრავ ნივთზე ხელშეკრულება, მარტივი წერილობითი ფორმით თუ სანოტარო დამოწმების წესით.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი თავის გამოხატულებას ჰპოვებს არა მხოლოდ ხელშეკრულების დადება-არდადებაში, არამედ, თუ როგორი ფორმით, რა შინაარსით, რა ვადებით სურთ მხარეებს ამა თუ იმ ხელშეკრულების დადება.

ხელშეკრულების დადებისას, მნიშვნელოვანია, რამდენად თავისუფალია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, რამდენად იბოჭებიან ისინი ხელშეკრულების დადების შემდეგ იმ ვალდებულებებით, რომლებიც მათ იკისრეს ხელშეკრულებით. აქედან გამომდინარე, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მთავრდება ხელშეკრულების დადების მომენტიდან და უკვე ორივე მხარეს აკისრია ვალდებულებები გარკვეულ უფლებებთან ერთად. კერძოდ, ორივე მხარეს აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მხარეს შესრულება და აკისრიათ ვალდებულებები ხელშეკრულების შესაბამისად, შეასრულონ ერთმანეთის მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი დასახელებული იქნა როგორც კონსტიტუციური პრინციპი და ამით საფუძველი დაედო კანონმდებლობაში მისი ასეთი სახით გამყარებას. სასამართლოების ასეთი დამოკიდებულება, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ამერიკის ფედერალური კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებების შედეგად, რადგანაც აღნიშნულ შესწორებებში ყურადღება გამახვილებულია სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების მიმართ.

ბანალური ფრაზა „შეთანხმება ღირს ფული“ კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ინდივიდუალიზმი სახელშეკრულებო ურთიერთობებში.[5] სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე, – „ბიზნესში თქვენ ვერ მიიღებთ იმას, რაც დაიმსახურეთ, არამედ თქვენ მიიღებთ იმას, რაზეც შეთანხმდით“.[6] აღნიშნული ფრაზა მიუთითებს, თუ რამდენად არის გამეფებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ვინაიდან სხვანაირად წარმოდგენაც შეუძლებელია.

მრავალი საუკუნეების მანძილზე, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი იყო სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი პრინციპი.

გერმანიაში, ჰოლანდიაში, იტალიასა და ინგლისში სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპია. ის საშუალებას აძლევს მხარეებს მოაწესრიგონ თავიანთი სახელშეკრულებო ურთიერთობები იმ გზით, რომელიც მათთვის საუკეთესოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი თავისუფლება შეუზღუდავია – ერთი ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე პირის უფლებები.[7]

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ელემენტები

ხელშეკრულების ძალით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. საკითხავია, თუ რა აძლევს მხარეთა ამ თავისუფალ შეთანხმებას სავალდებულო ძალას? რით არის უზრუნველყოფილი პირთა ამ კერძო შეთანხმების სავალდებულოობა? რის საფუძველზე შეუძლია ხელშეკრულების ერთმა მხარემ მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შესრულება ან ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება?[8]

აღიარებული შეხედულების თანახმად, მოთხოვნები ხელშეკრულების შესრულებაზე ან მისი შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი, თუ მოცემული მართლწესრიგი მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმებას „მბოჭავად" მიიჩნევს.[9]

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპზეა აგებული მთელი რიგი ინსტიტუტები.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება გამოიხატება შემდეგი ძირითადი ელემენტებით, რომელსაც ეფუძნება სახელშეკრულებო სამართალი. კერძოდ:

1. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეების უფლება – დადონ ან არ დადონ ხელშეკრულება.
2. თავისუფლად აირჩიონ კონტრაჰენტი.
3. თავისუფლად აირჩიონ ხელშეკრულების სახე, რომლითაც მათ უნდათ დაამყარონ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები.
4. მხარეთა უფლება ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკება აწარმოონ დამოუკიდებლად, ყველა დაშვებული სამართლებრივი ნორმის გამოყენებით, დროში შეუზღუდავად.
5. ხელშეკრულების მონაწილეთა ურთიერთობის რეგულირება იმ დისპოზიციური ნორმების საშუალებით, რომლებიც მხოლოდ მაშინ ამოქმედდებიან, როდესაც მხარეებმა ხელშეკრულებაში მსგავსი ნორმა ვერ გაითვალისწინეს.

აღნიშნული პრინციპის მიხედვით, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე თავისუფალია კონტრაჰენტის არჩევაში, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაში და მათ ნებაზეა დამოკიდებული დადებენ თუ არა ამა თუ იმ ხელშეკრულებას, გარდა გარკვეული გამონაკლისისა. აღნიშნული გამონაკლისები შეეხება შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა გამოიწვევს მეორე მხარის უფლებების არსებით დარღვევას, ვინაიდან ბაზრის წესებიდან და პირობებიდან გამომდინარე, მას არ შეუძლია მსგავსი ტიპის ხელშეკრულება გააფორმოს სამართლებრივი ურთიერთობის სხვა მონაწილესთან. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული მხარის უფლებების დაცვა.

მსგავს სიტუაციაში, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი იზღუდება, ვინაიდან კონკრეტული მხარე ვალდებული ხდება დადოს გარიგება იმ პირთან, ვისთანაც ვთქვათ, მას ჩვეულებრივ პირობებში არ მოუნდებოდა აღნიშნული გარიგების დადება, მაგრამ საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ის ვალდებულია დადოს ასეთი გარიგება. ასეთი შეზღუდვები, რა თქმა უნდა, მკაცრად განსაზღვრული და ჩამოყალიბებული უნდა იყოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები

და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას." აღნიშნული ნორმა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ნათელი გამოვლინებაა, რომლის მიხედვითაც, მხარეები არ არიან შეზღუდულნი ხელშეკრულების ტიპებით და სახეებით, მათ შეუძლიათ დადონ ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, რომლის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ნორმებს. ასევე, მათ აქვთ უფლება, ჩამოაყალიბონ აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსი და განსაზღვრონ მისი შესრულების საშუალებები.

სახელშეკრულებო თავისუფლება – თანასწორობა და სამართლიანობა

ფრაზა „სახელშეკრულებო თავისუფლება" ადამიანის უფლებების სფეროდან აერთიანებს ორ ისეთ უმნიშვნელოვანეს იდეალს, როგორიცაა თანასწორობა და სამართლიანობა, რომელსაც სახელმწიფო უნდა იცავდეს და ზრუნავდეს მის დაურღვევლობაზე.[10] აღნიშნული უფლება ნიშნავს, რომ სამოქალაქო ურთიერთობის ყოველი სუბიექტი სარგებლობს არჩევანის უფლებით – დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, გამოიყენოს მისთვის მისაღები პირობები, რომელიც რეგულირდება დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და იძულებითი ნორმების გამოუყენებლად.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი, როგორც პროფესორი ჰუგ კოლინზი აღნიშნავს, შეიცავს უარყოფით ელემენტს, როგორიცაა საბაზრო გარიგებების დადების დროს სახელმწიფოს ჩარევის უკუგდება.[11]

სოციალური პირობების ცვლილებების საპასუხოდ, აღნიშნულ პრინციპს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. საბაზრო ეკონომიკის განვითარების შედეგად, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის როლი კიდევ უფრო გაიზარდა სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში.

სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის დამყარებულია მათ სამართლებრივ თანასწორობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების დადება და მისი პირობების კეთილსინდისიერად განსაზღვრა, არ იყოს მოჩვენებითი და მკაფიოდ გამოხატავდეს მონაწილეთა ინტერესებს. სწორედ აღნიშნულ საფუძველზე იწყებს მოქმედებას სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი.

დასკვნა

დაბოლოს, აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული თითქმის არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ნაწილია და მისი დაცვა და უზრუნველყოფა აუცილებელი და სავალდებულოა. სამოქალაქო კანონმდებლობა სხვა მნიშვნელოვან პრინციპებთან ერთად, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს ეფუძნება და ამით მხარეთა თანასწორობას უზრუნველყოფს – საშუალებას აძლევს მხარეებს სწორედ ის გარიგება დადონ, რომელიც მათ სურთ და ამით მიიღონ სასურველი შედეგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001წ;
2. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000წ;
3. Kotz Hein. Europaishes Vertragsrecht. Bd.I.S.5;
4. Harry N. Scheiber the state and freedom of contract 1998;
5. Larenz, AT. S. 333;
6. Hugh Collins, the Law of Contract, 2003;
7. Compare J.S. Mill, On Liberty and Other writings, edited by S. Collini (1859 Cambridge).

შენიშვნები:

[1] Harry N., Scheiber the state and freedom of contract, 1998, გვ. 1.

[2] MICHAEL J. TREBILCOCK, THE LIMITS OF FREEDOM OF CONTRACT, 78-79 (1993);

[3] იქვე.

[4] Katz, Bd. I, S.5-7.

[5] Harry N., Scheiber the state and freedom of contract, 1998, TX.2.

[6] იქვე. გვ. 3.

[7] Compare J.S. Mill, On Liberty and Other writings, edited by S. Collini (1859 Cambridge) p. 75-76.

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001 წ., გვ. 57.

[9] Kotz Hein. Europaishes Vertragsrecht. Bd.I.S.5.

[10] Hugh Collins, the Law of Contract, 2003, p 25.

[11] იქვე.

Freedom of Contracting as the principle, sense and meaning of the Civil Law

IRAKLI SHENGELIA
Doctorante of Law Department
Tbilisi State University of Economic Relations

The principle of freedom of contracting is one of the most important and central elements of the new Civil Code of Georgia. The market relations are formed and regulated on the bases of the Civil Legislation. The Civil Legislation itself, together with other important principles are based on the principle of contracting freedom and equality of the parties during contracting. The principle of freedom of contracting provides for the parties to make proper deal for themselves. During many centuries, the principle of freedom of contracting used to be one of the most important and basic principles of the Contracting Law. The mentioned principle had different meanings in response to the changes of the social conditions. As a result of the market economics, the role of the principle of the contracting freedom has increased even furthers in the civil-legal relations.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების სამართლებრივი ასპექტები

ია ხარაზი
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

ნატო უერთაშვილი
საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის მაგისტრი

გადამუშავების საბაჟო რეჟიმის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა და ცნება

საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებები (კერძოდ, კიოტოს 1973 წლის კონვენცია), მსოფლიოს რიგი ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა განასხვავებს საქონლის გადამუშავების რეჟიმის ორ ტიპს – აქტიურს და პასიურს, იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს საქონლის გადამუშავება და რომელია გადამუშავებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა. პირველი, როცა უცხოური წარმოშობის საქონლის გადამუშავება ხდება ეროვნულ საბაჟო ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – როცა წარმოშობით ეროვნული საქონელი გადამუშავდება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ.

საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმებს არეგულირებს საქართველოს საბაჟო კოდექსი, საქართველოს ფინანსთა სამინის-

ტროს შემოსავლების სამსახურის დებულებანი „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ“ (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის, №1762 და №1763 ბრძანებებით დამტკიცებული ინსტრუქციები) და სხვა ნორმატიული აქტები. აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორიცაა გადასამუშავებლად დროებით შემოსატანი და გასატანი საქონლის გადამუშავება და მათი საბაჟო დამუშავების პროცედურები, მათი კონტროლი. მათ შორის, საიდენტიფიკაციო საშუალებები, საგადასახადო შეღავათის მიცემის წესი, გადასამუშავებლად საქონლის დროებით შემოტანაზე და გატანაზე ნებართვის მიღების პროცედურები.

გადამუშავების საბაჟო რეჟიმის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დახასიათებისას, აღსანიშნავია, რომ იგი გამოირჩევა უაღრესი დაქსაქსულობით. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული დიდი რაოდენობის აქტები საჭიროებს გარკვეულ სისტემატიზაციას და მისადაგებას საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებთან. კერძოდ, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან უნიფიკაციას, რომელიც მიღებულია 1973 წლის 18 მაისს, კიოტოში შემდგარი საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სესიაზე (შემდგომში კიოტოს კონვენცია). „გადამუშავების საბაჟო რეჟიმებს ეძღვნება კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი F, რომელიც შედგება ოთხი თავისაგან და თითოეული მათგანი მოიცავს:

1. საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმს.
2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმს.
3. დაბრუნების რეჟიმს.
4. თავისუფალი მიმოქცევისათვის გადამუშავების რეჟიმს.

ყოველი თავი ცალკე განსაზღვრავს გადამუშავების საბაჟო რეჟიმების გამოყენების სფეროს, რეჟიმში საქონლის ყოფნისა და მისი მოქმედების დამთავრების წესს.

ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსი აღიარებდა საქონლის გადამუშავების სამ რეჟიმს: 1. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე. 2. საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ. 3. საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ. საკმაოდ მართებულად შენიშნავდა ბევრი ავტორი, რომ ფაქტობრივად, საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავება თითქმის ერთი და იგივე საბაჟო რეჟიმი იყო და კარგი იქნებოდა მათი ერთ საბაჟო რეჟიმად გაერთიანება. ანალოგიური მოსაზრება ჩამოვაყალიბეთ და განვავრცეთ სადისერტაციო ნაშრომსა და მონოგრაფიაში, რომლებიც საქონლის გადამუშავების სამართლებრივ რეგულირებას ეხებოდა.[1]

საქართველოს საბაჟო კოდექსის 115-ე მუხლისა და „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ“ ინსტრუქციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ერთი ან ერთზე მეტი ოპერაციის გამოყენებას: ა) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა, საბაჟო მოსაკრებლისა) და არ ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას, არ გადაიხდევინება ექსპორტის გადასახდელები და არ ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები; ბ) თავისუფალ მიმოქცევაში

გაშვებული საქონლის მიმართ, რომლებზედაც გადახდილია იმპორტის გადასახდელები (გარდა, საბაჟო მოსაკრებლისა) უნდა დაექვემდებაროს დაბრუნებას ან ჩათვლას, თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები (გარდა, საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნებული ან ჩათვლილი არ არის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის გატანა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან; გ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას არ გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები (გარდა, საბაჟო მოსაკრებლისა) და არ ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები, ხოლო მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას გადაიხდევინება იმპორტის გადასახდელები და ტარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები".[2]

აქტიური ტიპის რეჟიმია საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება. საქონლის გადამუშავებისას როგორც საბაჟო ტერიტორიაზე, ასევე საბაჟო ტერიტორიის გარეთ, იკვეთება ორივე საბაჟო რეჟიმისათვის დამახასიათებელი საერთო მიზანი – საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა მისი საბოლოო გადამუშავებისათვის.

„უნდა შევნიშნოთ, რომ საბაჟო რეჟიმის შერჩევა თავად საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებლის პრეროგატივაა. ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რამ გამოიწვია საბაჟო კოდექსში ამ რეჟიმის შემოღება და რა შემთხვევაში მიმართავს პირი ამ რეჟიმს?

ზოგიერთ შემთხვევაში, საქართველოში შემოტანილი საქონელი იმთავითვე არის მომზადებული რეალიზაციისა და მოხმარებისათვის და მოითხოვს წინასწარი ოპერაციების ჩატარებას: მონტაჟს, აწყობას, სხვა საქონელზე მორგებას, რემონტს, დაფასოებას, ჩამოსხმას, შეფუთვას, მარკირებას და სხვ. თუ ეს ოპერაციები მარტივია, შეიძლება საბაჟო საწყობში შესრულდეს.

ზოგიერთ შემთხვევაში კი, საქონლის დამუშავება და გადამუშავება მოითხოვს მის გატანას სპეციალურ შენობებში ან საწარმოებში. მარტივი ოპერაციებისათვის გამოდგება საბაჟო საწყობი, სადაც საქონელი რეჟიმის შესაბამისად, საბაჟო კონტროლს ქვეშ იმყოფება. უფრო რთული გადამუშავებისათვის კი, საჭირო ხდება შემოტანილი საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ აყვანა – საბაჟო კონტროლის ზონისა და საბაჟო საწყობის გარეთ, ანუ მოითხოვს ახალ რეჟიმს და ამ რეჟიმში საქონლის მოთავსების ნებართვას (ლიცენზიას)".[3]

საქართველოში, გადამუშავების რეჟიმით 200-მდე საწარმო მუშაობს და მათი რაოდენობა თანდათან იზრდება. მაგალითად, ს.ს. „თბილავიამშენი", ს.ს. „მადნეული", ს.ს „აზოტი", ს.ს „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" და სხვ.

„გადამუშავების საბაჟო რეჟიმები, სამეურნეო საქმიანობის და ეკონომიკური კვლავწარმოების პროცესში მათი რიგისა და ადგილიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ეკონომიკურ საბაჟო რეჟიმებს, რომლებიც უშუალოდ პასუხობენ მრეწველობის ინტერესებს (აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ რეჟიმით მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან საქართველოს მუშახელის სიიაფემ უცხოელ ბიზნესმენთა მიერ ქართული ბაზრის წალეკვა არ გამოიწვიოს. განსაკუთრებით, ეს ეხება ერთობლივ საწარმოებს). ხშირია შემთხვევები, როცა ბიზნესმენებს იაფად შემოაქვთ ნედლეული გადასამუშავებლად და საწარმოებში „კაპიკებად" ამუშავებენ ქართველ მუშახელს, სადაც შრომის უსაფრთხოების ელემენტარული პირობები დარღვეულია (მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ერთ-ერთ სამკერვალო კომბინატში).

რაც უფრო შრომატევადია წარმოება, მით უფრო ხელსაყრელია უცხო მეწარმისათვის მისი საქართველოში განთავსება (იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში გათვალისწინებული იქნება სა-

ქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალიც და უცხოელები საქართველოში განათავსებენ სამეცნიერო საწარმოებსაც“.[4]

საქონლის გადამუშავების პროცესი. გადამუშავების პროცესში მონაწილეობს ორი სახის საქონელი: გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოთავსებული საქონელი (გადამუშავების საგანი) და საქონელი, რომლის მეშვეობითაც წარმოებს ასეთი გადამუშავება (განვსაზღვროთ ის, როგორც ეკვივალენტური საქონელი ვთქვათ, კაკაო შოკოლადის მისაღებად). დამხმარე საქონელი შეიძლება იყოს მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონელი, სადაც ხორციელდება გადამუშავება, ან ამ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვებული საქონელი.

ეკვივალენტური საქონლის სტატუსი რეგლამენტირებულია საქართველოს საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლში, რომლის თანახმად, „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონელი საბაჟო ორგანოს თანხმობით, შესაძლებელია შეიცვალოს საქართველოს საქონლით, თუ მისი აღწერილობა, ხარისხი, ტექნიკური მახასიათებლები და საბაჟო ღირებულება შეესაბამება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის შესაბამის მონაცემებს. შევნიშნავთ, რომ ეკვივალენტური საქონელის გამოყენება შეიძლება იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია სასაქონლო პროდუქციის მისაღებად.

საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადასამუშავებლად ზოგიერთი დამხმარე საქონლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვით. ასეთ საქონელს მიეკუთვნება მაგალითად, ძვირფასი ლითონები, ძვირფასი ბუნებრივი ქვები და სხვ (ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა).

ეკვივალენტური საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, ნაშთები ან (და) ნარჩენები განიხილება როგორც საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარირებული შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტი, ნაშთი, ან (და) ნარჩენი.

ეკვივალენტურ საქონელს აქვს უცხოური საქონლის საბაჟო სტატუსი, ხოლო შემოტანილს – საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი.

საქონლის გადამუშავება შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთ, ისე რამდენიმე საწარმოში. ერთზე მეტი გადამამუშავებლის მიერ საქონლის თანმიმდევრულ გადამუშავებას მრავალსაფეხურიანი ეწოდება. გადამუშავების შედეგად ჩნდება სასაქონლო პროდუქცია (საბაჟო კანონმდებლობით მას „საკომპენსაციო საქონელი“ ეწოდებოდა), ასევე საქონლის გადამუშავების შემდეგ შეიძლება წარმოიშვას ნაშთები ან (და) ნარჩენები.

სასაქონლო პროდუქციის განსაზღვრება მთლიანად შეესაბამება კიოტოს კონვენციაში მოცემული კომპენსაციური საქონლის განსაზღვრებას: „პროდუქცია, რომელიც წარმოადგენს იმ საქონლის წარმოების, გადამუშავების, ან რემონტის შედეგს, რომლის მიმართ ნებადართულია საბაჟო ტერიტორიაზე ან მის გარეთ გადამუშავების რეჟიმის გამოყენება (თუმცა, დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსი იყენებს ტერმინს „გადამუშავების პროდუქტი“).

გადამუშავების განხილული პროცესი ეთანხმება მტკიცებას, რომელიც გვხვდება იურიდიულ ლიტერატურაში, რომლის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს საქონელი, ნარჩენები და ფინანსური სახსრები (მოცემულ შემთხვევაში, ფინანსები არ არის შეტანილი საქონლის გადამუშავების პროცესში, ვინაიდან ისინი გადამუშავების საბაჟო რეჟიმების გამოყენებასთან დაკავშირებით, აღმოცენებული ურთიერთობების რეგულირების მიღმა რჩება).

საბაჟო კოდექსის 122-ე მუხლის და ინსტრუქციის 21-ე მუხლის თანახმად, „საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ან (და) გადამუშავებული საქონლის ნაშთების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ექვემდებარება იმპორტის გადასახდელების გადახდას ისევე, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ასეთ მდგომარეობაში იმპორტირებული საქონელი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისათვის ან (და) გადამუშავებული საქონლის ნაშთებისათვის განისაზღვრა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახე (გარდა, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა), ასეთ საქონელზე საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა განსაზღვრული საბაჟო ოპერაციის სახის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად.

ზოგიერთი ქვეყნის დებულება ითვალისწინებს, რომ გადამუშავებულ საქონელს აფორმებენ საბაჟო ორგანოები ექსპორტის საბაჟო რეჟიმისათვის გათვალისწინებული წესით, ფაქტობრივად, ქვეყნიდან მისი გატანის გარეშე, რის შედეგადაც იგი მოთავსდება საბაჟო რეჟიმში შემოსატანი საბაჟო გადასახადების, სხვა გადასახდელების გარეშე და საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის მოქცევის წესის შესაბამისად, ხდება მისი გადამუშავების ადგილას გადაზიდვა. ამასთან, ხდება ექსპორტიორად ცნობა სახელმწიფო პირისა, რომელმაც უცხოელ პირს მიჰყიდა ნედლეული, საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი შემდგომი გადამუშავებისათვის. აღსანიშნავია, რომ ასეთმა ოპერაციამ მიიღო საშინაო ტოლინგის სახელწოდება.

ამ წესის მოქმედება ვრცელდება ისეთ საქონელზე, როგორიცაა: ფერადი ლითონები და მათი შენადნობები, მათი წარმოება, ნედლეული, ფერადი ლითონშენადნობები, მათი წარმოება, მადანი და რკინის კონცეტრატები, მანგანუმის კონცენტრატები, ქვანახშირი, შავი ლითონების ნარჩენები, ჯართი და სხვ.

რაც შეეხება სპეციფიკურ ტვირთებს, კერძოდ: ელექტროენერგიას, გაზს, ნავთობის მსუბუქ, საშუალო და მძიმე დისტილატებს, მილსადენით გატარებულ საქონელს, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა მათი საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავების ნებართვებს არ იძლევა. შემოსავლების სამსახურის ნებართვით შეიძლება გადამუშავდეს მხოლოდ გაზი და ისიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში – გვარჯილის მისაღებად. სხვა შემთხვევაში სხვა ენერგორესურსების გადამუშავება კანონმდებლობით ნებადართული არ არის.

კრიტიკულად უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებელი ფერადი ლითონების გადამუშავება საქართველოს ტერიტორიაზე. მხოლოდ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ხდება ჯართის გადამუშავება (ისიც, მკაცრ კონტროლზეა აყვანილი, რადგან გადამუშავების პროცესში არ ჩაერთოს მაღალი რადიაციის მქონე ლითონი).

საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავების პროდუქტებში და ლიცენზიის გაცემა

გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაცია გადამუშავების პროდუქციასთან იმ ფაქტის დადგენის საშუალებაა, რომელიც დაადასტურებს, რომ გადამუშავების პროდუქციის მიღების მიზნით გადამუშავების ოპერაციებში მონაწილეობდა უშუალოდ გადასამუშავებელი საქონელი (მაგალითად, კაკაო შოკოლადის მისაღებად, ან სპირტი – არყის მისაღებად და სხვ).

საქონლისა და განხორციელებული გადამუშავების ოპერაციების გათვალისწინებით, გადამუშავების პროდუქტებში საქონლის იდენტიფიკაციისათვის დეკლარანტმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი საშუალებები:

ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის მონიშვნა შტამპით, ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით.

ბ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის დაწვრილებითი აღწერა, მისი ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა.

გ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის და მისი გადამუშავების პროდუქტის სინჯის ან (და) ნიმუშის გამოკვლევის ან ანალიზის შედეგების შედარება.

დ) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევ საქონელზე მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრები და/ან სხვა მარკირება.

იმ შემთხვევაში, თუ გადამუშავების ოპერაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით, როგორც ერთ, ასევე სხვადასხვა გადამამუშავებელთან, მაშინ ზემოხსენებული საშუალებების გამოყენება შესაძლებელია ყველა ეტაპისათვის ცალ-ცალკე.

გადამუშავების ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში საქონლის მოთავსების აუცილებელი პირობაა ლიცენზიის მიღება. საქართველოს საბაჟო ტეროტორიაზე საქონლის გადამუშავება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. დაუშვებელია საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ლიცენზიის გაცემა, თუ გადამუშავების შედეგად საწარმოო დანაკარგების სახით წარმოიქმნება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანად აკრძალული საქონელი. თუ გადამუშავებისას მიღებული ნარჩენი მიეკუთვნება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესატანად აკრძალულ საქონელს, ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, რომ განმცხადებელი კისრულობს ვალდებულებას ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, ეს ნარჩენები გაიტანოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

ლიცენზია მიეცემა საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს იმ პირობით, რომ:

1. შესაძლებელია შემოტანილი საქონლის გადამუშავების პროდუქციის იდენტიფიკაცია, გარდა კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. გადამუშავება იძლევა საქართველოს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის საშუალებას.
3. შესრულებულია საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მოთხოვნები.

ლიცენზია არ გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც გაცხადებული გადამუშავების ობიექტის გადამუშავების შედეგად ისეთი სახის გადამუშავების პროდუქტები მიიღება, რომელთა შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალულია. განსაზღვრულ შემთხვევებში საბაჟო ორგანოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაიცემა ლიცენზია, თუ განმცხადებელი გაიტანს აკრძალულ პროდუქტს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

როგორია საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობები? საბაჟო კოდექსის 118-ე მუხლის (ნაწილი 1) თანახმად, ეს პირობებია:

ა) გადამუშავების პროდუქტში საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა.

ბ) ეკონომიკურად მომგებიანი საშუალებით პროდუქტში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა.

გ) დეკლარანტის მიერ დასაბუთებული მონაცემების წარდგენა:

გ.ა) იმ პირის შესახებ მონაცემები, რომელიც საქონლის გადამუშავების ოპერაციას უშუალოდ ახორციელებს.

გ.ბ) საქონლის გადამუშავების ოპერაციები, მათი განხორციელების ვადები და საშუალებები.

გ.გ) გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმების განსაზღვრა.

საქონლის გადამუშავების ვადები დეკლარანტის მიერ განისაზღვრება საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების ვადა განისაზღვრება გადამუშავების პროცესის ხანგრძლივობისა და გადამუშავების პროდუქტის, ნაშთების ან (და) ნარჩენების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანად საჭირო დროის გათვალისწინებით, ან სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახით განსაზღვრისათვის.

დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე წინასწარ გაცხადებული ვადა შეესაძლებელია ზემოთ აღნიშნული ვადის ფარგლებში გაგრძელდეს (კიდევ 2 წლით).

გამოსავლიანობის ნორმები და მისი გამოანგარიშების წესი. გამოსავლიანობის ნორმა არის საწარმო პროცესის შესაბამისად, საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანია) და დამხმარე საქონლის ერთეულიდან მიღებული გადამუშავების პროდუქტების რაოდენობა აბსოლუტური მნიშვნელობით ან პროცენტულად (მაგალითად, რა რაოდენობის სპირტისაგან რამდენი ლიტრი არაყი მიიღება გადამუშავების შედეგად).

დაკლარანტთან გადამუშავების პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანო ითვალისწინებს საექსპერტო ორგანიზაციების (მათ შორის საბაჟო ლაბორატორიების) დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიებს.

კიოტოს კონვენცია განამტკიცებს დებულებას, რომ საბაჟო სამსახურმა უნდა დაადგინოს, ან შეათანხმოს გადამუშავების პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე ტარდება წარმოების ან გადამუშავების ოპერაციები. ამასთან, კიოტოს კონვენციით გათვალისწინებულია გამოსავლიანობის სტანდარტული ნორმის დადგენის შესაძლებლობა ერთობლივად შემდეგი პირობების დაცვისას:

1. საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოთავსებულ საქონელს პრაქტიკულად, მუდმივი მახასიათებელი აქვს.
2. გადამუშავების ოპერაციები ჩვეულებრივ, ხორციელდება ზუსტად განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად.
3. გადამუშავების ოპერაციები იწვევს უცვლელი რაოდენობის საკომპენსაციო პროდუქტების გამოსავლიანობას (სპეციალური, F დანართის 1-ლი თავის პუნქტი 13).

გამოსავლიანობის ნორმების დადგენა საქართველოში ყოველთვის „აქილევსის ქუსლი“ იყო შესაბამისი ნორმატიული აქტის არარსებობის გამო. ეს კი, გადამმუშავებელ საწარმოებს შესაძლებლობას აძლევდა თავად განესაზღვრათ მათთვის მისაღები გამოსავლიანობის ნორმები, რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის ბიუჯეტზე (მაგალითად, თუ მეწარმეს ქვეყანაში შემოჰქონდა ვთქვათ, 10 ტონა სპირტი გადასამუშავებლად და არყის მისაღებად, იგი ადგენდა, რომ 10 ტონა სპირტისაგან მიიღებდა 5 ტონა არაყს, როცა რეალურად, 8 ტონა არაყი მიიღო და სხვ). ამით

ბუნებრივია, მეწარმე სახელმწიფოს გადასახადს უმალავდა. თანამედროვე საბაჟო კოდექსი და შესაბამისად, ინსტრუქციები უკეთესად არეგულირებენ ამ საკითხს. მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ცალკე დებულებით, ინსტრუქციით, თუ ნორმატიული აქტით კონკრეტულად განისაზღვროს გამოსავლიანობის ნორმების საკითხი გადამუშავების საბაჟო რეჟიმებისათვის.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას, გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავების პროდუქტი ან (და) მათი მაკომპლექტებელი ნაწილები საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით, საქონლის გადამუშავების დადგენილ ვადების (2 წელი) ამოწურვამდე, დაბრუნების პირობით, შეიძლება დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გადამუშავებისათვის. თუ ზემოთ აღნიშნული დროებით გატანილი საქონელი ვადის ამოწურვამდე დაბრუნდა გადამუშავების პროდუქტის სახით და იმავე საბაჟო რეჟიმში მოექცა, მაშინ მის მიმართ საბაჟო ვალდებულება არ წარმოიშობა და ამასთანავე, გადამუშავების პროდუქტის დაბრუნებისას, დეკლარანტმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენებისათვის გარანტიის გაზრდა.

საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმისათვის. საერთოდ, საბაჟო ტერიტორიაზე და მის გარეთ გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოთავსებული საქონლისათვის გათვალისწინებული გადახდილი საბაჟო გადასახადების (შემოტანის ან გატანის) და სხვა გადასახდელების თანხის დაბრუნების სახით შეღავათები პირობითი ხასიათისაა. მისი გამოყენება უშუალოდ დამოკიდებულია, თუ რამდენად „დანიშნულებისამებრ“ იყენებს პირი საბაჟო რეჟიმებს.

მაგალითად, საბაჟო კოდექსის 124-ე მუხლის თანახმად (ნ. 1), საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის გამოყენების პირობების შესრულების შემთხვევაში, დეკლარანტს შეუძლია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელების (გარდა საბაჟო მოსაკრებლისა) დაბრუნება ან (და) ჩათვლა, თუ იგი საბაჟო ორგანოს წარუდგენს სათანადო მტკიცებულებებს, რომ დეკლარანტმა შეასრულა საბაჟო კოდექსის 115-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის მიმართ, რომელზედაც გადახდილი იმპორტის გადასახდელები დაბრუნებას ან ჩათვლას ექვემდებარება და თუ გადახდილი იმპორტის გადასახდელები დაბრუნებული ან ჩათვლილი არ არის და მისგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან. ასევე, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლისაგან მიღებული გადამუშავების პროდუქტი ან გადაუმუშავებული საქონელი: ა) გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, გარდა გადამუშავებული საქონლის, გადამუშავების პროდუქტის ან (და) მათი მაკომპლექტებელი ნაწილების საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისათვის გატანისას საქონელი დაბრუნებულ იქნა 3 წლის განმავლობაში; ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით, საქონელი მოქცეულია საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის, საქონლის დროებითი შემოტანის, ან საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში ან (და) მიტანილია თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში.

გადამუშავების პროდუქტი ან გადამუშავებული საქონელი ზემოთ აღნიშნულ „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული საბაჟო დამუშავების ოპერაციის სახის განსაზღვრისას განიხილება, როგორც უცხოური საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ გადამუშავების პროდუქტი ან გადამუშავებული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით მოქცეულია დროებითი შემოტანის, ან საბაჟო საწყობში შენახვის, ან საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმში ან

(და) საქონელი მიტანილია თავისუფალ საწყობში და გაიშვება თავისუფალ მიმოქცევაში, საბაჟო დავალიანება წარმოიშობა იმპორტის გადასახდელების დაბრუნებული ან ჩათვლილი თანხის ოდენობით.

დასკვნა

- საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმი სამეურნეო საქმიანობის და ეკონომიკურ კვლავწარმოების პროცესში მათი როლის და დანიშნულების მიხედვით ეკონომიკური საბაჟო რეჟიმია, რომელიც უშუალოდ პასუხობს მრეწველობის ინტერესებს და იგი აქტიური ტიპისაა;
- აღნიშნული გადამუშავების რეჟიმი შეიძლება გამოიყენონ იურიდიულმა პირებმა და მხოლოდ საქონლის მიმართ;
- საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავებას ძირითადად, მხოლოდ უცხოური საქონელი ექვემდებარება;
- საბაჟო რეჟიმის ჩარჩოებში გადამმუშავებლებს ეძლევათ საბაჟო გადასახდელების გადახდაზე შეღავათები;
- განხილული საბაჟო რეჟიმის გამოყენების შედეგად საქონელი განიცდის გარკვეულ ცვლილებებს, რასაც მოსდევს მისი იურიდიული სტატუსის შეცვლა;
- ყველა საბაჟო რეჟიმის მსგავსად, საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის სტრუქტურა პირობების, შეზღუდვების და მოთხოვნების, ასევე მიცემული შეღავათების ერთობლიობაა;
- საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმის ძირითადი პირობაა: საქონლის სტატუსი, გადამუშავების პროდუქტში გადამუშავების საგნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, საქართველოს ეკონომიკური ინტერესების დაცვა, საქონლის გადამუშავების ლიცენზიის მიღება;
- გადამუშავების საბაჟო რეჟიმის შეზღუდვები გამოიხატება რეჟიმში მოთავსებული საქონლის და მასზე მხოლოდ გადამუშავების ოპერაციის ჩასატარებლად გამოყენების შესაძლებლობაში;
- გადამუშავების საბაჟო რეჟიმის მოთხოვნებში უნდა მოვიაზროთ გადამუშავების ვადების, გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობის დაცვა, ასევე გადამუშავების პროდუქტებზე საქონლის დამუშავების ოპერაციების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 2008 წლის საბაჟო კოდექსი.
2. ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ., 2007.
3. ი. ხარაზი, საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმები, სამართლებრივი რეგულირება, მონოგრაფია, თბ., 2006.
4. ი. ხარაზი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბ., 2004.
5. ზ. ამილახვარი, საბაჟო სამართალი, თბ.; 2007.

შენიშვნები:

[1] ი. ხარაზი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია – „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება. თბ., 2005წ., გვ. 62.

[2] თუ საქონლის გადამუშავებისას არ გამოიყენება ეკვივალენტური საქონელი.

[3] ი. ხარაზი, საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმები, სამართლებრივი რეგულირება, მონოგრაფია, თბ., 2006წ., გვ. 101-102.

[4] ი. ხარაზი, საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმები, სამართლებრივი რეგულირება, მონოგრაფია, თბ., 2006წ., გვ. 119-121.

The Legal Aspects of Georgian Customs Inward Processing of Goods

IA KHARAZI
Full-fledged Professor, Manager of the Program directions at the Faculty of Law, Georgian University of Aviation

NATO EURTASHVILI
Master of the Georgian-British University of International Law and Management

The international customs treaties (1973 Kyoto convention) and number of states, including the EU Customs legislation differentiate two types of processing regimes – active and passive, depending on where does the processing take place and what is the country of origin of the goods to be processed. Active processing is when the goods of foreign origin are processed on the national customs area and the passive is, when the foreign goods are processed outside the customs area.

The Georgian Customs Code, regulations of the Incomes Service of the Ministry of Finance of Georgia on the "Rules of using customs rules for good processing at the customs area" (pursuant to the instructions approved by the rulings #1762 and #1763 issued on 20 December, 2006 by the Minister of Finance of Georgia) and other normative acts are regulating the customs regimes of the good processing.

Two types of goods are involved in the processing process: the goods (the subject of processing) in the customs regime of processing and the goods,

that are used for this type of processing. The subsidiary goods should only be produced on the territory of the state, where the processing is taking place, or the goods allowed for free circulation on this territory.

The inevitable precondition for putting the goods in any processing customs regime is the obtaining of the license. The goods processing at the Georgian Customs area is carried out on the bases of the license issued by the Incomes Service. It is prohibited to issue the goods processing license at the Customs area, if the industrial waste generated as a result of the processing is the good prohibited to be entered at the Georgian Customs area. If the waste generated as a result of the processing is prohibited to be entered at the Georgian customs area, the license can only be issued in case, if in compliance with the customs regime of export the applicant takes responsibility to take these waste out of the customs area.

The Goods processing deadlines are defined by declarer in agreement with the Customs and should not exceed 2 years.

ადამიანის უფლებების საკანონმდებლო აღიარება და განვითარება საქართველოში

არჩილ ლორია
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დღეს უკვე შესაძლებელია გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ადამიანის უფლებების დაცვა, არა მხოლოდ განვითარებულ სახელმწიფოთა, არამედ განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების კანონმდებლობაშიც ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. უფრო მეტიც, ქართული მსოფლმხედველობისათვის პირდაპირ დამახასიათებელია ადამიანის უფლებათა აღიარება და ეკონომიკური თუ ტექნიკური განვითარების დონის მიუხედავად, საყოველთაო კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის პრინციპების წინა პლანზე წამოწევა და პატივისცემა. ამის დასტურად მე-18 საუკუნის დაქუცმაცებულ და ჩამორჩენილ ქართლის სამეფოს სიუზერენის ვახტანგ VI-ის პერიოდის გახსენებაც საკმარისია, როცა მეფე ყოველნაირად გმობდა სიკვდილით დასჯისა და ასოთდაკლების სასჯელებს.

ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისადმი ინტერესი არც შემდგომ პერიოდში შესუსტებულა. გასული საუკუნის დასაწყისში, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველოში ფართოდ გაიშალა საკანონმდებლო მუშაობა. ამ დროსაც, უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ადამიანის უფლებებს, რის გამოც მიღებული იქნა არაერთი სამართლებრივი აქტი.

1918 წელს, მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო კონტროლის ორგანოს შემოღების შესახებ, რომლის ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლების მკაცრი კონტროლი საფინანსო და საგადასახადო სფეროში.[1] 1919 წელს, მიღებულ იქნა კანონები სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ[2], სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემის შესახებ[3]. ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ადგილებისა და ჯამაგირების შენახვის შესახებ[4], ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევისაგან გათავისუფლების შესახებ[5], მოქალაქეობის შესახებ[6] და სხვა.

1920 წელს, მიღებულ იქნა კანონი პოლიტიკური, საერთო სისხლის სამართლისა და სამხედრო დანაშაულობათა ჩამდენთა ხვედრის შემსუბუქების შესახებ[7], რითაც უმძიმეს და დაძაბულ პერიოდშიც კი, ქვეყანამ შესძლო მიმტევებლობისა და ჰუმანურობის პრინციპის შენარჩუნება და ცხოვრებაში გატარება.

ამავე წელს, მიღებულ იქნა კანონი შრომის ხელშეკრულებისა[8], რომელიც აწესრიგებდა და იცავდა ფიზიკურ პირთა ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებას, როგორიცაა შრომის თავისუფლება.

ზემოთ დასახელებული და სხვა ნორმატიული აქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება არა მარტო ფორმალურად აღიარებდა ძირითად უფლებებს, არამედ თავის მოვალეობად მიიჩნევდა მათ რეალურ განხორციელებასა და დაცვაზე ზრუნვას. აღნიშნული კიდევ ერთხელ დადასტურდა 1921 წლის კონსტიტუციით, რომელიც დახვეწილობითა და მაღალი დონით ტოლს არ უდებდა მაშინდელი ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოთა ანალოგიურ აქტებს[9].

1921 წლის კონსტიტუციამ იმთავითვე აღიარა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებები და პრინციპები (მუხლი 16, 17 და სხვ.). ძირითადი კანონის მთავარი თემა სწორედ ადამიანის უფლებები გახლდათ, რომელსაც არაერთი თავი ეთმობოდა (მაგალითად: მე-2, მე-3, მე-12, მე-13, მე-14, მე-15). უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ, გაუქმდა სიკვდილით დასჯა (მუხლი 19) და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და სუსტი სახელმწიფო გამუდმებულ აგრესიას განიცდის არაკეთილგანწყობილი მეზობლებისაგან, ხოლო ქვეყნის შიგნით კი, მრავლად მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც აშკარად თანაუგრძნობენ აგრესორებს.

ამავე აქტით, გაუქმდა წოდებრივი განსხვავება და აღიარებული იქნა სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი თანასწორობა. დადგინდა პირადი თავისუფლების სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვის გაცილებით მკაცრი პირობები, ვიდრე დღეს არის დაშვებული. კერძოდ, დაკავებული 24 საათში უნდა წარედგინათ სასამართლოსათვის, რომელიც ვალდებული იყო ასევე, 24 საათში მიეღო გადაწყვეტილება შეპყრობის გაგრძელების ან გათავისუფლების შესახებ. ე.ი. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაკავება შესაძლებელი იყო 48 საათის განმავლობაში და მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არსებობისას, შეიძლებოდა ამ ვადის 72 საათმადე გახანგრძლივება (მუხლი 25, 26).

მეოცე საუკუნის დამდეგს, ქართულ სამართლებრივ მსოფლმხედველობას პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პრინციპის ასეთი დიდი აღიარება და უმკაცრესი დაცვა ახასიათებდა. ეს მაშინ, როცა არამცთუ იმდროინდელი, არამედ დღევანდელი მოწინავე ქვეყნების

უმრავლესობათა კანონმდებლობითაც კი, ფიზიკური პირის დაკავება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე 72 საათით არის დაშვებული.

ამავე კონსტიტუციის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ ძირითად უფლებათა შეზღუდვას ფაქტობრივად მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიჩნევდა შესაძლებლად და დღევანდელი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, კანონით დადგენილ გადაუდებელ აუცილებლობას ან სხვა გარემოებას უფლების შეზღუდვის დამოუკიდებელ საფუძვლად თითქმის არ ითვალისწინებდა (მუხლი 28, 29, 30, 32, 35 და სხვა).

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ძირითადმა კანონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მის მიღებამდე არსებულ კანონმდებლობაში მოცემული იდეა სახელმწიფოს მიერ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის აუცილებლობის შესახებ. კერძოდ, 113-ე მუხლში ჩაიწერა, რომ „რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა **ღირსეული არსებობისათვის**“.

სპეციალურად ხაზგასმული „ღირსეული არსებობა“, ვფიქრობთ, გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას უნდა გულისხმობდეს, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთათვის ელემენტარული საარსებო პირობების შექმნაა. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ქართული კონსტიტუცია არ შეიცავს მსგავს პირდაპირ და არაორაზროვანი შინაარსის შემცველ დებულებას (ალბათ, ხელისუფლება მოერიდა ისეთი დაპირების მოცემას, რომლის შესრულების იმედიც არ ჰქონდა).

1921 წლის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების აღიარებისა და დაცვის უზრუნველმყოფი ნორმები კიდევ მრავლად მოიპოვება, მაგრამ უკვე ზემოაღნიშნულით ნათელია, რომ ეს აქტი თავისი პროგრესული იდეებით, არამცთუ არ ჩამორჩებოდა, არამედ წინ უსწრებდა თავის ეპოქას. სამწუხაროდ, მის არსებობას დიდი დღე არ ეწერა. საბჭოთა ხელისუფლებამ დაამხო თავისუფალი რესპუბლიკა და ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარა.

საბჭოთა საქართველოში საკანონმდებლო პროცესი არ შეწყვეტილა, მაგრამ მას ვერ მივიჩნევთ კანონშემოქმედებით პროცესად. საქმე ისაა, რომ იმდროინდელი ნორმატიული აქტების შინაარსი ნაკარნახევი იყო ბოლშევიკური მოსკოვიდან ან რუსული ნორმების პირდაპირ თარგმანს წარმოადგენდა.

ამ პერიოდში საბჭოთა საქართველომ მოასწრო ოთხი კონსტიტუციის მიღება. პროლეტარიატის დიქტატურისა და აშკარა ძალადობის შემცველ ნორმებთან ერთად იყო ჰუმანური დებულებებიც, მაგრამ ეს უკანასკნელნი ცხოვრებაში რეალურ ხორცშესხმას ვერ ჰპოვებდნენ, რის გამოც უცხოეთის თვალის ასახვევად გამოგონილ ლამაზ ზღაპრებს ჰგავდა.

მათგან მხოლოდ ბოლო, 1978 წლის კონსტიტუცია ერთგვარად განსხვავებული ბედის აღმოჩნდა. ჯერ იყო და ქართველ ხალხს კონსტიტუციის მიღების დროს მოუხდა პრინციპულობის გამოჩენა მშობლიური ენისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რის აღსანიშნავადაც 14 აპრილი ენის დღედ არის გამოცხადებული. მოგვიანებით კი, იგივე კონსტიტუცია, მთელი რიგი ცვლილებებითა და დამატებებით, ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოს, ასე ვთქვათ, მეორე რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის ძირითად კანონად მოგვევლინა.

ძირითადი უფლებების კუთხით, 1978 წლის კონსტიტუციასთან მიმართებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ადამიანი მის ავტორებს მხოლოდ ბოლო თავებში გაახსენდათ და ამ საკითხებს მე-5 და მე-6 თავები დაუთმეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა სწორედ რომ საბჭოური პოლიტიკის შედეგი გახლდათ. იგი არ შეესაბამებოდა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ახალ პოლიტიკურ კურსს, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის მიღება.

1991-1992 წლებში მომხდარ გადატრიალებას შედეგად საქართველოში ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. ახალმა ხელისუფლებამ, ალბათ უფრო ხალხის კეთილგანწყობისა და მაღალი რეიტინგის მოპოვების მიზნით, კვლავ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი პოლიტიკური სვლა იყო, რადგან არც შემდგომ მიღებული ნორმატიული აქტები და არც ქვეყანაში არსებული რეალობა აშკარად აღარ შეესაბამებოდა აღდგენილი კონსტიტუციის დებულებებს.

ზემოთქმულის მაგალითად სახელმწიფო ხელისუფლების იმდროინდელი ორგანიზებაც საკმარისია. კერძოდ, 1921 წლის კონსტიტუციით დადგენილი საპარლამენტო რესპუბლიკის ნაცვლად ერთობ უცნაური და თავისებური სახელმწიფო გამოგვივიდა. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ხელმძღვანელობა ერთი პირის, სახელმწიფოს მეთაურის ხელში მოექცა, რომელიც მესამე – სასამართლო ხელისუფლებასაც ფაქტობრივად ერთპიროვნულად აყალიბებდა.

აღდგენილი კონსტიტუციის თანამედროვე პირობებთან შეუსაბამობამ კვლავ დღის წესრიგში დააყენა ახალი კონსტიტუციის მიღების საკითხი. ამ მიზნით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ დაახლოებით ორწლიანი შრომატევადი სამუშაოს შესრულების შედეგად, ქვეყნის პარლამენტს წარუდგინა ძირითადი კანონის ახალი პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და ამოქმედების პარალელურად მიმდინარეობდა და დღემდე გრძელდება სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების მიღებაც, მათ შორის, ადამიანის უფლებათა სფეროშიც. ამასთან, საქართველო მიუერთდა მრავალ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს, აღიარა რა, საყოველთაოდ მიღებული სამართლებრივი პრინციპები და დებულებები.

ბევრი საინტერესო ნაბიჯი გადაიდგა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხითაც, შეიცვალა საკითხისადმი მიდგომაც. კერძოდ, საბოლოოდ და ერთხმად აღიარებულ იქნა ადამიანის ძირითად უფლებათა უპირატესი მნიშვნელობა და როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში. მისი უზრუნველყოფის ხარისხი მიჩნეულ იქნა დემოკრატიული განვითარების პროცესის ერთგვარ კატალიზატორად. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა, რომ მოქმედ კონსტიტუციაში ადამიანის უფლებებს დაეთმო მეორე თავი, რითაც გამოიკვეთა მისი უპირატესობა სახელმწიფო მოწყობის საკითხების მიმართ.

ამასთანავე, ჯერ კიდევ კონსტიტუციის პირველ თავში, კერძოდ კი, მე-7 მუხლით პირდაპირ იქნა აღიარებული სახელმწიფოს ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ბოჭვის პრინციპი.

კონსტიტუციის მე-6 მუხლით დაშვებულ იქნა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების და ნორმების, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა პრიმატი ეროვნულ კანონებთან მიმართებაში. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით კი, 39-ე მუხლში დამატებით აღინიშნა, რომ ეს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც მასში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

ქართულმა მსოფლმხედველობამ და მართლშეგნებამ კიდევ ერთხელ გაილაშქრა კაცთა კვლის უმძიმესი ცოდვის წინააღმდეგ. მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად,

საბოლოოდ, აიკრძალა სიკვდილით დასჯა, რითაც ხელისუფლებამ აღიარა, რომ არავის არა აქვს ადამიანის სიცოცხლეზე ხელის აღმართვის უფლება[10].

ადამიანური ღირებულებებისადმი ამგვარი მიდგომა სათანადოდ აისახა სხვა საკანონმდებლო აქტებშიც. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს პირი, თუ მას ამისათვის შეიძლება სიკვდილით დასჯა შეეფარდოს.

სხვათა შორის, 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი – ექსტრადიციის შესახებ, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, ითვალისწინებს დამნაშავის გადაცემაზე უარის თქმას, თუ მომთხოვნი სახელმწიფო გადამცემ სახელმწიფოს ვერ წარუდგენს საკმარის გარანტიებს, რომ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოყვანილი არ იქნება[11].

როგორც ვხედავთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი გაცილებით უფრო კატეგორიულია სიცოცხლის უფლების დაცვის საკითხთან მიმართებაში და გადაცემის მომთხოვნი ქვეყნის კანონმდებლობაში კონკრეტული ქმედებისათვის სიკვდილით დასჯის ფორმალურ გათვალისწინებასაც ექსტრადიციაზე უარის თქმის ერთადერთ და საკმარის საფუძვლად მიიჩნევს.

სიცოცხლის უფლების მსგავსად, მოქმედი კონსტიტუცია ცნობს და იცავს გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულ ადამიანის სხვა პირად, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსაც.

ჯერ კიდევ, აღნიშნული კონსტიტუციის მიღებამდე, 1993 წლის 25 მარტის ორგანულმა კანონმა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, აღიარა ისეთი პოლიტიკური უფლებები, როგორიცაა მოქალაქეობის უფლება, მოქალაქეთა ურთიერთთანასწორობა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა სახელმწიფოს მიერ მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად და სხვა. შემოიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი გარანტიები, როგორიცაა მოქალაქეობის ჩამორთმევის აკრძალვა, საქართველოში მყოფ უცხოელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღიარება და მათი სასამართლო წესით დაცვა და სხვა. ამასთან, ეს იყო პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც დაადგინა თვით პრეზიდენტის აქტების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა[12].

1993 წლის ზაფხულში, საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონები უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ[13] და იმიგრაციის შესახებ[14], რომლებიც უფრო დეტალურად აწესრიგებდნენ უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობასა და მათი რეალიზაციის გარანტიებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უფლება და სამართლებრივი პრინციპი აისახა 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაშიც, რომლის მიღების შემდეგაც გაგრძელდა ადამიანის უფლებების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო აქტების შემუშავება.

საბოლოოდ, 1996 წლის 16 მაისის ორგანულმა კანონმა უზრუნველყო კონსტიტუციის 43-ე მუხლით დადგენილი სახალხო დამცველის ინსტიტუტის პრაქტიკაში განხორციელება. ეს გახდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში[15].

ძირითადი კანონის 26-ე მუხლით დადგენილი საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლებათა რეალიზების მიზნით, 1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონები პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ[16] და პროფესიული კავშირების შესახებ[17] (რომელსაც დღეს აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი), ხოლო კონსტიტუციის 25-ე მუხლით განმტკიცებულ პოლიტიკურ უფლებასთან დაკავშირებით – კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ[18].

განსაკუთრებით ხაზგასასმელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღება (1997 წ.), რომელსაც საქართველოს მეორე კონსტიტუციაც კი უწოდეს. საქართველოს ევროსაბჭოში შესვლის ერთ-ერთ წინაპირობად იქცა 1999 წელს მიღებული ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსები.

ადამიანის უფლებათა გაფართოებისა და დაცვის სფეროში მითითებული და სხვა ნორმატიული აქტების სიმრავლე ქართული მართლშეგნებისა და მსოფლმხედველობის პროგრესის მანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, ვინაიდან როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ქართული მსოფლმხედველობა მუდამ კაცობრიობის მოწინავე ჰუმანური იდეებით საზრდოობდა და მომავალშიც, ასე უნდა გაგრძელდეს, რათა ერმა შეინარჩუნოს მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული არსებობის უფლება.

შენიშვნები:

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990წ., გვ. 112-114.
2 იქვე, გვ. 122-124.
3 იქვე, გვ. 117-122.
4 იქვე, გვ. 127-129.
5 იქვე, გვ. 268.
6 იქვე, გვ. 270-273.
7 იქვე, გვ. 359.
8 იქვე, გვ. 408-431.
9 იქვე, გვ. 458-484.
10 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი, სსმ I, 2007 წ., №3, მუხლი 48.
11 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2001წ., III, №21, №28.
12 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ., 27 მარტი.
13 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ., 3 ივნისი.
14 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ., 6 აგვისტო.
15 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1996 წ., №13, გვ. 12.
16 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1997 წ., №45, გვ. 76.
17 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1997 წ., №15-16, გვ. 6.
18 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1997 წ., №33, გვ. 39.

Legislative recognition of the Human Rights and its Development in Georgia

ARCHIL LORIA
Doctor of Law, Associated Professor

The Human Rights protection is one of the priority topics not only in the legislation of the developed countries, but also in the legislations of developing and underdeveloped countries. In this regard, Georgia is not the exception either. Even more, for the Georgian ideology, recognition of the Human Rights is very common and despite of the economic, or technical development level, the universal principles of philanthropy and humanity are respected and they occupy the front lines.

The cases of abolishing the death penalty and asoTdaklebis can be traced as early as in the middle ages, when Georgia was a feudal state.

The interest towards the Human Rights was maintained during the following period as well. In the beginning of the last century, immediately after gaining the independence, they actively started to work on the legislation. The Human Rights were very important in that period as well, and therefore numerous legal acts were adopted. The Constitution of 1921 is the most important one, for it recognized all the human rights present in that epoch and established real guarantees for their protection.

During 1921-1990, Georgia was the part of the Soviet Union and naturally there were not relevant conditions for independent law making.

Only after 1991, after the recognition of the independence it became possible to develop the Georgian legislation. The Constitution dated back to 1995 established and supported the basic human rights and at the same time, it recognized the international norms in relation with the national legislation, and this reinforced guarantees for the Human Rights protection even better.

Despite of all the above mentioned, the Georgian legislation still has some serious gaps that pose threat to real and maximal implementation of human rights in private, political, or property fields and require immediate measures to be taken for their eradication.

საქართველოში მმართველობის სისტემისა და პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის **დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურებანი**

ლაშა გელანტია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

1978 წელს მიღებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-16 მუხლში, რომელიც რამდენიმე კონსტიტუციაში უცვლელად გადავიდა, აღნიშნულია, რომ „საზოგადოებას, სადაც ხელისუფლების დანაწილება განსაზღვრული არ არის, საერთოდ არ გააჩნია კონსტიტუცია“[1].

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, 1921 წლის კონსტიტუციის მსგავსად, იცავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და ამ პრინციპის დეკლარირებას იძლევა კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპმა საწინდარი მისცა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რომლის განუყოფელი ნაწილია სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი. დიდი დემოკრატიის სახელმწიფოებში სახელისუფლებო შტოებში

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური თანამდებობის სახელწოდებისა, მინიჭებული აქვს ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის გარანტის ფუნქცია.

თანამედროვე სახელმწიფოების ცენტრალურ ორგანოთა სისტემის განუყოფელი ნაწილია სახელმწიფოს მეთაური. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სახელმწიფოს მეთაური განსახიერებულია ერთ თანამდებობის პირში და ინდივიდუალურ ფორმას ატარებს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს მეთაურს მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლება, კონსტიტუციები არ განიხილავენ მას ხელისუფლების რომელიმე შტოს წარმომადგენლად. ვინაიდან, სახელმწიფოს მეთაური მოიაზრება როგორც არბიტრი ხელისუფლების შტოებს შორის, ქვეყნისა და ეროვნული ერთიანობისა და მთლიანობის გარანტი, ამგვარი ხედვის პირობებში სახელმწიფოს მეთაურისათვის ხელისუფლების ერთი რომელიმე შტოს მიკუთვნება სახელისუფლებო ბალანსს დაარღვევს. ამდენად, სახელმწიფოს მეთაური ქვეყნის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში ის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც არ შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე შტოს.

სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი მდგომარეობა და მისი პოლიტიკური როლი უმთავრესად განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის მმართველობის ფორმით და პოლიტიკური რეჟიმით.[2]

ამ თემის აქტუალობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოში პოლიტიკური სისტემის ცვალებადობამ დაამკვიდრა რესპუბლიკური მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული მმართველობის) სისტემა, რომელიც იძლევა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში საქართველოს პრეზიდენტის ადგილის და როლის ახლებურ ხედვას.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის, მმართველობის ახალი ფორმის ჩამოყალიბების მიმართულებით, ქვეყნის პარლამენტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 2004 წლის 6 თებერვალს, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით. ცვლილებაშეტანილი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო გადავიდა საპრეზიდენტო მმართველობის სისტემიდან ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სისტემაზე, რომელიც წარმოადგენს საპარლამენტო და საპრეზიდენტო რეჟიმების ნაზავს და გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.

ქართულმა სახელმწიფომ მმართველობის თითქმის ყველა კლასიკური ვარიანტი მოსინჯა: საპარლამენტო, საბჭოთა, ნახევრად საპრეზიდენტო, საპრეზიდენტო. მმართველობის ყოველი მოდელი საკუთარი სპეციფიკითა და თავისებურებით ხასიათდება. ამიტომ, 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების დროს ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენდა ხელისუფლების ჰორიზონტალური ორგანიზაცია, უფრო კონკრეტულად, თუ როგორ მოხდებოდა ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის. ამ კონტექსტში კიდევ უფრო მნიშვნელოვნად იდგა საკითხი, „სამომავლოდ, რა როლი უნდა ჰქონოდა საქართველოს სახელმწიფოში ქვეყნის პრეზიდენტს და რა სიდიდით უნდა გადაეცა მისთვის ახალ კონსტიტუციას ძალაუფლება“.[3] უცხოელი ექსპერტების კონსულტაციისა და რეკომენდაციების შედეგად, საკონსტიტუციო კომისია ნახევრად საპრეზიდენტო მოდელზე შეჯერდა. თუმცა, საპარლამენტო განხილვების დროს კანონმდებელმა გეზი აიღო მკაცრად საპრეზიდენტო მოდელისაკენ.

2003 წლიდან საქართველოში, აუცილებელი გახდა ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. ვინაიდან, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა ხელისუფლების მოწყობის საპრეზიდენტო მოდელს, რომლის ძირითადი ნაკლი ჩვენს პირობებში აღმოჩნდა ხე-

ლისუფლების სიხისტე, იგულისხმება პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში პარლამენტის მიერ მთავრობის გადაყენების და პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობის არარსებობა. კრიზისის დასაძლევად საჭირო გახდა ორმხრივი კომპრომისი, რაც, ხშირ შემთხვევაში, არ იყო საუკეთესო გამოსავალი. საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირთა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. პარლამენტს მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება შეეძლო მხოლოდ იმპიჩმენტის წესით, ისიც, მკაცრად რეგლამენტირებულ და საკმაოდ რთული პროცედურის პირობებში, რაც ამ ერთადერთი საშუალების გამოყენებას თითქმის შეუძლებელს ხდიდა. მთავრობის გუნდური პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში, შეუძლებელი იყო ცალკეული მინისტრების შეცვლით მთლიანობაში მთავრობის ეფექტიანი ქმედითობის მიღწევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, მთავრობის საქმიანობაზე სუსტმა საპარლამენტო კონტროლმა და კონსტიტუციაში საკმარისი თუ სათანადო მექანიზმების არარსებობამ, აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ ფართო უფლებამოსილებასა და მის პასუხისმგებლობას შორის მკვეთრი დისბალანსი გამოიწვია. სწორედ ეს ფაქტორები წარმოადგენდა სახელისუფლებო პრობლემების უმთავრესს მიზეზს, ამიტომ საჭირო გახდა ხელისუფლების კონსტიტუციურო რეფორმირება მისი (ხელისუფლების) ეფექტიანი ქმედითობის მიღწევის მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2004 წლის თებერვალში, განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებები თავისი შინაარსით და მნიშვნელობით იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ კვლავ შეიცვალა რესპუბლიკური მმართველობის მოდელი. უარყოფილი იქნა საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმა და ქვეყანაში დამკვიდრდა მმართველობის მოდელი, რომელიც შეიცავს საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებს. დღეს, მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით საქართველო უნდა დავახასიათოთ როგორც შერეული ტიპის რესპუბლიკა. ანუ საბოლოო ვარიანტის მიხედვით, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გარდაიქმნა ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად. ამას ადასტურებს როგორც კონსტიტუციის შინაარსი, ასევე შეტანილი შესწორებების საფუძველზე განზოგადებული მსოფლიო გამოცდილება. ნახევრად საპრეზიდენტო მოდელის კონცეფციის შემქმნელი ფრანგი სახელმწიფოთმცოდნე მ. დიუვერჟე თვლიდა, რომ ის ხასიათდება არა მხოლოდ ძლიერი და საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტით, არამედ ასევე მთავრობითაც, რომელიც ხელისუფლებაში რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პარლამენტის ნებას. ამასთან, მართალია, პრეზიდენტი აღჭურვილია ცალკეული ფუნქციებით უხელმძღვანელოს მთავრობას, თუმცა, მთავრობას ჰყავს თავისი თავმჯდომარე, მეთაური. პრეზიდენტი კი, წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს და, პირველ ყოვლისა, აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად.[4]

ეს დებულება თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება საქართველოს კონსტიტუციაში. კერძოდ, 69-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ახალი რედაქციით, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური (ძველი რედაქციით, საქართველოს პრეზიდენტი იყო სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური). ასევე, ახალი მოდელით შემოვიდა მთავრობის, როგორც პოლიტიკური ორგანოს, კოლეგიური პასუხისმგებლობა. ძირითადად, ადრე მთავრობა პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა, კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ კი, წარმოგვიდგა როგორც კოლეგიური კონსტიტუციური წარმონაქმნი.

კონსტიტუციური შესწორებების შემდგომ საქართველოს ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნის ფაქტორს ადასტურებს ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთშეკავშირებისა და გაწონასწორების სისტემის ის მექანიზმები, რომლებიც მანამდე უცხო იყო საქართველოს კონსტიტუციისათვის. ეს ბუნებრივია, ვინაიდან, როგორც წესი, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს არა აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, ისევე როგორც არ არსებობს მთავრობის მთელი შემადგენლობისადმი უნდობლობის გამოცხადების პროცედურული კონსტიტუციური მექანიზმი. ანუ ახალ მოდელში პრეზიდენტს ეძლევა უფლებები შესაბამის კრიზისულ სიტუაციაში გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტი თავის მხრივ, უფლებამოსილია აღძრას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი (იმპიჩმენტის პროცედურა) და გამოიყენოს უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი მთავრობის შემადგენლობის მიმართ.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, 2004 წლის თებერვალში შეტანილი შესწორებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგრძნობლად გაფართოვდა პრეზიდენტის კომპეტენცია, რომელიც მოცემულ შემთხვევაში, აღჭურვილია რეალური უფლებამოსილებებით და აღჭურვილია ერთგვარი არბიტრის უფლებამოსილებით მთავრობასა და პარლამენტის შორის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მათი შეუთანხმებელი მოქმედებით აღმოცენდება მწვავე პოლიტიკური კრიზისი.

საქართველოში მმართველობის სისტემაში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებები ძირითადად, მაინც შეესაბამება შერეული მმართველობის ფორმის რესპუბლიკებში ხელისუფლების შტოებს შორის არსებულ ძალთა ბალანსს, მაგრამ მმართველობის ქართულს მოდელს ახასიათებს გარკეული თავისებურებები. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, კატეგორიულად არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლება იდეალურად არის დაბალანსებული.

ზოგადად, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ურთიერთდამოკიდებულების შინაარსიდან გამომდინარე, ყველაზე ეფექტიანად იყენებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. აქ არის პრეზიდენტის საკმაოდ ძლიერი პოლიტიკურ-სამართლებრივი ფიგურა. ის სახელმწიფოს მეთაურია და იმავდროულად, ფლობს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტებს. ამასთან, აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტის წამყვანი და განმსაზღვრელი როლის მიუხედავად, ქვეყანაში არსებობს ასევე, ძლიერი მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი. ასეთი ორმაგი ლიდერობა უცნობია ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კლასიკური გაგებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრება მმართველობის სისტემით და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციური განხორციელების თავისებურებათა გათვალისწინებით ხდება. შესაბამისად, განისაზღვრება სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფოს მეთაურის სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებთან ურთიერთობის კონსტიტუციური მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ, სწორედ ხელისუფლების დანაწილების სისტემაში სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციითაა განსაზღვრული.

მმართველობის სისტემა განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურის აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვის ხარისხს, რაც ნათელს ხდის სახელმწიფოს მეთაურის უფლებრივ მდგომარეობას სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში.

სახელმწიფო მექანიზმში, ხშირად, სახელმწიფოს მეთაურის როლზე პირდაპირ მიუთითებენ ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამისი კონსტიტუციური ნორმები. ზოგ შემთხვევაში კი, მისი უფლებამოსილებათა ანალიზიდან დასკვნების საფუძველზე ხდება სახელმწიფო მექანიზმში სახელმწიფოს მეთაურის როლის განსაზღვრა.

ისევე, როგორც საზღვარგარეთის ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც პრეზიდენტის როლს უმთავრესად, სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვის საკითხის კონსტიტუციური გადაწყვეტა და შესაბამისად, მთავრობასთან მისი ურთიერთობის ფორმები და უფლებამოსილებები. საქართველოში დღეისათვის მოქმედი მმართველობის სისტემისადმი და სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში პრეზიდენტის შესაბამისი როლისადმი პოლიტიკურ ძალთა სწრაფვა, ყოველთვის ძირეული ცვლილებების შემდგომ ჩნდება. სწორედ, პროცესების ამგვარ განვითარებას მოჰყვა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის კონცეპტუალური გადასინჯვა.

2004 წლის 6 თებერვლის საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის ძირითადი მიზანი იყო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის ფუნქციების ახლებური გადანაწილება და აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. ფაქტობრივად მოხდა ე.წ. „ამერიკული საპრეზიდენტო მოდელიდან“ მმართველობის „შერეულ, ნახევრად საპრეზიდენტო“ სისტემაზე გადასვლა.

საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის როლს ხელისუფლების კონსტიტუციური ინსტიტუტების სისტემაში განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს. სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში პრეზიდენტის როლის და საერთო კომპეტენციის განმსაზღვრელის ფუნდამენტური ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი გახლავთ. მასში პრინციპების სახით ნათლად არის ჩამოყალიბებული პრეზიდენტის მიერ უშუალო რეგულირების სფეროები. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაში შერწყმულია სახელმწიფოს მეთაურობა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვა. პრეზიდენტი, ფორმალურად, ერთი მხრივ, გათავისუფლებულია აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ტვირთისაგან, ხოლო მეორე მხრივ, კონსტიტუციური დებულების თანახმად, იგი კვლავ რჩება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმმართველ სუბიექტად. ეს კი, რა თქმა უნდა, ზუსტად აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაა. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემაში პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებათა გამიჯვნა საკმაოდ რთულია და საბოლოოდ, შეუძლებელიცაა. მთავარია, მოხდეს მთავრობის მიჯაჭვულობის განეიტრალება პრეზიდენტისადმი. იგივე შეიძლება ითქვას პარლამენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან მიმართებაშიც, რომელიც მხოლოდ პრეზიდენტის ნებართვის შემდეგ არის შესაძლებელი.

კონსტიტუციაში შესამჩნევია, რომ ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანა პრეზიდენტს ეკისრება. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს – სრულ აღმასრულებელ ფუნქციას – ერთვის მნიშვნელოვანი პოზიციები კანონმდებლობაში. პრეზიდენტი ფლობს უფლებამოსილებათა სრულ კომპლექტს – საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც კონსტიტუციით არის დაკანონებული და პრეზიდენტის მოთხოვნით მის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე, ხოლო და პრომულგაციამდე აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ვეტოს უფლება.

ასეთი საკანონმდებლო აღჭურვილობის დროს, ნათლად ჩანს ორსუბიექტიანი საკანონმდებლო ხელისუფლება, მით უფრო, რომ ობიექტურად უნდა შევეხოთ დღევანდელ რეალობას, როცა პრეზიდენტი ყველა ვითარებაში საჭირო უმრავლესობას ფლობს პარლამენტში. რომ არა იგი, ხომ დასაშვებია ოდესმე პარლამენტმა დაბლოკოს სახელმწიფოს მეთაურის საკანონმდებლო ინიციატივა? ამ შემთხვევაში, იგი პრეზიდენტის მიმართ საპარლამენტო ვეტოს სახეს მიიღებს და საბოლოოდ, სახელისუფლებო კრიზისი დადგება, რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებასა და სტაბილურობაზე.

კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ფაქტობრივად, პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის მწვანე შუქის რეჟიმი დაუმკვიდრა პარლამენტში. აღნიშნულმა კი, საქართველოს პრეზიდენტს უბრალოდ პრიორიტეტული ინიციატორის უფლებამოსილება კი არ არგუნა, არამედ სახელმწიფოს მეთაურს მეორე სამეთაურო ასპარეზიც გადაუშალა საკანონმდებლო ფლანგზე.

რაც შეეხება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, როგორც კონსტიტუცია აღნიშნავს, საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის კურსს. ასეთ ვითარებაში ძნელია განსაზღვრო, თუ ვინ რამდენად რეალურად ფლობს აღნიშნულ უფლებამოსილებებს, უბრალოდ იგი არსობრივად მომიჯნავე ტერმინებში იხლართება და ძნელია მათი რეალური გამიჯვნა.

კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი აღნიშნულთან ერთად, პრეზიდენტს როგორც სახელმწიფოს მეთაურს, აკისრებს ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის უზრუნველყოფას. ეს კი, მისი მოვალეობაა და არა უფლება. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნუსხაში მისი განხორციელებისათვის საჭირო რამდენიმე მექანიზმის დაფიქსირებას ახდენს.

წარმოდგენილ სისტემაში პრეზიდენტი პრაქტიკულად დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას და ეს უკანასკნელი მხოლოდ პრეზიდენტის ნების აღსრულების გამო არის პასუხისმგებელი მისსავე წინაშე. თავად პრეზიდენტის უფლებრივი მდგომარეობა სხვა სისტემებისაგან განსხვავებით, გამყარებულია მთავრობის საქმიანობის სრული ერთპიროვნული კონტროლით, პარლამენტის დათხოვნის მცირეოდენი შეზღუდვებითა და სახელმწიფო-საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებითაც.

პრეზიდენტი მხოლოდ ფორმალურ-იურიდიულადაა დისტანცირებული აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. პრეზიდენტი არის არა უბრალოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, არამედ მისი მაკონტროლებელი „საპრეზიდენტო ხელისუფლება“.

საქართველოში დამკვიდრებულ მმართველობის სისტემაში თავს იყრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის უფლებამოსილებათაგან ნაკრები ფუნქციები, სადაც გამაწონასწორებელი ელემენტები ნაკლებეფექტიანი ხასიათისაა. მთავრობა პრეზიდენტისათვის მიუხედავად მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსისა, აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში მხოლოდ დამხმარე ორგანოა. პრეზიდენტი თავისი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში გამოდის მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მძლავრ სუბიექტად. მთავრობის კონტროლის ფორმები კი, პრეზიდენტს, მცირეოდენი შეზღუდვებით, უფლებამოსილს ხდის პრაქტიკულად სასურველ შემთხვევაში დაითხოვოს პარლამენტი და შეინარჩუნოს მთავრობა.

ამ ფონზე საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონს-

ტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტს კიდევ ერთ – არბიტრის ფუნქციას აკისრებს, რაც თავისთავად, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განსაზღვრული და წარმოებული პოლიტიკის, რაც შეიძლება შეუფერხებლად და სწორხაზოვნად, მიზანსწრაფულად განხორციელებისაკენ არის მიმართული. ამდენად, ნორმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს აკისრებს არბიტრის ფუნქციას, არ შეიძლება იყოს ხელისუფლების შტოებს შორის წარმოშობილი შესაძლო დავის სამართლებრივ-პოლიტიკური მსაჯული, რადგან ის პრაქტიკულად ხელმძღვანელობს ერთ-ერთ შტოს – აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამ სისტემაში პრეზიდენტის, როგორც არბიტრის სტატუსის განსაზღვრა ის კონსტიტუციური ასპექტია, რომლის კონკრეტული მარეგლამენტირებელი უფლებამოსილებით უზრუნველყოფაც კონსტიტუციურ-სამართლებრივ რესურსებს აღემატება, რადგან სხვადასხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივი კატეგორიაა – ერთი მხრივ, ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს სათავეში დგომა და მეორე მხრივ, საარბიტრაჟო როლი. ეს ორი კატეგორია თავისი არსით არათანმხვედრი და ურთიერთგამომრიცხავია. ასე მაგალითად, კონსტიტუცია, ართულებს რა, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურებს, მას პრაქტიკულად, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს აძლევს და პრეზიდენტისაგან ხშირ შემთხვევაში, უმნიშვნელო შეზღუდვების გარდა, შეიძლება ემსხვერპლოს ამგვარ „რეკომენდაციებს“. არბიტრის ფუნქცია გულისხმობს კრიზისული სიტუაციების მართვას და არა მისი გამწვავების შესაძლებლობას ხელისუფლების რომელიმე შტოს დასუსტების ხარჯზე. პრეზიდენტის ასეთი ფართო კონსტიტუციური შესაძლებლობების ფონზე კი, ძნელია საუბარი კრიზისული სიტუაციების მიუკერძოებელ არბიტრზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ ქვეყანაში მოსული ხელისუფლების პოლიტიკური ნებით, საქართველოში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი კონტიტუციური ცვლილებები. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის რეჟიმის დანატოვარს (ეს არ ნიშნავს აღნიშნული რეჟიმის უვარგისობას, უბრალოდ მან საქართველოში ვერ გაამართლა), ცალსახად, წარმატებულ პოლიტიკურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმატებულ პოლიტიკურ კურსს თან ახლავს უარყოფითი ფაქტორები. სხვა საკითხია, რომელი დომინირებს – დადებითი თუ არასასიამოვნო. ამასთან, აუცილებელია გაგრძელდეს კონტიტუციის რეფორმირება და მოიძებნოს შესაძლო გამოსავალი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუცია აწესებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის შერეულ ფორმას, სადაც უდავოდ ჭარბობს საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნიშნები. საქართველოში ნახევრად საპრეზიდენტო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საპრეზიდენტო ინსტიტუტში. ისევე როგორც ანალოგიური რეჟიმის მქონე საზღვარგარეთის ქვეყნების ძირითადი კანონები, საქართველოს კონსტიტუციაც ცდილობს პრეზიდენტი გაიყვანოს ხელისუფლების დანაწილების კლასიკური მოდელის ფარგლებს გარეთ და განუსაზღვროს არბიტრის ფუნქცია სახელისუფლებო შტოებს შორის. პრაქტიკაში ამის განხორციელება ძალიან რთული აღმოჩნდა და პრეზიდენტის სახელისუფლებო შტოთა საქმიანობის სფეროებში ჩარევის თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა. საზღვარგარეთის გამოცდილებით პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, თავის უფლებამოსილებათა განხორციელების და გადაწყვეტილების მიღებისას დაევალა აქტიური დისკუსიების და კონსულტაციების წარმოება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. საქართველოში ეს მიდგომა განსხვავებულად დამკვიდრდა და პრეზიდენტი ფაქტობრივად, აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნულ მეთაურად მოგვევლინა. პარლამენტთან ურთიერთობაში იგი მთავრობას წარმოადგენს. ამით საგრძნობლად

დაკნინდა მისი, როგორც არბიტრის ფუნქცია. ასეთ პირობებში პრეზიდენტი ვერ იქნება მიუკერძოებელი მსაჯული.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებებით, მმართველობის შერეული სისტემის კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად დაირღვა როგორც ხელისუფლების დანაწილების, ისე ბალანსირების და ურთიერთშეკავების კონსტიტუციური პრინციპები. საგრძნობლად დასუსტდა პარლამენტი, რომელსაც გაუჭირდა როგორც სრულფასოვანი საკანონმდებლო საქმიანობა, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლის განხორციელება. აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამკვიდრდა პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის ორხელისუფლებიანობა (აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმი), რომელიც მრავალ კითხვას უპასუხოდ ტოვებს და ქმნის შიდა კონფლიქტების მაღალ რისკს. პრეზიდენტმა შეინარჩუნა დომინირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და დამატებით შეიძინა მნიშვნელოვანი ბერკეტები პარლამენტთან და მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებაში. ეს ყოველივე 'უშეცდომო" პრეზიდენტს ენერგიული და ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ განსხვავებულ ვითარებაში, მნიშვნელოვნად ზრდის როგორც პრეზიდენტის მიერ შეცდომის დაშვების რისკის ალბათობას, ისე ამგვარი შეცდომებით გამოწვეულ საზოგადოებრივ დანაკლისს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ცვლილებები უფრო რეალურია და აქტიური გახდა მთავრობასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა, შემდგომი სრულყოფის სურვილს ტოვებს საკითხი პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ სახელისუფლებო წონასწორობის შენარჩუნების სფეროში. პროცედურა, რომელიც ეხება პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებას, ფაქტობრივად არა თუ ძნელად განსახორციელებელი, არამედ შეუძლებელიც კია (საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ახლო მომავალში მიზანშეწონილი იქნება აღნიშნულ მმართველობის სისტემაში განხორციელდეს დამატებითი კონსტიტუციური ცვლილებები, რადგანაც დღევანდელი რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ძალზე ახლოსაა ე.წ 'სუპერსაპრეზიდენტო" სისტემასთან, რაც ალბათ განპირობებული იყო თვით პრეზიდენტის პოპულარობითა და ხელისუფლებაში ერთიანი გუნდის მოსვლით. აგრეთვე, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, რომლის გამოსწორებასაც ელექტორატი ძლიერი ხელისუფალის მოსვლით იმედოვნებდა.

პრაქტიკაში ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის დამკვიდრებამ დაგვანახა, რომ საქართველოში ამ რეჟიმის სრულყოფა და მოდიფიკაცია უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან სახელისუფლებო შტოებს შორის უფლებამოსილებათა გაუწონასწორებელი გადანაწილება მაღალი ალბათობით წარმოშობს სახელმწიფოებრივ კრიზისს, კერძოდ:

1. პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის წარმოშობილი უთანხმოება მთავრობის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით. ასეთი უთანხმოების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შეცვლა, უფრო ზუსტად, კვალიფიციური უმრავლესობით ისეთ პოლიტიკურ ძალთა მოსვლა, რომლებიც არ არიან პრეზიდენტის თანამოაზრენი და მხარდამჭერები.

თუ ქვეყანა ასეთი ფაქტის წინაშე დადგა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა სამჯერ, ზედიზედ ნდობა არ გამოუცხადა მთავრობას.[5] პარლამენტს კი, საპასუხო სამართლებრივი

სივრცე არ გააჩნია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დოგმად ჩამოყალიბდა და აქედან გამომდინარე, პარლამენტის ფუნქცია გაუგებარია მთავრობის ფორმირების საკითხში.

დღეისათვის ეს პრობლემა თვალსაჩინო არაა, რადგანაც პრეზიდენტი ხელისუფლებაში მოსულია ერთიანი გუნდით. მაგრამ არსებული მოდელით, მთავრობის ფორმირება ხდება უშუალოდ პრეზიდენტის მიერ, ფაქტობრივად დამოუკიდებლად და პარლამენტში არსებული პოლიტიკური ძალების ინტერესების გაუთვალისწინებლად.

იურიდიულ მეცნიერებაში მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის პოზიტიურ მახასიათებლად ითვლება, რომ მას შეუძლია იმუშაოს როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო მოდელმა და თუ რომელი რეჟიმი იმოქმედებს ქვეყანაში, დამოკიდებულია ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ ძალთა ბალანსზე. ქართული მოდელის თანახმად კი, ასეთი შესაძლებლობა ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან პრეზიდენტი მთავრობის ერთპიროვნული განმწესებელია, პარლამენტი კი, მხოლოდ ამ ფაქტის დადასტურების ფუნქციას ასრულებს.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მთავრობის ჩამოყალიბების მეთოდის ცვლილებაშია. კერძოდ, უკეთესი იქნებოდა, გაგვეთვალისწინებინა მთავრობის ფორმირების მეთოდი საპარლამენტო რესპუბლიკის გამოცდილებიდან. ამ შემთხვევაში, მთავრობის ფორმირებაში პარლამენტი რეალურად იქნებოდა ქმედითი ორგანო და მისი ფუნქცია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემით. პარლამენტის თანხმობა კი, საქართველოში მოქმედ მმართველობის რეჟიმში, არავითარ დაბრკოლებს არ უქმნის პრეზიდენტს თავისი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული ცვლილების შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებულ სურათს მივიღებთ. კერძოდ, თუ პრეზიდენტი ისარგებლებს სრული საპარლამენტო მხარდაჭერით, მაშინ მთავრობაშიც ერთიანი გუნდით მოვა და იგი იქნება რეალურად „ძლიერი სახელმწიფოს მეთაური". წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობის ფორმირება მოხდება პარლამენტის ინიციატივით, პოლიტიკურ ძალთა გათვალისწინებით და რეჟიმი იმუშავებს როგორც საპარლამენტო.

2. ისმის ლოგიკური კითხვა, თუ მთავრობის ფორმირება მოხდება პარლამენტის ინტერესების გათვალისწინებით, პრეზიდენტს ხომ აქვს ფაქტობრივად შეუზღუდავად, მისი დათხოვნის უფლება? ხომ არ გახდება ეს პოლიტიკური კრიზისის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი? სწორედ, ამას მივყავართ იმ აზრამდე, რომ პრეზიდენტის მთავრობისადმი უფლებამოსილებათა განმსაზღვრელი კონსტიტუციური ნორმაც მოითხოვს გარკვეულ შეზღუდვას.[6] პრობლემის დაძლევაში დაგვეხმარება საზღვარგარეთის გამოცდილება, კერძოდ, საფრანგეთის მაგალითი, სადაც ძლიერი პრეზიდენტის პირობებში, 1958 წლის კონსტიტუციამ საპარლამენტო სისტემისათვის დამახასიათებელი ნორმების მთელი სისტემა განავრცო – სახელმწიფო მეთაურს უფლება არა აქვს თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეროვნული კრების მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში. პრეზიდენტს უფლება აქვს პერსონალურად გამოიწვიოს რომელიმე მინისტრი, მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წინადადების საფუძველზე.

აღნიშნულ ცვლილებათა განხორციელება ხელს შეუწყობს მთავრობის პრეზიდენტისადმი მიჯაჭვულობის განეიტრალებას, რადგან მთავრობას აღარ ექნება პრეზიდენტის ინიციატივით მისი დათხოვნის შიში. მთავრობა, როგორც კოლეგიალური ორგანო მიიღებს მეტ დამოუკიდებლობას და პრემიერ-მინისტრიც წარმოდგება რელურად ძლიერი პოლიტიკური ფიგურის სახით.

აღნიშნული ცვლილებები ხომ არ გამოიწვევს პრეზიდენტის, როგორც ძლიერი პოლიტიკური ფიგურის, დასუსტებას? ცალსახად, ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, რადგან მისი ძალაუფ-

ლება დამოკიდებული იქნება საკანონმდებლო ხელისუფლებაში მის თანამოაზრეთა უმრავლესობით მოსვლაზე. მაგრამ თუ პარლამენტი არ იქნება პრეზიდენტის ინტერესების გამტარებელი, მაშინ ის უკანა პოზიციაზე გადაინაცვლებს. თუმცა, მას აქვს საკმაოდ ფართო პირადი უფლებამოსილებათა სფერო, რომლებიც ხელშეუვალია და იგი გააგრძელებს საქმიანობას სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით. ამგვარ მდგომარეობას იურიდიულ ლიტერატურაში „თანაცხოვრებას" უწოდებენ.

3. მსოფლიოში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ სახელმწიფოს მეთაური ხელისუფლებაში უმჯობესია მოვიდეს ერთიანი გუნდით. თუმცა, ყოველთვის ამგვარად არ ხდება. საქართველოში პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილებათა მანდატები განსხვავებულია. ამასთან, ბუნებრივია, რომ ყოველ ახლადარჩეულს თავისი პოლიტიკური კურსი და სამოქმედო პროგრამა აქვს, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის დაპირისპირების მიზეზი. გარდა ამისა, პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტა არ ნიშნავს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას და ამიტომაც, ახლადარჩეულ პარლამენტს ძველი მთავრობა ხვდება ადგილზე, რომელიც მისთვის შეიძლება სრულიადაც მიუღებელი იყოს. ეს პრობლემა საფრანგეთისთვისაც ნაცნობია. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყნის ძირითად კანონში განხორციელებულ ცვლილებებს ფრანგ იურისტთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს, ვინაიდან მოხდა პრეზიდენტისა და პარლამენტის მანდატების გათანაბრება და არჩევნების ჩატარების დროთა დაახლოება.

4. მწვავე კამათის საგანია პრეზიდენტის ფართო საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რაც საკანონმდებლო ხელისუფლებაში ჩარევაა. თითქოს შეიზღუდა პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ იგი ამ უფლებით სარგებლობს მხოლოდ „განსაკუთრებულ შემთხვევებში"[7]. თუმცა, გაურკვეველია რა იგულისხმება ამ „განსაკუთრებულ შემთხვევებში" და ვინ განსაზღვრავს ამ შემთხვევებს. გამოდის, რომ პრეზიდენტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად განსაზღვრავს „შემთხვევის განსაკუთრებულობას". მაშასადამე, პრეზიდენტს რეალურად შეუძლია ისარგებლოს საკანონმდებლო ინიციატივის შეუზღუდავი უფლებით. ეს კი, პარლამენტის უმთავრეს ფუნქციებში შეჭრას და მისი კანონშემოქმედებითი ფუნქციის დაკნინებას ნიშნავს.

მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს, თუ მოხდება „განსაკუთრებული შემთხვევების" ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება.

მეორე – მმართველობის მსგავსი რეჟიმების პრაქტიკის გადმოღება, რომლის თანახმადაც, საფრანგეთში პრეზიდენტს ეკრძალება საკანონმდებლო ინიციატივა, გარდა კონტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებულისა, ხოლო ავსტრიასა და რუმინეთში პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საერთოდ არა აქვს.

მართალია, მთავრობაც ასევე, შეუზღუდავი საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მატარებელია და ესეც გარკვეულწილად ამცირებს პარლამენტის კანონშემოქმედების სუვერენიტეტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ზოგიერთ საკითხზე, პარლამენტი იღებს ე.წ. „კანონ ჩარჩოებს", რითაც ადგენს მხოლოდ ძირითად პრინციპებს, რომელთა დეტალურ რეგლამენტაციას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება (განათლება, შრომა და სხვა). ხოლო კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე (ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დანაშაული და სასჯელი) პარლამენტი იღებს ამომწურავ კანონებს და ამ სფეროში აღმასრულებელ ხელისუფლებას არა აქვს ნორმატიული აქტების მიღების უფლება. პრინციპში ეს არის

დამცავი ნორმა, რომ პარლამენტმა სრულფასოვნად განახორციელოს საკანონმდებლო საქმიანობა ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხებზე.

5. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას.[8] ამ განსაკუთრებულ შემთხვევებში რა იგულისხმება, გაურკვეველია და ასეთ ვითარებაში, შემთხვევის განსაკუთრებულობას ინდივიდუალურად პრეზიდენტი განსაზღვრავს. ზოგადად, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის აღმასრულებელ ფუნქციათა გამიჯვნის პრობლემა ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმისათვის დამახასიათებელი ნიშანია.

უმჯობესია მთავრობის საქმიანობაში პრეზიდენტის ფაქტობრივი მონაწილეობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, ვიდრე კონსტიტუციაში მათი ზოგადი ფორმულირების სახით გადმოცემა. ეს აუცილებელია, რადგანაც ნორმების არაკონკრეტულობა იძლევა მათი სუბიექტურად განზოგადების საშუალებას.

კონკრეტულად პრეზიდენტის მსგავს უფლებამოსილებათა კონსტიტუციაში გათვალისწინება, ხელს შეუწყობს მთავრობის საქმიანობის რეგლამენტირებულ ხასიათს. შეგვიძლია გავითვალისწინოთ საფრანგეთის მაგალითი, სადაც მთავრობა მუშაობს ორი სახით: როგორც მინისტრთა საბჭო, რომელიც არის მთავრობის სხდომა პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, რომელზეც ეს უკანასკნელი ახორციელებს მთავრობისათვის კუთვნილ უფლებამოსილებებს და შესაბამისად, ხელს აწერს ამ სხდომებზე მიღებულ აქტებს და როგორც მინისტრთა კაბინეტი – მთავრობის სხდომა, რომლის მოწვევა ხდება პრემიერ-მინისტრის მიერ.

6. რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებამონაცვლეობის საკითხს, დაბრკოლებას ვაწყდებით უფლებამონაცვლის უფლებამოსილების ვადის განუსაზღვრელობაში. კონსტიტუციით და არც სხვა კანონებით არ არის გათვალისწინებული თუ რა პერიოდის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს პრეზიდენტის მიერ სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელების შეუძლებლობა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, პრეზიდენტის უფლებამონაცვლის თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობის საკითხს ღიად ტოვებს. ამასთან, უფლებამონაცვლე შეზღუდულია გარკვეულ საპრეზიდენტო უფლებათა განხორციელებაში და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სახელმწიფო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე. ვფიქრობთ, აღნიშნულ გარემოებაზე დადებითად იმოქმედებს ხანგრძლივობის ნორმატიულად განსაზღვრა, რომლის გასვლის შემდეგაც პრეზიდენტს სრულად შეუწყდება უფლებამოსილება და დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები.

მართალია, ხელისუფლების შტოები უნდა იყოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და იმავდროულად, ურთიერთკონტროლის საჭირო მექანიზმებით აღჭურვილი, მაგრამ როგორც დამოუკიდებლობის, ისე ურთიერთკონტროლის მოცულობა და ხარისხი უნდა იყოს მხოლოდ იმ დონის, რაც საკმარისი იქნება მთლიანობაში ხელისუფლების ქმედითობის, მოქნილობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნის მისაღწევად, ვფიქრობთ, გონივრული და საჭირო კორექტივებია მისაღები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმის რეფორმირებას. მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი კი, ყველაზე მოქნილ სისტემად ითვლება რესპუბლიკური მმართველობის სახეებს შორის.

დაბოლოს, საქართველოში ხელისუფლების დანაწილებისა და დაბალანსების სფეროში არსებული პრობლემები, უყურადღებოდ არც სახელისუფლებო შტოებში არ დარჩენილა და შეიმჩნევა პოლიტიკური ნება მმართველობის სისტემისა და კონსტიტუციური რეფორმირების მიმართულებით.

შენიშვნები:

1 ანდრაშ შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა კონსტიტუციონალიზმის შესავალი“, 2003 წ., გვ. 87.

2 იხ.: ო. მელქაძე, „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი“, თბილისი, 1995 წ., გვ. 108.

3 ვოლფგან გაული, „კონსტიტუციის მიღება და შემუშავება საქართველოში“, გვ. 160.

4 იხ.: პაატა ცნობილაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005 წ., გვ. 152-153.

5 საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტი.

6 საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 73, „გ“ პუნქტი.

7 საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 67, პირველი პუნქტი.

8 საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 78, მეოთხე პუნქტი.

Some Specifications Common to the Government System and the Presidential Intitution in Georgia

LASHA GELANTIA
Doctorante of the Law department of the Iv. Javakhishvili State University of Tbilisi

The presented article aims to reveal the grounds and the need for moving to the mixed system of government in Georgia, as well as the specifications of the mixed system; particularities of the status of the President of Georgia in the current government system and the division of the authority in Georgia.

The article reviews the negative results caused by the previous government system in Georgia and the positive results of moving to the current system, as well as the positive sides of the mixed government system. To achieve this goal, the signs common to the mixed system are presented and they are compared with the system active in Georgia. The place of the president in the governmental system is also reviewed and its particularities, common to the Georgian reality are presented in here. The problematic aspects are outlined and compared with the classical model of the mixed type of governmental system.

When mentioning the particularities, we mean the problems and causes of balance between the governmental branches. The constitutional articles defining the status of the president are clear and they require some reformation. In particular, we mean the constitutional articles that authorize the President to relate with legislative and governmental bodies and those Constitutional articles that define the balancing mechanisms of the authority branches.

The article also presents the possible solutions and recommendations concerning some of the problematic issues outlined in the article based on the experience of the foreign countries.

საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობა და მისი განმახორციელებელი ორგანო

შოთა დეისაძე
სამართლის დოქტორი

ერთადერთი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელსაც არავითარი სხვა ამოცანა, გარდა კანონიერების დაცვისა, არ აკისრია, ეს არის სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო, დამოუკიდებელი ხელისუფლების შტოა და მასზე ზეგავლენას არ ახდენს არანაირი პოლიტიკური ცვლილება. ის ემსახურება მხოლოდ სამართალს, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის სტაბილურობის.

საკანონმდებლო აქტების იერარქიაში კონსტიტუცია ყოველი კონკრეტული სახელმწიფოსათვის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტია. ყველა სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის პრინციპებსა და მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მეტად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საკითხის გაანალიზება, რომელსაც ხშირ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით ახორციელებს.

საკონსტიტუციო კონტროლი მთელი თავისი მნიშვნელობით წარმოიქმნა მხოლოდ დაწერილი კონსტიტუციის არსებობის პირობებში, როდესაც შესაძლებელი გახდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო სამართლებრივი აქტების შემუშავება, უპირველეს ყოვლისა კი, კანონების ძალადაკარგულად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადება. თუმცა,

კანონების შემოწმების პრაქტიკა საკმაოდ შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ, ათენში ძვ.წ. 585 წელს შემოღებული იყო ჰელვია – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც გარდა სასამართლო საქმეების განხილვისა, უფლებამოსილი იყო მიეცა დასკვნები კანონპროექტებზე, რომლებიც წარედგინებოდა სახალხო კრებას.[1]

სასამართლო კონტროლის პროცედურა არსებობდა აგრეთვე, შუა საუკუნეების ესპანეთში, კერძოდ, არგონის სამეფოში, სადაც 1163 წლიდან მოქმედებდა პალატების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სპეციალური კომისია. მას ხელმძღვანელობდა არგონის უმაღლესი სასამართლო, რომელიც მოწოდებული იყო თვალყური ედევნებინა ახლადმიღებული კანონებისათვის, რათა არ დარღვეულიყო მეფის ხელმოწერით დამოწმებული ადათ-წესების ჩანაწერები, რომლებიც ქვეყნის ძირითად კანონები იყო[2].

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის ჩანასახს ვხვდებით XVI საუკუნის პოლონეთშიც, სადაც 1573 წელს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ე.წ. ჰენრიხის აქტი, რომლის მიხედვითაც დამყარდა კანონის უზენაესობა მეფესთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან მიმართებაში. ხოლო 1775 წელს დაარსდა სპეციალური საბჭო, რომელსაც ირჩევდა საკანონმდებლო ორგანო. იგი ახდენდა კანონთა განმარტებას, რომელიც სავალდებულო იყო ყველა სასამართლოსათვის, თუ მას თავად საკანონმდებლო ორგანო არ გააუქმებდა. საბოლოოდ კი, „მუდმივმა საბჭომ საფუძველი ჩაუყარა საკონსტიტუციო კონტროლის პოლონურ განვითარებას“.[3] ევროპაში კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა მისი უზენაესობის პრინციპს, 1791 წლის პოლონეთის პირველი დაწერილი კონსტიტუცია იყო, რომლის მიხედვითაც, ყველა ნორმატიული აქტი შესაბამისი უნდა ყოფილიყო ძირითად კანონთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპების მიუხედავად, პოლონეთში აღნიშნულმა კონსტიტუციამ დიდი პოპულარობა ვერ ჰპოვა, ხოლო მოგვიანებით 1982 წელს, იქ შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო ტრიბუნალი, რომელიც 1986 წლიდან ამოქმედდა და მასვე დაევალა ამ უფლებამოსილების განხორციელება.

XVII საუკუნეში, საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობას უკავშირებენ დიდი ბრიტანეთის მონარქთან არსებულ საიდუმლო საბჭოს საქმიანობას, რომელიც უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა და ძალადაკარგულად ეცნო სამეფოს კოლონიების მიერ გამოცემული კანონები. თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ან სასამართლოს. ზოგიერთ შემთხვევაში, თავად პარლამენტის მიერ მიღებული კანონიც კონტროლდებოდა საერთო სასამართლოს საფუძველზე და თუ აღმოჩნდებოდა, რომ კანონი ჩვეულებით სამართალს ეწინააღმდეგებოდა ან მისი შესრულება შეუძლებელი იყო, ბათილად ცხადდებოდა. იდეა, რომ სტატუტები, საერთო სასამართლოს წინააღმდეგია, ითვლება ძალადაკარგულად, წინა პლანზე წამოსწია და რიგ შრომებში ფორმულირება გაუკეთა XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე პოლიტიკოსმა და იურისტმა ე. კოკმა. მან 1610 წელს, ინგლისში დოქტორ ბონჰემის სასამართლო პროცესზე დაადგინა, რომ თუ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება „ეწინააღმდეგება საერთო უფლებას და აზრს“, ის უნდა გაუქმდეს[4].

XVIII საუკუნეში კი, უკვე ნათლად გამოიკვეთა საერთო სამართლის უზენაესობის იდეა. ამგვარი აღიარების ერთ-ერთ პირველ ფაქტს შეიცავს საიდუმლო საბჭოს 1727 წლის გადაწყვეტილება, განხილული ვინსთროპ ვ. ლეჩმერის საქმეზე, როცა კონექტიკუტის კოლონიის კანონი ცნობილ იქნა ძალადაკარგულად, რადგანაც იგი სამართლისა და ქარტიის შინაარსს ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად კანონების შემოწმების პრაქტიკისა და ამ უფლებით აღჭურვილი ორგანოს არსებობისა, დაწერილი კონსტიტუციის არარსებობის პირობებში, საიდუმლო საბჭოს მოღვა-

წეობა უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს საქმიანობის დამოუკიდებელ მიმართულებად და არა საკონსტიტუციო კონტროლად, თანამედროვე გაგებით.

XIX საუკუნეში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი ვერ დამკვიდრდა, რაც ორი გარემოებით აიხსნებოდა: პირველი, ევროპაში იმ დროისათვის, მმართველობის მონარქიული ფორმა იყო გავრცელებული, რაც თავისი არსით არ ვარაუდობს აქტების შემოწმებას კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, მეორე – გაბატონებული იყო ჟან-ჟაკ რუსოს თეორია, სახალხო სუვერენიტეტის შესახებ, რომლის თანახმად, „არჩევითი დაწესებულებების მიერ მიღებული კანონი არ შეიძლება იყოს არასწორი“.[5]

იურიდიულ ლიტერატურაში „საკონსტიტუციო კონტროლის“ ცნების მრავალი განმარტება არსებობს. მარტივ განმარტებას იძლევა ცნობილი მეცნიერი მ. ნუდელი, რომელიც აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი კანონების შემოწმებაა კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.[6] აღნიშნულ განმარტებაში ცხადად და მოკლედ არის გადმოცემული საკონსტიტუციო კონტროლის არსი, რაც კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებაში გამოიხატება. მსგავს განმარტებას იძლევა რუსი მეცნიერი ტ. ნასიროვაც, რომელიც მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი არის კონსტიტუციასთან მიმართებაში ნორმატიულ აქტთა ადეკვატურობის შემოწმებისაკენ მიმართული საქმიანობა.[7] მ. ნუდელის მიერ მოცემული განმარტებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტად არა მხოლოდ კანონები, არამედ სხვა ნორმატიული აქტებიც მოიაზრება. საკონსტიტუციო კონტროლის განმარტებას კიდევ უფრო განავრცობს ვ. მაკლაკოვი. მისი აზრით, ეს არის „კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირების მიერ გამოცემული აქტების, სახელმწიფოს ძირითად კანონთან შესაბამისობაზე კონტროლის პროცედურა“[8]. მეცნიერთა ნაწილი კი, საკონსტიტუციო კონტროლის ცნების განმარტებისას მის მიზნებზეც საუბრობს. მაგალითად, მეცნიერი ლ. ლაზარევი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლი ეს არის სამართლებრივი აქტების შემოწმება და შეფასება მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის მიზნით, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის არსი კი, მდგომარეობს კონსტიტუციის უზენაესობასა და მისი მოქმედების უზრუნველყოფაში, რაც სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვასა და ადამიანის უფლებათავისუფლებების დაცვაში მდგომარეობს.[9] ნ. ვიტრუკის მოსაზრებით კი, „საკონსტიტუციო კონტროლი საჯარო ხელისუფლების ორგანოთა სპეციფიკური ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ისინი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის უზენაესობას ნორმატიულ აქტთა სისტემაში. ის პირდაპირ და უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტების საქმიანობაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“[10].

ზემოთ აღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ „საკონსტიტუციო კონტროლი ეს არის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა და ასევე, კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანოების, თანანმდებობის პირთა ან სახელმწიფო ორგანოთა, განსაზღვრული წრის ქმედებათა კონსტიტუციურობის დადგენა“.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ასევე, მოკლედ მიმოვიხილოთ და გავაანალიზოთ „საკონსტიტუციო კონტროლისა“ და „საკონსტიტუციო ზედამხედველობის“ ტერმინოლოგიური თანაფარდობის საკითხიც, ვინაიდან ის ხშირ შემთხვევაში, კონსტიტუციონალისტთა დავის საგანს წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხის გარშემოც უამრავი განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ნაწილი მეცნიერებისა, აღნიშნულ ტერმინებს ერთმანეთის იდენტურად

მიიჩნევს.[11] ზოგი კი, განასხვავებს მათ და მიუთითებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლსა და საკონსტიტუციო ზედამხედველობას განსხვავებული შინაარსი აქვთ.

სახელმწიფო მმართველობაში კონტროლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის განსაზღვრავს, რომ მის გარეშე ელემენტარულად წარმოუდგენელია ისეთი რთული სამართლებრივი ორგანიზმის ფუნქციონირება, როგორიც სახელმწიფოა. კონტროლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან, თავად „შეკავება-გაწონასწორების" მექანიზმიც ხომ საკონტრლო ბუნებისაა. სწორედ, ამ იდეის რეალიზაციას ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლი. დროთა განმავლობაში საკონსტიტუციო ზედამხვედველობის პრაქტიკამ თანდათანობით გააფართოვა სამოქმედო არეალი და კუთვნილი ადგილი დაიკავა ხელისუფლების შტოთა ურთიერთქმედების სამართლებრივი მოწესრიგების საქმეში.[12] ისმის კითხვა, სხვაობაა ამ ორ ტერმინს შორის თუ ისინი ერთმანეთის იდენტურია? ძირითადი სხვაობა საკონსტიტუციო ზედამხედველობასა და საკონსტიტუციო კონტროლს შორის არსებითია: საკონსტიტუციო ზედამხედველობის დროს შესაძლებელია შემდგომი შემოწმების შედეგად მოხდეს ანტიკონსტიტუციური აქტის მოქმედების შეჩერება, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევაში კი, წინასწარი შემოწმების შედეგად, შესაძლებელია მსვლელობა არ მიეცეს ანტიკონსტიტუციურ კანონპროექტს. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ტერმინთა იდენტურობაზე საუბარიც კი, შეუძლებელია, მათ შორის, არსებითი განსხვავებებიდან გამომდინარე.

1990-იანი წლებისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში უკვე ათწლეულების განმავლობაში არსებობდა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და თითქმის ყველგან ამ უფლებამოსილებას სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებდა, რომელიც გამიჯნული იყო საერთო სასამართლოების სისტემიდან. ამასთან, ეს სპეციალური ტრიბუნალები წარმატებულად საქმიანობდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ახალშექმნილ დემოკრატიულ ქვეყნებში. საბჭოთა პერიოდის უღიმღამო ათწლეულების შემდეგ, ყველა ამ ქვეყანას დიდი სურვილი გაუჩნდა ერთიანი დიდი ევროპის ნაწილი გამხდარიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ქვეყნები არცთუ კარგად იცნობდნენ კონსტიტუციური კონტროლის ამერიკულ სისტემას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ისინი ევროპული მოდელის გზას დაადგებოდნენ. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც, საბოლოოდ განაპირობა სპეციალური ტრიბუნალის მოდელის არჩევა. კერძოდ, ყველა ამ ქვეყანაში, ალბათ, უნგრეთისა და პოლონეთის გარდა, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კორპუსი ფაქტობრივად, კომუნისტური რეჟიმის ნაწილი იყო, რამაც 1989 წლის შემდეგ გამოიწვია მათი დისკრედიტაცია და ხალხის მხრიდან მათდამი უნდობლობა.[13]

თავდაპირველად კი, კანონის უზენაესობაზე გაბატონებული შეხედულების საპირისპიროდ, უკვე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრიაში ჩნდება საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მოწოდებულია თვალყური ადევნოს კონსტიტუციის დაცვას. ეს საკონსტიტუციო სასამართლო ჰ. კელზენის დახურული სისტემის „სამართლის ესთეტიკის" მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ჰ. კელზენი იყო – მეცნიერ-იურისტი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ავსტრიის კონსტიტუციის შემუშავებაში. მან წამოაყენა რამდენიმე არგუმენტი, რომლებიც კონსტიტუციონალისტების თვალსაზრისით, ასაბუთებს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას.

ჰ. კელზენი აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა კონსტიტუციური ორგანო თავისი ამოცანების შესრულებისას შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდეს და მათი აქტები, კანონების ჩათვლით, შესაძლოა არ შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. რომელიმე სფეროს რეგულირებისათვის პასუხის-

მგებელი სახელმწიფო ორგანო საცილოდ გახდის სხვა სახელმწიფო ორგანოს აქტის კანონიერებას, იურისდიქციის დაუცველობის საფუძველზე. კონსტიტუციურ ორგანოებს შორის დავა რომელიმე ორგანომ უნდა გადაწყვიტოს. ასეთ ორგანოს კი, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს. მისი აზრით, იგი ავსებს საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციურ ფუნქციებს და ნეგატიური კანონმდებელია, რადგან ანადგურებს ანტიკონსტიტუციურ კანონებს, მაშინ როდესაც პოზიტიური კანონმდებელი ეწევა სამართალშემოქმედებას პოზიტიური გაგებით. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, ჩვეულებრივი სასამართლოებისაგან განსხვავებული სახელმწიფო ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა. კონსტიტუციის შემდეგი ფუნქცია დაიცვას უმცირესობათა უფლებები, ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ფორუმი, რომელიც მიჯნებს აღუმართავს საპარლამენტო უმრავლესობის თვითნებობას[14].

საბოლოოდ, ავსტრიის კონსტიტუციის ხასიათიდან გამომდინარე, შეზღუდული იყო კონსტიტუციის დაცვის კონტროლი. პროცესის ინიცირება მხოლოდ განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოებს შეეძლოთ და ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევისას იყო ანტიკონსტიტუციურობის დამდგენი, რადგან კონსტიტუცია არ მიიჩნეოდა იმ დოკუმენტად, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას რეალურს გახდიდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნაციზმის არაადამიანური პირობების საპასუხოდ, კონსტიტუციებში ადამიანის უფლებები შეიტანეს, მაგრამ კონსტიტუციური უფლებებისათვის ქმედობის მინიჭება, ამ უფლებების და სხვა კონსტიტუციური პრინციპების გავლენა სამართალმოქმედებაზე, კვლავ გადაუწყვეტელი რჩებოდა. როგორც ჩანს, ასეთი ახალი წესრიგის შემქმნელნი თავიანთ მოსამართლეებს მთლად ვერ ენდობოდნენ. გერმანელი მოსამართლეები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც 1945 წელს თანამდებობები ეკავათ, ადამიანის უფლებათა დარღვევებს გულგრილად უყურებდნენ. გარდა ამისა, ისინი ისეთი საკანონმდებლო ტრადიციით ჩამოყალიბდნენ, რომელიც მოსამართლეთა მიერ კანონების კონტროლს დაუშვებლად მიიჩნევდა. 1948-56 წლებში, იტალიაში (საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებამდე), აშშ-ის მსგავსად, ჩვეულებრივ სასამართლოებს კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლება ჰქონდათ. ამასთან, ჯერ კიდევ, ძალაში მყოფ ფაშისტურ კანონმდებლობას იყენებდნენ და ამით ახალ კონსტიტუციასაც არღვევდნენ.

ამ შემთხვევაში, გამოსავალი აღმოჩნდა ჰ. კელზენის ტიპის ცენტრალიზებული საკონსტიტუციო სასამართლო – ინდივიდუალური უფლებების უფრო ძლიერი დაცვით. ცენტრალიზება საბუთდებოდა საკადრო პოლიტიკის მარტივი განხორციელებით, რამდენიმე ათეული დემოკრატიულად განწყობილი მოსამართლის პოვნა, რომლებიც ახალ კონსტიტუციას უშუალოდ გამოიყენებდნენ, ძნელი არ იყო. სწორედ ამ პრინციპს დაეფუძნა ჯერ გერმანიის და შემდგომში იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოები.

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციის (1995 წ.) საფუძველზე დაარსდა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ამით საქართველოს ისტორიაში პირველად, სრულფასოვანი, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება შეიქმნა, რომელიც კონტროლისა და შეკავების მექანიზმებით, აწონასწორებს ხელისუფლების დანარჩენ ორ შტოს – საკანონმდებლოსა და აღმასრულებელს.

საკონსტიტუციო კონტროლი თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიის და კანონიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად არის მიჩნეული, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშ-

ნული ინსტიტუტი არაერთგვაროვანია. თითქმის ყოველთვის მას სპეციფიკური თავისებურებანი აქვს, რომელიც კონტროლის დროს მის ფორმასა და სახეს ეხება. ამჟამად, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლი, ძირითადად, ხორციელდება შემდგომი, ფაკულტატური და კონკრეტული კონტროლის სახით, მაგრამ იბადება კითხვა, უკეთესი ხომ არ იქნებოდა კონსტიტუციური კონტროლი საქართველოში წინასწარი კონტროლის სახითაც განხორციელებულიყო? გასათვალისწინებელია, რომ ასეთი კონტროლი უცხო არ იქნება საქართველოს კანონმდებლობისათვის, ვინაიდან, როგორც ა. დემეტრაშვილი აღნიშნავს, „საერთო წესიდან, რომელიც საქართველოში მოქმედებს, დაუშვეს ერთი გამონაკლისი, ჯერ კიდევ, არარატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან მიმართებით, შესაძლებელი გახდა წინასწარი კონტროლის გამოყენება“.[15]

წინასწარი კონტროლი, სხვადასხვა მეცნიერთა მიერ, უარყოფითად არის შეფასებული იმ მოტივით, რომ არის საკონსტიტუციო კონტროლის განმხორციელებელი ორგანოს პოლიტიზაციის რეალური საფრთხე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ი. ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ „კონტროლის ე.წ. პრევენციული ფორმა გამოიწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოს საკანონმდებლო პროცესში ჩართვას და ამ გზით პოლიტიკაში ჩაბმას“.[16] აღნიშნულ საკითხზე ასევე, თავისი შეხედულება აქვს იტალიელ მეცნიერს ჩ. პინელის. მისი აზრით, რაც უფრო მეტია კონსტიტუციური კონტროლი, რომელიც წინ უსწრებს კანონის ძალაში შესვლას (იგი მას აპრიორის კონტროლს უწოდებს), საკონსტიტუციო სასამართლო მით უფრო უახლოვდება პოლიტიკურ საკითხებს. იგი გულისხობს სიტუაციას, რომელიც შეიძლება წამოჭრას კანონმა და განსახილველად დაყენებულმა პოლიტიკურმა საკითხებმა.

პრევენციული კონტროლის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები ძალიან კარგად და საფუძვლიანად ჩამოაყალიბა და გაანალიზა ასევე, ჰ. შტაინბერგერმა, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა წევრმა, ევროპის კომისიისთვის წარდგენილ კვლევაში „დემოკრატია ევროპის საბჭოს სასამართლოს მეშვეობით“. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გამოცდილებაზე დაყრდნობით ის აღნიშნავს, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება კანონთა კონსტიტუციურობის შესახებ გარკვეულ დისტანციაზე უნდა იყოს იმ ყოველდღიური არგუმენტებისაგან, რომლებიც თან ახლავს კანონმდებლობის შექმნის პოლიტიკურ პროცესს. გადაწყვეტილების ხარისხის გარკვევას დრო სჭირდება. სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, რომელთა მოგვარებაც იყო კანონის თავდაპირველი მიზანი, ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იმდენად შეიცვალოს, რომ ძალაში შესული კანონით უკანონო შედეგები მივიღოთ, რაც ვეღარ გაამართლებს მის კონსტიტუციურობას“.[17]

მიუხედავად ამ პოზიციებისა, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება უფრო დეტალურად გავაანალიზოთ მისი დადებითი მხარეები. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვემხრობით ო. მელქაძის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უნდა დაადგეს განვითარების ევროპულ გზას, სადაც პრევენციული კონტროლი კონსტიტუციურად არის აღიარებული და ორგანული კანონით დამკვიდრებული და რომელიც საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, პორტუგალიისა და ირლანდიის გამოცდილებას ეფუძნება“. მისი აზრით, „საკონსტიტუციო ზედამხედველობა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას მისი დამრღვევი მიმდინარე კანონმდებლობისგან. ზოგიერთ შემთხვევაში, კონსტიტუციის შეუსაბამო საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები წლების მანძილზე შეიძლება მოქმედებდნენ, ვიდრე არ

გამოფხიზლდება სარჩელის სუბიექტი. ასეთი რამ კი, განსაკუთრებით შესამჩნევია იმ ქვეყნებში, სადაც მხოლოდ შემდგომი კონტროლის მექანიზმი მოქმედებს“.[18]

ასევე, ვერ დავეთანხმებით მეცნიერების ი. ფუტკარაძისა და ჩ. პინელის მოსაზრებებს, რომ კონტროლის პრევენციული ფორმა გამოიწვევდა საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ პროცესში ჩართვას. ამ მოსაზრებების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო მეთაურებიც იყენებენ შესაძლებლობას, კანონზე ვეტოს უფლების გამოყენებისა, როდესაც საკანონმდებლო ორგანოს უკან უბრუნებენ გამოთქმული შენიშვნებით, ხელახალი დამტკიცებისათვის. თუნდაც ის ფაქტი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ჯერ კიდევ, არარატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე, ეს არ შეიძლება აღვიქვათ, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჩარევად? აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული მოსაზრება შეუძლებელია იყოს მისი უარყოფის მთავარი არგუმენტი, ვინაიდან „შეკავება-გაწონასწორების“ მექანიზმის დაცვით, შეუძლებელია დაირღვეს ბალანსი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შორის, ვინაიდან, ის თავად საკონტროლო ბუნებისაა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის პოლიტიკური მოტივები, ერთი მხრივ, არ განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების პოლიტიზებულობას, ხოლო მეორე მხრივ, პირიქით, მას უფრო მეტ სამართლებრივ ხასიათს ანიჭებს.

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, თავდაპირველად, კანონპროექტი მის პრომულგირებამდე დაექვემდებარება წინასწარ კონტროლს, რომელიც სამართლებრივი შედეგის მიხედვით იქნება დამდგენი, ანუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელსაც ექნება ასევე, სავალდებულო და არა ფაკულტატური ხასიათი. რაც შეეხება უკვე გამოქვეყნებული ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას, ანუ შემდგომ კონტროლს, მას ექნება ფაკულტატური და არა სავალდებულო ხასიათი. ამით კი, თავიდან ავიცილებთ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოცემას, ხოლო გამოქვეყნების შემდეგ, მაქსიმალურად იქნება დაცული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი ინტერესები. მხედველობაშია მისაღები, რომ წინასწარი კონტროლის ამ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნამდვილად ჩაითვლება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოდ და არა საკონსტიტუციო ზედამხედველობის ორგანოდ, რის განმხორციელებელ ორგანოდაც მას ხშირად მიიჩნევენ.

შენიშვნები:

1 იხ.: მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაწილი I, 1995წ., გვ. 62.

2 იხ.: ბ. კოჭლამაზაშვილი, საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობა და განვითარება//ჟ., „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004 წ., №3, გვ. 29.

3 იხ.: ჰ. შვარცი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. 2003წ., გვ 400.

4 იხ.: ქ. ჯანდა, ჯ. ბერი, ჯ. გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ., 1995 წ., გვ. 358.

5 იხ.: В. В. Маклаков, Конституционный контроль в буржуазных и развиваюшихся странах (учебное пособые), М., 1988, №4, С. 15.

6 იხ.: М.А. Нудель, Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968, с. 7.

7 იხ.: Т.Я. Насирова, Конституционный контроль, Казань, 1992, с. 15.

8 იხ.: ვ. მაკლაკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13.

9 იხ.: В.А. Крядков, Лазаров Л.В., Конституционная юстиция в росисской федерации, М., 1998, с. 11.

10 Н.В. Витрук, Конституционное провосудие в России, 2001, с. 12.

11 იხ.: ა. ნუდელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7; И.П. Илинский, Г.В. Шетинин, Конституционный контроль и охрана конституционных законности в социалистических странах, „Совесткое государство и право“, 1969, №9, с. 42.

12 იხ.: ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2005 წ., გვ. 373.

13 იხ.: ჰ. შვარცი, დასახელებული ნაშრომი, 2003 წ., გვ 64.

14 იხ.: Hans kelsen, „wer soll der Мьter der Verfassung sein?” In Die Wiener Rechtstheoretishe Schule, vol. 2, (Wien: Europa - Ver Lag, 1968, p. 1837.

15 იხ.: ა. დემეტრაშვილი, საკონსტიტუციო კონტროლის ქმედითობის პრობლემები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1997წ., გვ. 31.

16 იხ.: ი. ფუტკარაძე, საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „სამართალი“, 1996წ., №5 6, გვ. 26.

17 იხ.: ჰ. შვარცი, დასახელებული ნაშრომი, „შტაინბერგერი“, გვ. 71.

18 იხ.: ო. მელქაძე, „საკონსტიტუციო კონტროლი ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ“, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998 წ., №1, გვ. 19.

Origins of the Constitutional Control and its Executing Body

SHOTA DEISADZE
Doctor of Law

The Constitution is the act of highest judicial power among the hierarchy of legislative acts for each specific country. All the other normative acts shall comply with the principles and requirements of the Constitution. Accordingly, naturally it is extremely important to analyse the issues of constitutional legal advocacy, that is frequently executed by the Constitutional Court through the Constitutional control. But in Georgia, some gaps can still be traced, which are directly related with the amendments to be made to the legislation.

Accordingly, in case if the relevant amendments are made to the legislation of Georgia, initially the draft will be under preliminary control before its promulgation. The preliminary control, based on the legal result will be the definer, in other words, the Constitutional Court will make a decision on the constitutionality of the normative act that will bare a compulsory and not a facultative nature. As for examination of the constitutionality of the already published normative act, in other words the follow-up control, it will bear the facultative and not the mandatory nature. It will help to avoid publishing of nonconstitutional normative acts and after the publishing human rights and freedoms, their interests will be protected as much as possible. It should also be considered, that if the preliminary control is executed in this way, the Constitutional Court of Georgia will actually be considered as the constitutional controlling body and not the constitutional supervising body, as it is often considered.

რელიგია
და სამართალი

გოჩა გიორგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ჰამბურგის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ტოკიოს ჩუოს სახელობის უნივერსიტეტის სტიპენდიატი

შესავალი

საქართველო ტრადიციული ქრისტიანული, მართლმადიდებლური სახელმწიფოა. მართლმადიდებელმა ეკლესიამ უდიდესი როლი შეასრულა, როგორც უნიკალური ქართული კულტურის განვითარების, ასევე ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესში. საუკუნეების მანძილზე, ქართული სამართალი მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის უდიდეს გავლენას განიცდიდა. ეს გავლენა ვრცელდებოდა როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართალზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, რომელიც მოსახლეობის დაახლოებით 80%-ის რელიგიაა, უამრავი რელიგიური უმცირესობაა წარმოდგენილი. მართლმადიდებლები ქართველების გარდა, რუსები და ასირიელები არიან, რომლებიც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დასახლდნენ საქართველოში. მართლმადიდებლობას აღიარებენ ბერძნებიც, რომელთა რაოდენობა მე-20 საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში საკმაოდ შემცირდა, საბერძნეთში მათი მასობრივი დაბრუნების გამო. ისლამის აღმსარებლები რაოდენობრივად მეორე რელიგიური ჯგუფია საქართველოში. ისლამს ძირითადად, აზერბაიჯანული და თურქული მოსახლეობა აღიარებს, რომელიც კომპაქტურად ცხოვრობს საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ პროვინციაში. მესამე რელიგიური ჯგუფია სომხები, რომლებიც სომხურ ეკლესიას მიეკუთვნებიან და ცხოვრობენ დედაქალაქ თბილისში და რამდენიმე პროვინციაში. ქრისტეს ორმაგ ბუნებაზე, ღვთიურ და ადამიანურ ბუნებაზე შეუთანხმებლობის გამო, სომხური ეკლესია მე-5 საუკუნეში გამოეყო

მართლმადიდებლურ ეკლესიას. მართლამდიდებლებისაგან განსხვავებით სომხური რწმენა ქრისტეს მხოლოდ ღვთიურ ბუნებას აღიარებს. საქართველოში, ასევე, ცხოვრობენ მცირერიცხოვანი კათოლიკები, რომლებიც ძირითადად, ეთნიკურად ქართველები ან სომხები არიან. იგივე შეიძლება ითქვას ქრისტიანობის პროტესტანტულ მიმდინარეობებზე. საქართველოში ლუთერანული ეკლესიაც არსებობს.

დაბოლოს, საქართველოში რელიგიური სურათი გარკვეულწილად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში შეიცვალა, აშშ-დან და ევროპიდან სხვადასხვაგვარი სექტების წარმომადგენელთა ჩამოსვლითა და მათი ინტენსიური აგიტაციის გამო. დღეისათვის ქვეყანაში ყველაზე ძლიერად არის წარმოდგენილი იაღოვას მოწმეთა და ე.წ. 50-იანელთა სექტა, რომლებიც თავს ქრისტიანული რელიგიის მიმდევრებად მიიჩნევენ.

საეკლესიო სამართალი, როგორც ქართული სამართლის უძველესი წყარო

„ეკლესია“ ბერძნული სიტყვაა და კრებას ნიშნავს. ძველ საბერძნეთში, ეკლესია უხუცესთა კრებას ეწოდებოდა, რომელსაც სხვადასხვა საქმეების გადასაწყვეტად იწვევდნენ. დღესღეობით, ეკლესია გულისხმობს ქრისტიანთა კრებას, ორგანიზაციას. ქრისტეს მოციქულებმა დაარსეს ადგილობრივი ეკლესიები, იქადაგეს ღმრთის ჭეშმარიტი სიტყვა, დაადგინეს ეპისკოპოსები და ღმრთის მსახურები, შექმნეს საეკლესიო სამართლის პირველი ძეგლები. ეკლესიას ჰქონდა თავისი დროშა, ეკონომიკური პოლიტიკა, სასამართლო და ჰყავდა საუკეთესო ჯარი. ეკლესია ქმნიდა წერილობით სამართლებრივ ძეგლებს, რომელსაც ეყრდნობოდა სახელმწიფო და სამართლებრივი აზროვნება.

საეკლესიო სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობას საეკლესიო წევრთა შორის, ასევე, მათ ურთიერთობას ეკლესიასთან. საეკლესიო სამართალს, თავისი არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქვს გარკვეული თავისებურებანი და განსხვავდება საერო სამართლისაგან.

საეკლესიო ნორმები ღვთისაგან დადგენილად ითვლება და იგი ობიექტური ჭეშმარიტების გაცხადებაა ადამიანთა მიმართ. საეკლესიო სამართალი უცვლელი, მუდმივი და ჭეშმარიტია. მას არ ახასიათებს მოქმედება დროში და არ არის კონკრეტული პერიოდისათვის ან კონკრეტული ისტორიული მოვლენისათვის შექმნილი. ‹ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, „უცვალებელი არის ღმერთი და უცვალებელია მისი სამართალიც.“[1]

საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, მოქმედებდა როგორც მსოფლიო ქრისტიანული საეკლესიო კანონები, ისე ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების მიერ მიღებული კანონები.

14-ტიტლოვანი ნომოკანონის (ბერძნულიდან Nomocanon გულისხმობს საეკლესიო და საერო კანონების ერთად შეკრებილ კოდექსთა წიგნს) XI საუკუნის მიწურულის ერთადერთი ქართული თარგმანი, რომელიც ქართულ საეკლესიო მწერლობაში „დიდი სჯულისკანონის“ სახელით დამკვიდრდა, ბერძნულიდან სხვა ენებზე ნათარგმნ ძირითად კანონიკურ კოდექსებს შორის ერთერთი იმ უბრწყინვალეს ძეგლთაგანია, რომლებიც რამდენადმე განსაზღვრავდნენ ქართველი ერის მაღალ კულტურულ დონესა და სულიერ პოტენციალს. განსაკუთრებით დიდია ამ ძეგლის როლი ორიგინალური საეკლესიო სამართლის ჩამოყალიბების საქმეში. ქართული წყაროების

მიხედვით, აღნიშნული თარგმანი არსენ იყალთოელს ეკუთვნის. არსენ იყალთოელს შეურჩევია ნომოკანონის ის რედაქცია, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ 920 წლის კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უდიდეს კრებაზე ოფიციალურ კანონიკურ კოდექსად აღიარა.

„დიდი სჯულისკანონამდე“ ქართულ ენაზე თარგმნილი კანონიკური ძეგლებიდან არსებობდა მხოლოდ კანონიკური კრებული, რომელიც „მცირე სჯულისკანონის“ სახელწოდებითაა ცნობილი. კრებული ექვთიმე მთაწმინდელს შეუდგენია X საუკუნის ბოლოს, მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი სხვადასხვა კანონიკური სტატიების საფუძველზე. სტატიები, ქართული ეკლესიის საჭიროებათა შესაბამისად, სხვადასხვა პერიოდისაა და სხვადასხვა კანონიკური კრებულებიდან არის შერჩეული.[2]

ადგილობრივი ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომელთაც მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ, ეკუთვნის რუის-ურბნისის ძეგლისწერა და კათალიკოზთა სამართალი.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 წელს მოიწვია დავით აღმაშენებელმა და მიზნად ისახავდა წესრიგის დამყარებას საქართველოს ეკლესიაში. სახელწიფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლის პროცესში დავით IV ცდილობდა ეკლესია მეფის ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა. სამეფოს გაძლიერება დავით აღმაშენებელს გამიზნული ჰქონდა მსხვილი ფეოდალების დასუსტების გზით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნების სამართლებრივი საფუძვლების მოკლე მიმოხილვა

საქართველოში, ქრისტიანობა მისი გავრცელების ადრეულ ეტაპზევე შემოვიდა. პირველ საუკუნეში საქართველოში ქრისტიანული ეკლესიები მოციქულებმა ანდრიამ (პეტრე მოციქულის ძმამ) და სიმონ კანანელმა დააფუძნეს. ეს უკანასკნელი დაკრძალულია აფხაზეთში, საქართველოს ისტორიულ პროვინციაში, რომელიც 1993 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის ჯარების მიერ.

საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს ეკლესიის სათავეში დგას საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც საეკლესიო კრებასთან – წმინდა სინოდთან ერთად უძღვება საეკლესიო საქმეებს. მსოფლიოში სულ 10-ზე მეტი საპატრიარქო არსებობს, მათ შორის, ყველაზე ძველი და ავტორიტეტულია – კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, საქართველოს, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის საპატრიარქოები.

საპატრიარქოს საპატიო ადგილი მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის განისაზღრება წირვა-ლოცვაში მათი მოხსენიების რიგითობის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი საუკუნეების განმავლობაში მე-5 ადგილზე მოიხსენიებოდა, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ, თუმცა, მე-15 საუკუნიდან საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და პარალელურად, რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ, ეს ადგილი რუსეთის ეკლესიამ დაიკავა. დღეისათვის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობა მე-6 ადგილზე, რუსეთის პატრიარქის შემდეგ იხსენიებს.

საქართველოს ეკლესიისა და რელიგიური უმცირესობების სამართლებრივი მდგომარეობა შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეების საქართველოში, ეკლესიას უდიდესი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარებაზე. როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და სახელმწიფო სამართალის სფეროში საკანონმდებლო ხელისუფლებას მეფე საეკლესიო ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებდა. სანქციების გამკაცრება ეკლესიის თანხმობის გარეშე თითქმის არ დაიშვებოდა.

ეკლესიის ხელში იყო როგორც სასულიერო, ასევე საერო განათლების სფერო. უძველესი ქართული უმაღლესი სასწავლებლის გელათის აკადემიის რექტორი ხელმწიფის კარის გარიგების თანახმად, მეფის ზოგიერთ მინისტრზე მეტი პატივით სარგებლობდა. სამართლის სფეროში არსებული თითქმის ყველა რეფორმა, რომელიც ქართველ მეფეებს გაუტარებიათ, ეკლესიის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული „კათალიკოსთა სამართალი". სამართლის რეფორმის მიზანი იყო იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში თურქეთის ექსპანსიის შედეგად მომრავლებული და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელი დანაშაულების აღკვეთა.

რაც შეეხება რელიგიურ უმცირესობათა სამართლებრივ მდგომარეობასა და სტატუსს, არც ერთი უცხოური ან ქართული წყარო არ ადასტურებს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის დისკრიმინაციის ან ამ მიმდინარეობების მიმდევართა შევიწროების ფაქტებს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თბილისი იერუსალიმთან ერთად იმ იშვიათ ქალაქთაგანია, სადაც ებრაული სინაგოგა, ისლამური მეჩეთი, მართლმადიდებლური და სომხური ეკლესიები ერთმანეთისაგან ორი კილომეტრის რადიუსით არიან დაშორებულნი და ყველა მათგანი თბილისის ცენტრალურ და პრესტიჟულ უბნებში მდებარეობს. ქართველი თავადაზანაურობა არასდროს მონაწილეობდა ვაჭრობაში, ვინაიდან ამას საძრახის საქციელად მიიჩნევდა, ამიტომ ქართველი მეფეები სიამოვნებით იწვევდენენ სომეხ, ბერძენ, ებრაელ, თურქ და სპარს ვაჭრებს, ხოლო მოგვიანებით, ისინი ფულსაც კი სწირავდნენ თბილისში კათოლიკური ტაძრების გახსნისათვის. მაგალითად, მე-12 საუკუნეში მოღვაწე, საქართველოს ისტორიაში უდიდესი რეფორმატორი-მონარქი – დავით აღმაშენებელი ისლამის და იუდაიზმის ბრწინვალე მცოდნე იყო. ის თვითონ მიდიოდა ისლამურ მეჩეთებში და სქოლასიტკურ კამათში მონაწილეობდა ისლამის სულიერ ლიდერებთან ერთად. დღესაც, თბილისში მცხოვრებმა ნებისმიერმა მუსლიმმა იცის, რომ მუსლიმთა საცხოვრებელ ადგილას ღორის დაკვლა დავით IV კატეგორიულად აკრძალა, რათა ადგილი არ ჰქონოდა პროვოკაციას და რელიგიური ნიშნით დედაქალაქის მცხოვრებთა დაპირისპირებას.

ცხადია, ქართველი მეფეების ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ტოლერანტობით არ იყო განპირობებული. ვაჭრობისადმი ქართველების ტრადიციული უარყოფითი დამოკიდებულების გამო, ქართველი მეფეები იძულებულნი იყვნენ ამ საკითხში სწორედ მუსულმანური, სომხური და იუდაისტური რელიგიის აღმსარებლებს დაყრდნობოდნენ და მათთვის ყველანაირად შეეწყოთ ხელი. ცნობილია, რომ სომხური წარმოშობის ზოგიერთ მოქალაქეს ქართველმა მეფეებმა თავადობაც კი, მიანიჭეს, რომ მათთვის მოქმედების უფრო ფართო არეალი შეექმნათ.

თანამედროვე ტერმინოლიგიით, ქართველი მეფეები ყველნაირად უწყობდნენ ხელს რელიგიათა და კულტურათა დღეისათვის ასეთ პოპულარულ დიალოგს. დადასტურებულია როგორც დავით მეოთხის, ასევე მისი შვილთაშვილის – თამარის მეფობის დროის უდიდესი რელიგიური

კონფერენციების გამართვის ფაქტები, სადაც ქართველ მართლმადიდებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხური და კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლები. კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ მეფეთა ასეთი დამოკიდებულება განპირობებული იყო არა მხოლოდ ქართველთა შემწყნარებლობით, არამედ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით. საქართველო ისტორიულად, მულტიკულტურულ საზოგადოებას წარმოადგენდა, სადაც ბევრი რელიგიის წარმომადგენელი იყრიდა თავს. ქართველ მეფეებს ყოველთვის კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ რელიგიური ექსტრემიზმი სწორედ მათ ხელისუფლებას დაასუსტებდა. ამის გამო არც ერთი შეტაკება რელიგიურ ნიადაგზე საქართველოში შუა საუკნეებში არ დაფიქსირებულა. მით უმეტეს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უცხო იყო ისეთი მოვლენა, როგორიც იყო ინკვიზიცია და პროტენსტანების დევნა-დახოცვა კათოლიკურ ევროპაში. არამართლმადიდებელი, მაგრამ საქართველოში (ძირითადად, დედაქალაქში) მცხოვრები ადამიანები ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც ეს მართლმადიდებლებს ჰქონდათ. ცხადია, ფეოდალური პრივილეგიები ყველა შემთხვევაში ძალაში რჩებოდა. თუმცა, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები საქართველოში ისტორიულად არ დასტურდება.

საქართველოს ეკლესიისა და რელიგიური უმიცირესობების სამართლებრივი მდგომარეობა 1810-1917 წლებში

1801 წელს, რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის დეკრეტით საქართველოს სამეფო ანექსირებულ იქნა. ბაგრატიონთა დინასტიას, რომელიც საქართველოს 1200 წლის განმავლობაში მართავდა, სამეფო ჩამოერთვა. ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები ან დახვრიტეს, ან რუსეთის შორეულ პროვინციებში გადაასახლეს.

1810 წელს, რუსეთმა გააუქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (ბერძნული ტერმინია, რომელიც დამოუკიდებლობას ნიშნავს), ხოლო საქართველოს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე (ასევე, ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი და საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ძმა) რუსეთის ერთ-ერთ შორეულ პროვინციაში გადაასახლა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას თან მოჰყვა რუსეთის ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბებული სექტების შემოსვლა. თბილისში, დღესაც მიუთითებენ იმ ადგილებზე, სადაც რუსი სექტანტები – მალაკნები და დუხობორები ცხოვრობდნენ. რუსული ეკლესიის წარმომადგენლებმა მთლიანად გაძარცვეს უძველესი ქართული ტაძრები, რუსეთში გაიტანეს ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო ნივთები, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

1917 წლამდე, ანუ რუსეთის რევოლუციამდე, მიუხედავად იმისა, რომ რუსები და ქართველები მართლმადიდებლური რწმენის ერებად ითვლებიან, რუსული ეკლესია მაქსიმალურად დევნიდა და ავიწროებდა ქართულ ეკლესიას, რომელიც ადმინისტრაციულად, რუსულ საეკლესიო კრებას დაექვემდებარა. მას ამ საეკლესიო კრების მიერ დანიშნული ე.წ. ეგზარქოსი მართავდა, რომელიც როგორც წესი, ეროვნებით ყოველთვის რუსი იყო და ქართული ენა არ ესმოდა. ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა კატეგორიულად იკრძალებოდა, რასაც არაერთი აჯანყება მოჰყვა (მაგალითად, 1819, 1820, 1832 წლებში).

1917 წელს, რუსეთის იმპერიის დამხობისა და რუსეთში არსებული არეულობის შედეგად, ქართულმა ეკლესიამ შესძლო დამოუკიდებლობის აღდგენა. თუმცა, კომუნისტების გამარჯვების შემდეგ, დაიწყო ეკლესიების მასობრივი ნგრევა და ღვთისმსახურთა ფიზიკური განადგურება. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი, რომელიც დახმარებას ევროპელებს სთხოვდა, კომუნისტებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს. დაიხვრიტა 1000-ზე მეტი სასულიერო პირი, მათი დიდი ნაწილი გადაასახლეს, ხოლო ნაწილი მუქარით აიძულეს ხელი აეღო საეკლესიო მსახურებაზე. იგივე შეეხო სხვა რელიგიის წარმომადგენლებსაც, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

რელიგიური მდგომარეობა შედარებით ლიბერალური გახდა 1980-იანი წლებიდან, ხოლო 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რელიგიური თავისუფლება გამოცხადდა.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური გაერთიანებების თანამედროვე სამართლებრივი სტატუსი

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ეხება საქართველოს კონსიტუტიციის მე-9 და მე-14 მუხლები. კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

კონსტიტუციის მე-9 მუხლით, სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.[3]

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი დღეისათვის არსებული რედაქციით 2001 წელს ჩამოყალიბდა, ხოლო 2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქმა და საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელიც შემდგომში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა.

კონსტიტუციური შეთანხმების ძირითადი ასპექტებია: ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათალიკოს-პატრიარქი.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

რაც შეეხება სხვა რელიგიურ გაერთიანებებს, 2005 წლის 6 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც, რელიგიურ გაერთიანებებს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში პირველად მიეცათ რეგისტრაციის შესაძლებლობა. შესწორების თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით.

არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით რეგისტრაციაზე უარს აცხადებენ ევანგელისტური და სომხური ეკლესიები, ისინი მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, შეთანხმების გაფორმებას და საჯარო სამართლის იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითხოვენ. ჯერჯერობით, საკითხი კვლავ ღიად რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, ძირითადად, აშშ-დან შემოსული სექტების საქმიანობის შესახებ, რომლებსაც ტრადიცული კონფენსიების მსგავსად არ აქვთ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, საკმაოდ აქტიურად საქმიანობს მთელი საქართველოს მასშტაბით. აშშ-დან მიღებული დაფინანსება მათ საშუალებას აძლევს დააინტერესონ მოსახლეობის შედარებით ნაკლებად განათლებული და სიღარიბეში მცხოვრები ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა რელიგიური გაერთიანებების შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტის შექმნის თაობაზე, ჯერჯერობით, ასეთი აქტი საქართველოში მიღებული არ არის, რაც სამართლებრივ გაურკვევლობას ქმნის და საქართველოში რელიგიური თავისუფლების მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

რელიგიისა და სამართლის გადაკვეთის წერტილები საქართველოში

საქართველოში, რელიგიური აგრესიული პორზელიტიზმი საკმაოდ აქტუალური პრობლემაა, ვინაიდან სექტების წარმომადგენლები არ ერიდებიან სახლებში შესვლას, მასობრივი თავშეყრის ადგილებში ლიტერატურის გავრცელებას, ხოლო სადაც უკვე უმრავლესობას წარმოადგენენ, ადგილი აქვს ზეწოლის ფაქტებსაც, რასაც სამართლიანი პროტესტი მოჰყვება ხოლმე.

ასევე, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ბერძნული ეკლესიის წიაღში წარმოშობილი ერთ-ერთი სექტის ქართული წარმომადგენლობის საქმიანობა, რომელიც ძირითადად, „ჭეშმარიტი“ მართლმადიდებლობის დაცვის ლოზუნგით თავს ესხმოდა და ძალადობით ცდილობდა სექტანტების შეჩერებას. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გაემიჯნა ამ მოვლენებს, მღვდლებს, რომლებიც ასეთ საქმიანობაში იყვნენ შემჩნეულნი, ჩამოერთვათ ღვთისმსახურების უფლება. მართლმადიდებლობის სახელით მოქმედი ამ განსაკუთრებით აგრესიული ჯგუფის წევრების საქმიანობა რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა. თუმცა, ბოლო პერიოდში, სახელმწიფომ როგორც იქნა მოახერხა მათ წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღება. სექტის

ლიდერი დაპატიმრებულ იქნა, სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ უყურადღებოდ არ დატოვონ რელიგიური ძალადობის ფაქტები, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ სწრაფად აისახება როგორც სახელმწიფოს, ასევე ხელისუფლების იმიჯზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, რამდენიმე სასამართლო პროცესი უკვე მიმდინარეობს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, რომელიც ევროსაბჭოს ფორმატში მოქმედი სტრუქტურაა და ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებს განიხილავს, სადაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს უჩივლონ, თუ მათ გამოიყენეს გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა უშუალოდ, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ მაინც ვერ მიაღწიეს თავიანთი უფლებების დაცვას.

რაც შეეხება რელიგიის გავლენას სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე, უნდა ითქვას, რომ თითქმის ასწლიანი ათეისტური კომუნისტური პროპაგანდისა და ტერროროს შემდეგ, მოსახლეობის უმრავლესობა რელიგიური ცხოვრების წესს დაუბრუნდა. მართლმადიდებლური რელიგიური დღესასწაულები დასვენების დღეებად არის გამოცხადებული. ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ხალხის ნდობას ეკლესია უფრო იმსახურებს, ვიდრე მაგალითად, პარლამენტი, პრეზიდენტი, სასამართლო და პროკურატურა ერთად აღებული. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მცდელობის მიუხედავად, რომ ეკლესია მაქსიმალურად დისტანცირებული იყოს სახელმწიფოსაგან, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ცდილობს მისი და ეკლესიის ავტორიტეტის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას. ზოგიერთი პარტია კი, აშკარად არის დაკავებული ეკლესიის წარმომადგენლების დისკრედიტაციით, რათა ამით საკუთარი რეიტინგის ამაღლებას მიაღწიოს.

საქორწინო, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი საქართველოში მთლიანად თავისუფალია რელიგიური გავლენებისაგან. საეკლესიო ჯვრისწერა სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და არ უთანაბრდება სამოქალაქო ქორწინებას.

საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი სამოქალაქო კოდექსის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ქართული საოჯახო სამართალი მთლიანად ითვალისწინებს მულტიკულტურული საზოგადოების მოთხოვნებს და უშვებს ქორწინებას ახლო ნათესავებს შორის. მართალია, ასეთი რამ მართლმადიდებელი ეკლისიისათვის მიუღებელია, თუმცა ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს მოქალაქეთა იმ ნაწილისათვის, რომლებიც ისლამს აღიარებენ.

განათლებისა და კულტურის სფეროში სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების თანამშრომლობა საქართველოში ახლა ვითარდება. ძირითადად, ეს თანამშრომლობა გამოიხატება კულტურული ძეგლების ერთობლივ რესტავრაციაში და სამუზეუმო ექსპონატებთან ერთობლივ მუშაობაში.

დასკვნა

საქართველოში, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა განსაკუთრებულ და გადაულახავ პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, ეფექტიანი რეგულირებების არარსებობა ამ მხრივ, ქმნის გარკვეულ უხერხულობებს, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოსაგან ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას.

ლიტერატურა:

1. Spiritual Dimensions of the Holy Canons. by Lewis J. Patsavos. Edt. Holy Cross Orthodox Press. 2003.
2. A Common Code for the Orthodox Churches. Kanon I [Vienna, 1973].
3. The Canons of the Church: Changeable or Unchangeable? edt: St. Vladimir's Theological Quarterly 11(1967).
4. The Rudder. (Pedalion) by D. Cummings. 1908.
5. ე. გაბიძაშვილი, დიდი სჯულისკანონი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1975.
6. ე. ჭელიძე, მცირე სჯულისკანონი, თბილისი, 2003.
7. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
8. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I და ტ. II.
9. ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები,
10. ს. კაკაბაძე, კათალიკოსთა სამართალი და მისი შედგენის დრო, 1913.
11. დ. ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართლის საკითხები, 2005.
12. კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენთა სამეცნიერო კონფერენცია – „სახელმწიფო, სამართალი და რელიგია" 2006.

შენიშვნები:

[1] კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – „სახელმწიფო, სამართალი და რელიგია", გვ.40.

[2] ე. გაბიძაშვილი, დიდი სჯულისკანონი, გამომცემლობა „მეცნიერება", გვ.21.

[3] საქართველოს კონსტიტუცია.

Religion and Law

GOCHA GIORGADZE
Assistant Professor of the Law department of the Tbilisi Iv. Javakhishvili State University
Doctorante of the Hamburg University, Intern of the Tokyo Chuo University

This article briefly reviews the basic principles of the religion and the law. It discusses the primary bases of the relationships between the church and the law. In addition, it describes the relationship between the religion and the law during different periods of Georgian History. The presented work also aims to outline the problem traced between the state and the church in Georgia currently.

საკუთრების უფლება და მისი შეზღუდვის ფარგლები საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

გიორგი მჭედლიშვილი

კავკასიის უნივერსიტეტი,
კავკასიის სამართლის სკოლის სტუდენტი

შესავალი

საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა.[1] როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას“.[2] იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი საბაზრო ეკონომიკის ბირთვია. შესაბამისად, ის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციაა, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაც.

საკუთრების უფლება ერთ-ერთი ძველი უფლებაა, რომელიც ჯერ კიდევ, რომის სამართალში გვხვდება. კერძო საკუთრების უფლება პირველად, რომის სამართალმა დაამუშავა, სადაც არსებობდა სა-

ერთო ანუ საზოგადო საკუთრება. რომაული სამართლით საკუთრება ნივთზე სრულ ძალაუფლებას ნიშნავდა.[3]

როგორც ზემოთ აღინიშნა საკუთრების უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ და მნიშვნელოვან უფლებას ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში და მათ შორის, საქართველოშიც. საქართველო დღეს, ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფვის. აღნიშნული პროცესი კი, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან და მათ შორის, საქართველოს სამართლებრივი სივრცის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან. საქართველოს საკანონმდებლო სივრცე თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. საკუთრების უფლება ერთ-ერთი ამოსავალი საკითხია ევროპულ სამართლებრივ სივრცეში, ამდენად მნიშვნელოვანია მისი რეგლამენტაცია – უფლების შინაარსი, ელემენტები და შეზღუდვის საფუძვლები და მასთან საქართველოს საკანონმდებლო სივრცის შესაბამისობა. საკუთრების უფლება განმარტებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც განმარტებასთან ერთად ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლებსაც ადგენენ. საქართველოში საკმაოდ ხშირია ამ უფლების შეზღუდვის მაგალითები, სწორედ ამიტომ საინტერესოა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებთან დაკავშირებით, რათა განისაზღვროს რამდენად შეესაბამება საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები და მათი რეალიზაცია ევროპულ სტანდარტებს. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია საერთაშორისო აქტებისა და პრეცედენტული საქმეების შესწავლის გზით. კვლევის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, არის თუ არა შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკაში განხორციელებული საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევები საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და სასამართლო პრაქტიკასთან.

მოცემულ კვლევაში გამოყენებული იქნება დოგმატური, ნორმატიული და შედარებითი კვლევის მეთოდები.

საკუთრების უფლება და მისი შეზღუდვის ფარგლები საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

საკუთრების უფლების ელემენტები

საქართველოში, საკუთრების უფლება დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და სამოქალაქო კოდექსით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების უფლებას განმარტავს, როგორც ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობას.[4]

მფლობელობა

მფლობელობა არის ნივთის ფაქტობრივი ბატონობა, რომელიც მოპოვებული უნდა იქნეს მფლობელის ნებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.[5]

სარგებლობა

სარგებლობა ნიშნავს მესაკუთრის უფლებას ისარგებლოს და მოიხმაროს საკუთრების ობიექტი. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს სარგებლობის თავისუფლებას. ეს ნიშნავს, რომ მესაკუთრე თვითონ წყვეტს ისარგებლოს ან არ ისარგებლოს საკუთრების ობიექტით, ამდენად სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე, შესაძლებლობას, პირმა არ ისარგებლოს ნივთით. თუმცა, კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა წესდება ნივთით სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ასეთი შემთხვევა გვექნება, როცა მესაკუთრეს თავად არ შესწევს უნარი ისარგებლოს ან უპატრონოს ქონებას. ამ შემთხვევაში, მესაკუთრეს შეიძლება დაევალოს, რომ მან სხვას მიანდოს სათანადო ვალდებულების შესრულება, კერძოდ, დაეკისროს შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში.[6]

განკარგვა

განკარგვა გულისხმობს როგორც გასხვისებას (სხვა პირზე საკუთრების უფლების გადატანას), ასევე ნივთის უფლებრივ დატვირთვასაც (მაგალითად: სერვიტუტით, უზურფრუქტით დატვირთვას, დაგირავებას და ა.შ.)[7]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საკუთრების უფლებას. ამ დებულების მიხედვით: „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.“[8] თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად, ან უზრუნველყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმების გადახდის მოკრება.[9]

საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება

საკუთრების უფლება არ არის სრულიად აბსოლუტური უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“[10] ამდენად მისი აბსოლუტურობა არ არის უსაზღვრო და მესაკუთრის უფლებამოსილებანი შეზღუდულია ან კანონით, ან ხელშეკრულებით. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მეორე ნაწილი აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრების ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა

გაუმართლებელია.[11] ამ შემთხვევაში, ორი პირობა უნდა არსებობდეს: ერთი, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესების უპირატესობა და მეორე, რომ მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია. მაგალითად, მრავალბინიანი სახლის ერთ-ერთი მესაკუთრე სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებს უარს, რომ დანარჩენ მეზობლებთან ერთად გაასხვისოს თავისი ბინა, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია და მძიმე მდგომარეობის გამო შესაძლებელია მოხდეს მისი დანგრევა. ამით კი, ზიანს აყენებს სხვა მეზობლების ინტერესებსაც, რომლებსაც ამ კონკრეტული მესაკუთრის გამო ერთმევათ შესაძლებლობა დაინტერესებული პირისაგან, რომელსაც სურს მთლიანად შეიძინოს სახლი, მიიღონ საკმაოდ მაღალი ფასი თავიანთი ბინების სანაცვლოდ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“.[12] აღნიშნული დანაწესი ეხება ყველა უფლებას. დაუშვებელია უფლება ზიანის მიყენების იარაღად იქცეს და მასში სამართლებრივი სიკეთის ადგილი ბოროტებამ დაიკავოს. უფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა აშკარად და ნათლად იქნება გამოკვეთილი, რომ სულაც არაა სახეზე მისი გამოყენების აუცილებლობა და ეს უკანასკნელი ხორციელდება მხოლოდ ვინმეზე ზიანის მიყენების მიზნით.

უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას განსაზღვრავს ასევე, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი უფლების ბოროტად გამოყენებას განამტკიცებს როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ნორმებით.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა კონვენციით საკუთრების უფლების შეზღუდვას, როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვის დასაშვებ ფარგლებს. კერძოდ, საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.[13] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 მუხლი კი, აღნიშნავს, რომ ამ კონვენციაში არ შეიძლება რაიმე განიმარტოს იმგვარად, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს ისეთ საქმიანობაში ან განახორციელოს ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განადგურებას ან ამ უფლებათა და თავისუფლებათა იმაზე მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დადგენილია კონვენციით.[14] ამდენად თავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაზღვრავს, რომ კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც შესაძლოა იჭრებოდეს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებში (სიტყვის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, უფლება პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, საკუთრებით სარგებლობა) ექვემდებარება ნებადართულ შეზღუდვებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საქართველოში საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

იმისათვის, რომ დადგინდეს, აქვს თუ არა ადგილი საკუთრების უფლების დარღვევას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრული და შემუშავებულია შემდეგი

საფეხურები: 1. არის თუ არა სახეზე კონვენციით დაცული საკუთრების უფლება; 2. არის თუ არა ეს უფლება შეზღუდული; 3. არის თუ არა ეს შეზღუდვა დასაბუთებული.

პირველ საფეხური ადგენს კონვენციით დაცული საკუთრების უფლებას. პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის განმარტებისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები, რომ **საკუთრების ან „ქონების" ცნება ძალიან ფართოდაა განმარტებული.** ის მოიცავს ეკონომიკური ინტერესების ფართო წრეს. მათ შორის, 1-ლი მუხლის დაცვით სარგებლობს: მოძრავი ან უძრავი ქონება, ქონებრივი ან არაქონებრივი კაპიტალი, როგორიცაა აქცია ან პატენტი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, პენსიის მიღების უფლება, მესაკუთრის უფლება ქირის მიღებაზე, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები, გარკვეული პროფესიით მუშაობის უფლება და სხვ.[15]

მეორე საფეხური შემდეგი ეტაპია, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს არის თუ არა საკუთრების უფლება შეზღუდული. მეორე საფეხურში გამოიყოფა სამი წესი:

1. ქონებით მშვიდობიანად სარგებლობის პრინციპი (აღნიშნულია პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში);
2. ქონების ჩამორთმევა (პირველი ნაწილის მეორე წინადადება);
3. ქონებით სარგებლობის კონტროლი (მეორე ნაწილი).[16]

პირველად, ამ სამი წესის ანალიზი ევროპულმა სასამართლომ გააკეთა საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ" და მრავალჯერ იქნა ციტირებული სასამართლოს მომდევნო გადაწყვეტილებებში.

პირველი წესი. პირველი წესი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „საბოლოო ბარიერი", რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთი სხვა წესი არ გამოიყენება, ხოლო შესაბამისი ზომა ხელყოფს საკუთრებით სარგებლობის უფლებას, მაგრამ არ არის საკმარისი, ჩაითვალოს ქონების ჩამორთმევად და არ არის გამიზნული საკუთრებით სარგებლობის კონტროლზე.[17]

მეორე წესი. იმის გადასაწყვეტად, ჰქონდა თუ არა ადგილი საკუთრების ხელყოფას, მეორე წესის შინაარსით, საჭიროა არა მხოლოდ გამოკვლევა, განხორციელდა თუ არა ფორმალური ექსპროპრიაცია ან საკუთრების ფორმალური გადაცემა, არამედ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა – ჰქონდა თუ არა ადგილი საკუთრების ჩამორთმევას. ეს გარკვევითაა აღნიშნული საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ", რომელიც ეხებოდა ექსპროპრიაციის ნებართვისა და ამკრძალავი შეტყობინებების დაწესებას.[18]

მესამე წესი. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ქონების ხელყოფა გამიზნულია ქონებით სარგებლობის კონტროლზე ან წარმოადგენს ამ მიზნის მქონე საკანონმდებლო სქემის ნაწილს. პირველად, ამ წესის გამოყენება მოხდა საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ" (დაგეგმარების კონტროლთან დაკავშირებით). თუმცა, ამის შემდეგ მესამე წესი გამოყენებულ იქნა საქმეებზე „მელაჰერი ავსტრიის წინააღმდეგ" და „გასუს დოზია & ფორდერტეჰნიკ ნიდერლანდების წინააღმდეგ".[19]

როგორც უკვე აღინიშნა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზემოაღნიშნული სამი წესის ანალიზი პირველად გააკეთა საქმეში „სპორონგი და ლონორთი შვედეთის წინააღმდეგ", რომელიც პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თაობაზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს. საქმე ეხებოდა საკმაოდ ძვირადღირებულ

საკუთრებას (შენობებსა და ნაკვეთებს) ცენტრალურ შვედეთში. შესაბამისი ოლქის ადმინისტრაციულმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ეს საკუთრება განვითარებისათვის იყო საჭირო და შესაბამისად, გამოიყენა ორი განსხვავებული ზომა – ექსპროპრიაციის ნებართვა (გულისხმობს, რომ საკუთრება შეიძლება მომავალში ექსპროპრიაციას დაექვემდებაროს) და მშენებლობის აკრძალვა (ნებისმიერი შენობა-ნაგებობის მშენებლობა). როცა ექსპროპრიაციის ნებართვა გამოიყენებოდა ქონების გაყიდვა უდავოდ უფრო რთული იყო. ისინი შემდგომში გაუქმდა დაგეგმარების პოლიტიკის ცვლილებების გამო. ქონების მესაკუთრეებმა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართეს. მათ არ მიუღიათ არავითარი კომპენსაცია იმ პერიოდში, როდესაც მათი ქონების მიმართ შესაბამისი ზომები გამოიყენებოდა. შვედეთის მთავრობის მტკიცებით, ექსპროპრიაციის ნებართვა და მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენდა ქალაქის დაგეგმარების განუყოფელ ნაწილს და შესაბამისად, ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების ხელყოფას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ დაუყოვნებლივ უარყო ეს არგუმენტი. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეების უფლება მათ ქონებაზე ხელშეუხებელი დარჩა, პრაქტიკაში საკუთრების უფლების განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეიზღუდა. სასამართლოს აზრით, ექსპროპრიაციის ნებართვის წყალობით, განმცხადებელთა საკუთრების უფლება „არამყარი და ადვილად გასაუქმებელი“ გახდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა განმცხადებელთა საკუთრების უფლების ხელყოფას. ამის შემდეგ მან მოახდინა პირველი მუხლის ანალიზი და გამოყო სამი ზემოთ განხილული წესი.[20]

როგორც აღნიშნული მაგალითიდან ირკვევა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, მესაკუთრეთა უფლება მათ ქონებაზე ხელუხლებელი დარჩა, თუმცა, საკუთრების უფლების განხორციელების უფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდა. განმცხადებელთა საკუთრების უფლება არამყარი და ადვილად გასაუქმებელი გახდა ექსპროპრიაციის ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ამ საქმეში ადგილი ჰქონდა პირველი წესის გამოყენებას. ვინაიდან, სასამართლოს დასკვნით ქონების გაყიდვა უფრო რთული გახდა საქმეში აღნიშნული ზომების გამოყენებით, განმცხადებელს ამის შესაძლებლობა მაინც ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მეორე წესი არ გამოიყენებოდა. რაც შეეხება მესამე წესს, იგი უდავოდ გამოიყენებოდა მშენებლობის აკრძალვის მიმართ, რადგან იგი წარმოადგენდა კონტროლს ქონებით სარგებლობაზე.

მესამე საფეხურზე ირკვევა არის თუ არა ეს შეზღუდვა დასაბუთებული. თუ დადგინდება, რომ ადგილი ჰქონდა ქონების ხელყოფას, რომელზეც ვრცელდება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამი წესიდან რომელიმე, ამის შემდეგ უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა ამგვარი ხელყოფა დასაბუთდეს სახელმწიფოს მიერ. თუ დასაბუთება შესაძლებელია, მაშინ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას ადგილი არ ექნება. აქვე აღსანიშნავია, რომ დასაბუთების ტვირთი სახელმწიფოს აწევს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით

საქართველოში საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკიდან საინტერესოა, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კალაშოვის საქმეს-

თან დაკავშირებით. 2007 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიხეილ მდინარაძისა და ზაქარია კალაშოვის მიმართ და მოითხოვა მათ მფლობელობაში არსებული ქონების უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად ცნობა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა როგორც სააპელაციო, ასევე, უზენაესმა სასამართლომ. აღნიშნულ საქმეზე საინტერესოა, სასამართლოს მიერ საკუთრებასთან დაკავშირებით მოცემული განმარტებები. სამოქალაქო კოლეგიამ სარგებლობის იურიდიული დეფინიციის არარსებობის პირობებში კანონის ანალოგიასა და სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სარგებლობა, მფლობელობის მსგავსად შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი და მიიჩნია, რომ ქონებით იმგვარად სარგებლობა სხვა პირთა მიერ, რომელიც ქურდული სამყაროს წევრის ინტერესებს შეესაბამება, უნდა ჩაითვალოს თავად ქურდული სამყაროს წევრის მიერ განხორციელებულ სარგებლობად. საკასაციო სასამართლომ ამ საქმეზე დასძინა, რომ სამართლის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, „სარგებლობა“ ნიშნავს ნივთის ექსპლუატაციას, მისი სასარგებლო თვისებების გამოყენებას. საინტერესოა, ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ საკუთრების უფლების ფარგლების განმარტებაც, რომელიც ემთხვევა ევროპულ სასამართლოსეულ ქონების განმარტებას. ქონების ცნებას გააჩნია ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ არის შეზღუდული მხოლოდ ფიზიკური ნივთების მფლობელობით, სხვა გარკვეული უფლებები და ინტერესები, რომელიც წარმოადგენს ნივთებს, შეიძლება ასევე, ჩაითვალოს საკუთრების უფლების ობიექტად.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო ქონება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში ხვდებოდა. მოხდა ქონების ხელყოფა, ვინაიდან მესაკუთრეს ჩამოერთვა ეს უკანასკნელი და მოხდა მისი სახელმწიფოსათვის გადაცემა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ხელყოფა ანუ ჩამორთმევა ემსახურებოდა საჯარო ინტერესებს, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო ქონება დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ: ა) მიზანი არის საზოგადოებრივი ინტერესი, ბ) გამოყენებული ზომა არის მართლზომიერი (ემყარება კანონს და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს, გ) გამოყენებული ზომა მიზნის მიღწევის პროპორციულია, ანუ პირისა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის თანაფარდობა დაცულია.

საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა უნდა ემსახურებოდეს საჯარო ან საერთო ინტერესებით განპირობებულ კანონიერ მიზნებს. ამასთან, შენარჩუნებულ უნდა იქნეს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნებს შორის. კანონი არ ითვალისწინებს ისეთ უთანასწორობას, რომლის შედეგადაც პირს შეიძლება თვითნებურად და უსამართლოდ ჩამოერთვას ქონება მეორე პირის სასარგებლოდ. საკუთრების ხელყოფის დასაშვებად აღიარებისათვის, ის არა მარტო საჯარო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, არამედ უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. სამართლიანად უნდა დაბალანსდეს საზოგადოების საერთო ინტერესის მოთხოვნები და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნები. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხებით ქონების

შეძენის წინააღმდეგ ზომების მიღება უდავოდ წარმოადგენდა კონტროლს ქონებით სარგებლობაზე. დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევა ასეთი აკრძალვის უზრუნველმყოფელი ზომაა. საქმის კონკრეტულ გარემოებებში ქონების ჩამორთმევა უზენაესი სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა საქართველოში დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონებით სარგებლობაზე კონტროლის შემადგენელ ნაწილად, რომლის მიზანია საჯარო ცხოვრების გათავისუფლება კრიმინალური ავტორიტეტების მომძლავრებული გავლენისაგან და დემოკრატიული წყობილების დაცვა.[21]

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

სამეცნიერო ლიტერატურა

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეორე – სანივთო სამართალი; გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 1999;
4. ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2003;
5. ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), გამომცემლობა „ბონა-კაუზა“, თბილისი, 2008;
6. ირაკლი ცნობილაძე და სხვები, საკუთრების უფლება საქართველოში, რედ.: თამარ ხიდაშელი, გიორგი ჩხეიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2007;
7. ბესარიონ ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2008;
8. უძრავი ნივთების საკუთრება, შედარებით-სამართლებრივი კვლევა (გერმანული სამართლის მაგალითზე), მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001;
9. Гражданское право, ред. А.Т. Сергеева, Ю. К. Толстой, Москва, 2004 г. том 1.
10. Munzer, R. Stephen. A theory of property. New York. Cambridge. University Press. 1990.

ელექტრონული წყაროები

11. www.supremecourt.ge
12. http://www.legaleducation.ge/index.php.section=50&lang_id=GEO&gal_id=2
13. www.constcourt.ge

შენიშვნები:

1 იხ.: ირაკლი ცნობილაძე და სხვები, საკუთრების უფლება საქართველოში, რედ.: თამარ ხიდაშელი, გიორგი ჩხეიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2007 წ., გვ. 4.

2 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი (დაბეჭდილია 2007 წლის 4 სექტემბერს).

3 ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), გამომცემლობა „ბონა-კაუზა“, თბილისი, 2008წ., გვ. 96.

4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №3, 1997 წ.

5 იხ.: იქვე, მუხლი 155.

6 ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003წ., გვ. 91.

7 იხ.: იქვე, გვ. 92.

8 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1952 წლის 1-ლი დამატებითი ოქმი, მუხ. 1-ლი.

9 ბესარიონ ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2008 წელი.

10 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №3, 1997წ.

11 იხ.: იქვე.

12 იხ.: იქვე, მუხლი 115.

13 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1952 წლის 1-ლი დამატებითი ოქმი, მუხ. 1-ლი.

14 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხ. 17.

15 ბესარიონ ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2008 წელი. №9 გვ. 367.

16 იხ.: იქვე, გვ. 381.

17 იხ.: იქვე, გვ. 385.

18 იხ.: იქვე, გვ. 382.

19 იხ.: იქვე, გვ. 384.

20 იხ.: იქვე, გვ. 367-369.

21 www.supremecourt.ge

Property Rights and the Scope of Limitation of Property Rights Under the Georgian Legislation and the European Convention on Human Rights

GEORGE MCHEDLISHVILI
Student of the Caucasus School of law,
Caucasus University

The presented paper reviews the issues related with the limitation of property rights on Georgian, as well as International levels. The review starts with a question on how well do the Georgian legislation and Court practice comply with the international standards. The study of the Georgian Court practice on the example of one of the cases, made it clear, that when approving the limitation of the property rights, the court was guided and pointed to the practice established by the European Convention on Human Rights and the European Court of Human Rights. Different from the Georgian Civil Code, the European Convention on Human Rights outlines, that the right on property can be limited if it is in the public interest and on the bases of the circumstances envisaged by the legislation and the principles of the International Law. The Georgian Cassation Court was guided by these circumstances when rendering the decision on limiting the rights on private property and therefore outlined, that this decision did not violate the rights protected by the Convention, for its limitation served for the protection of the goals of the same Convention. Unlike the case law exercised by the European Court of Human Rights, the Court limited the right of indirect usage as well. The Cassation Court explained, that similar to the owner, the usage can also be direct, or indirect and believes that its usage by other person, who represents the interests of the criminal world, can be considered as the usage carried out by the criminal himself/herself. The Supreme Court considered the property as disputable and concluded that the Article I of the first Optional Protocol should be applied in the given case. On the bases of the reviewed example, it can be concluded, that the bases of the limitations of property rights in Georgia comply with the International Standards.

ახალი წიგნები

ფილიაცია და ნატურალიზაცია საქართველოში
მოქალაქეობის საკითხები

სამართლის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის არჩილ ლორიას მონოგრაფია მოქალაქეობის მოპოვებისადმი მიძღვნილი კომპლექსური გამოკვლევაა, რომელიც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მოქალაქეობის ინსტიტუტისადმი მიძღვნილ უცხოურ ლიტერატურასა და ნორმატიულ ბაზას ეფუძნება.

ავტორი სრულიად სამართლიანად აღიქვამს მოქალაქეობას, როგორც პიროვნების უფლებათა კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ინსტიტუტი წარმოადგენს ადამიანის, როგორც საზოგადოების პირველადი ელემენტისა და სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების ურთიერთშეგეგებულ უფლება-მოვალეობათა კომპლექსს და უშუალო კავშირშია პიროვნების სტატუსთან.

მოქალაქეობის ინსტიტუტის ფორმირების ისტორიული ანალიზი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უყალიბებს ამ ინსტიტუტის განვითარების მოტივებსა და სოციალურ დანიშნულებაზე, ეხმარება მოქალაქეობის კონსტიტუციურ სამართლებრივი ინსტიტუტის სოციალური ფუნქციის უკეთ გაგებაში.

ნაშრომში დეტალურად და მაღალმეცნიერულ დონეზეა შესწავლილი ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ცენზების არსი, ასევე ქორწინებით ნატურალიზაციის თავისებურებები.

წარმოდგენილი ნაშრომი მოქალაქეობის ინსტიტუტის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის – მოქალაქეობის მოპოვების შინაარსის მეცნიერული დამუშავებისა და საკანონმდებლო ბაზის არსის გარკვევის თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების განვითარების, კონსტიტუციური სამართლის სწავლების პროცესშიც, ასევე საკანონმდებლო მიზნებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ნაშრომს თან ერთვის ყველა ის ნორმატიული, თუ საკანონმდებლო მასალა, რომელიც გამოყენებულია გამოცემაში.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA

ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 92 34 90